ჯგუფი სან პეტროლიუმ ჯორჯია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ჯგუფი სან პეტროლიუმ ჯორჯია

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში 5

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში 6

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში 7

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში 8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 9-51

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. უწყვეტი საწარმო 10
3. შესაბამისობის განცხადება 11
4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება: 11
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები 15
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტები და უზუსტობების შეფასების ძირითადი საშუალებები 28
7. შემოსავალი 29
8. რეალიზაციის თვითღირებულება 30
9. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები 30
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 31
11. სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა 31
12. ძირითადი საშუალებები 32
13. აქტივები სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებები 33
14. გუდვილი 34
15. სხვა გრძელვადიანი აქტივები 34
16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 34
17. მარაგები 36
18. გაცემული სესხები 36
19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 36
20. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები 38
21. ფული და ფულის ეკვივალენტები 38
22. საწესდებო კაპიტალი 38
23. აღებული სესხები 38
24. სავაჭრო და სხვა გადასახდელები 40
25. მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები 40
26. ფინანსური ინსტრუმენტები 40
27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 48
28. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 49
29. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 50
30. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 50

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება 52

ჯგუფი სან პეტროლიუმ ჯორჯია

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა" და მისი შვილობილების („ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, აქციონერთა კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობას დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ისეთი ინფორმაციის წარდგენაზე, საღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოება ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას; და
- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 15 ივლისს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ჭრეიგ სთივენ ქრამერი
აღმასრულებელი დირექტორი

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) აქციონერებსა და დირექტორებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). ჩვენ ვიცავთ პბეკ-ით დადგენილ სხვა ეთიკურ ვალდებულებებსაც. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშს.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით მოიცავს აღნიშნული „სხვა ინფორმაციის“ გაცნობას და იმავდროულად იმის დადგენას, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა „სხვა ინფორმაციასა“ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვა არსებითი შეცდომების შემცველი . თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ.

აღნიშნული ვალდებულების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ არ არსებობს შეუსაბამობის წარმოდგენის საფუძველი.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს’) შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმო) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციასა თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამას გარდა სხვა რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ერთად:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული ერთეულებისა თუ ბიზნეს-საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის თაობაზე, რათა მის საფუძველზე შევადგინოთ დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენ ვაგებთ პასუხს ჯგუფის აუდიტის მართვაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. აუდიტორულ დასკვნაზე პასუხისმგებლობა გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე ვაცნობებთ აუდიტის მიმდინარეობისას მოპოვებული მიგნებების, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზების შესახებ.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და იმგვარი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

სტიუარტ ლეიტონი
„დელოიტი და ტუში“ სახელით

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	7	535,335	444,736
გაყიდვების თვითღირებულება	8	(468,336)	(389,314)
მთლიანი მოგება		**66,999**	**55,422**
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	9	(33,523)	(31,951)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(14,281)	(13,749)
საპროცენტო ხარჯი		(5,339)	(3,018)
საპროცენტო შემოსავალი		3,367	2,819
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(4,308)	(2,801)
სხვა შემოსავალი, წმინდა	11	3,362	2,084
მოგება გადასახადამდე		16,277	8,806
მოგების გადასახადის ხარჯი		(795)	(55)
წლიური მოგება		**15,482**	**8,751**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**15,482**	**8,751**
წლიური მოგება განეკუთვნება:			
ჯგუფის აქციონერები		15,190	8,525
არასაკონტროლო წილები		292	226
		15,482	**8,751**
სულ წლის სრული შემოსავალი განეკუთვნება:			
ჯგუფის აქციონერები		15,190	8,525
არასაკონტროლო წილები		292	226
		15,482	**8,751**

ხელმძღვანელობის სახელით:

ქრეიგ სთივენ ქრამერი
აღმასრულებელი დირექტორი

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	12	71,020	70,164
აქტივებით სარგებლობის უფლება და საიჯარო ვალდებულებები	13	18,438	-
გუდვილი	14	2,436	2,436
სხვა გრძელვადიანი აქტივები	15	708	707
ინვესტიციები დაკავშირებულ პირებში	16	3,926	3,613
ძირითად საშუალებებზე წინასწარ გადახდილი თანხები		282	320
გაცემული სესხები	18	347	538
სულ გრძელვადიანი აქტივები		**97,157**	**77,778**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	17	44,293	38,028
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	10,917	3,179
მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხები	20	2,611	1,330
გაცემული სესხები	18	50,768	44,478
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	25,638	4,574
სულ მიმდინარე აქტივები		**134,227**	**91,589**
სულ აქტივები		**231,384**	**169,367**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	22	49,385	49,385
გაუნაწილებელი მოგება		26,134	15,164
კომპანიის აქციონერების კაპიტალი		75,519	64,549
არაკონტროლო წილები		763	750
სულ კაპიტალი		**76,282**	**65,299**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
აღებული სესხები	23	20,146	24,988
საიჯარო ვალდებულებები	13	16,929	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		389	407
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**37,464**	**25,395**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	24	55,769	36,044
მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები	25	7,961	11,279
საიჯარო ვალდებულებები	13	3,628	-
აღებული სესხები	23	50,280	31,350
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**117,638**	**78,673**
სულ ვალდებულებები		**155,102**	**104,068**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**231,384**	**169,367**

ხელმძღვანელობის სახელით:

გრეგ სთივენ ქრამერი
აღმასრულებელი დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი თბილისი, საქართველო

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი, თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დამფუძნებლის აქციონერთა კუთვნილი	არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	**49,385**	**15,164**	**64,549**	**750**	**65,299**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	15,190	15,190	292	15,482
გამოცხადებული დივიდენდები	-	(4,220)	(4,220)	(279)	(4,499)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**49,385**	**26,134**	**75,519**	**763**	**76,282**

ხელმძღვანელობის სახელით:

ქრეიგ სთივენ ქრამერი
აღმასრულებელი დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	15,482	8,751
კორექტირებები:		
მოგების გადასახადის ხარჯი	795	55
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6,199	6,129
სარგებლობის უფლების აქტივების ცვეთის ხარჯი	3,584	
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული (მოგება)/ზარალი	(40)	21
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	622
საწვავის მეტობა	(1,366)	(804)
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	(468)	(337)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	110	1,480
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	4,308	2,801
საპროცენტო ხარჯი	5,339	3,018
საპროცენტო შემოსავალი	(3,367)	(2,819)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	**30,576**	**18,917**
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(7,612)	5,286
(ზრდა)/კლება მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებში	(1,275)	1,008
(ზრდა)/კლება მარაგებში	(4,726)	247
ზრდა/(კლება) კლება სავაჭრო და სხვა გადასახდელებში	17,123	(8,596)
კლება მიღებულ ავანსებსა და სხვა ვალდებულებებში	(3,327)	(10,207)
ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი ფული	**30,759**	**6,655**
გადახდილი მოგების გადასახადი	(795)	(55)
გადახდილი პროცენტი	(4,547)	(3,169)
მიღებული პროცენტი	390	147
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	**25,807**	**3,578**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(7,181)	(9,599)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	42
მიღებული დივიდენდები	155	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული	**(7,026)**	**(9,557)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი აღებული სესხებიდან	240,108	214,549
აღებული სესხების დაფარვა	(229,695)	(205,650)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,344)	-
გადახდილი დივიდენდები	(4,499)	(254)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	**3,570**	**8,645**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**22,351**	**2,666**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**4,574**	**3,062**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთებზე	(1,287)	(1,154)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**25,638**	**4,574**

ხელმძღვანელობის სახელით:

ჭრეიგ სთივენ ქრამერი
აღმასრულებელი დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" (კომპანია) დაფუძნდა საქართველოში 2010 წლის 30 ნოემბერს, შპს „სანოილ ოილ პროდაქტსის" სახელით და ბრენდირებული ბენზინგასამართი სადგურების პრემიუმ-ქსელის შექმნის მიზნით. კომპანიამ იურიდიული დასახელება ორჯერ შეიცვალა: 2011 წლის იანვარში - შპს „სანოილზე" და 2011 წლის მარტში - შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე".

ჯგუფმა ბენზინგასამართი სადგურების ქსელის შექმნა 2011 წლის მარტში დაიწყო ძირითადად მესამე მხარეებისგან აქტივების - ბენზინგასამართი სადგურებისა და ბენზინის შესანახი დეპოს შესყიდვისა და გარემონტების გზით. იმავე წლის განმავლობაში კომპანიამ დააფუძნა 100%-ით ფლობილი შვილობილი კომპანიები შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ იქვითისი" და შპს „სან სტორსი", 70%-ით ფლობილი შვილობილი კომპანია შპს „ფონიჭალა 2009" და 50%-ით ფლობილი შვილობილი კომპანიები შპს „გორი ოილ კომპანი" და შპს „ახალციხე ოილ კომპანი". აგრეთვე შეისყიდა საკონტროლო წილი შპს „დიდუბოილში", შპს „ოპტიმა +"-ში, შპს „ფიქრის გორაში", შპს „ჩაქვის ბენზინგასამართ სადგურსა" და შპს „ქოლოში" (ერთობლივად -„ჯგუფი").

ჯგუფი მოღვაწეობს როგორც საცალო, აგრეთვე საბითუმო სეგმენტში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ამუშავებდა საქართველოში მდებარე 149 (2018: 144) ბენზინგასამართ სადგურს, რომელთაგან 86 (2018: 88) ბენზინგასამართ სადგურს საკუთრებაში ფლობდა კომპანია მის შვილობილ კომპანიებთან ერთად, დანარჩენები იჯარითაა არსებული.

ჯგუფის ბენზინგასამართი სადგურების ქსელმა ოპერირება დაიწყო 2011 წლის მარტში ბრენდული სახელით - „გალფი", „გალფ ოილ ინტერნეშენალთან" გაფორმებული 15 წლიანი ლიცენზირების შეთანხმების შესაბამისად. 2015 წლის აპრილში ჯგუფმა შექმნა საკუთარი ბრენდი „ჯი-ეკონომი" და დაიწყო კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურების რებრენდინგი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 41 (2018: 38) ბენზინგასამართი სადგური მუშაობდა „ჯი-ეკონომის" ბრენდით. „ჯი-ეკონომის" ბენზინგასამართი სადგურები კონცენტრირებულია იაფი, დაბალხარისხიანი საწვავის საცალო გაყიდვებზე, „გალფი" კი პრემიუმ ხარისხის საწვავს ყიდის.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში დასაქმებული იყო 1,538 და 1,528 თანამშრომელი, შესაბამისად.

კომპანია არის ჯგუფის დამფუძნებელი კომპანია და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული ჰყავს შემდეგი შვილობილი კომპანიები:

დასახელება	ოპერირების ქვეყანა	ფლობილი წილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ფლობილი წილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საქმიანობის ტიპი
შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ იქვითისი"	საქართველო	100%	100%	მენეჯმენტი
შპს „სან სტორსი"	საქართველო	100%	100%	საკვების საცალო გაყიდვა
შპს „დიდუბოილი"	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ჩაქვის ბენზინგასამართი სადგური"	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ესპიჯი ტრეიდინგი"	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს „ფიქრის გორა"	საქართველო	75%	75%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ფონიჭალა 2009"	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს „ქოლო"	საქართველო	67%	67%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ოპტიმა+"	საქართველო	50%	50%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „გორი ოილი"	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო
შპს „ახალციხე ოილ კომპანი"	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩერ ჰოლდინგსი".

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მფლობელები არიან სს „როსნეფტი" და დავით იაკობაშვილი, შესაბამისად 49% და 38% წილებით. დანარჩენი წილები გადანაწილებულია სამ ფიზიკურ პირს შორის.

ჯგუფის მთავარი საოპერაციო ოფისი მდებარეობს მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი #34, თბილისი, საქართველო.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 15 ივლისს.

2. უწყვეტი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას უწყვეტი საწარმო პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებათა დაფარვას. წინამდებარე შეფასებისათვის ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას, მიმდინარე მიზნებს, ოპერაციების მომგებიანობასა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას, აგრეთვე გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა ჯგუფის საქმიანობაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე აქტივები 134, 227 ათასი ლარის ოდენობით 16, 589 ათასი ლარით აჭარბებდა მის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც შეადგენდა 117, 638 ათას ლარს. 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წმინდა მოგება შესაბამისი რიგითობით შეადგენდა 15,482 ათას და 8,751 ათას ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 76,282 ათას ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ნაღდი ფული 25,807 ათასი ლარის ოდენობით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა შეესაბამებოდეს უწყვეტი საწარმოს პრინციპს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- მიმდინარე ვალდებულებების ძირითად ნაწილს შეადგენს არსებული დავალიანებები საერთო კონტროლის ქვეშ არსებული დაკავშირებული პირების მიმართ. აქ იგულისხმება შპს „პეტროკას ენერგი ინტერნაციონალისა" და „ჩანელ ენერჯო ფოთი"-ს მიმართ არსებული სესხის მოკლევადიანი ნაწილები 3,956 ათასი ლარისა და 8,642 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისი მიმდევრობით. აქ ასევე შედის სავაჭრო ვალდებულებები „პეტროკას ენერჯის", „შპს პონტოს ენერჯისა" და „შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენის" 19,410 ათასი ლარი, 28,324 ლარი და 3,157 ლარი.
- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადგინდა ჯგუფის მიერ სს საქართველოს ბანკისა და სს თიბისი ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულების - ლიკვიდურობისა და ლევერეჯის დადგენილი კოეფიციენტის დარღვევა. თუმცაღა, ანგარიშგების თარიღისათვის ჯგუფმა მოიპოვა ბანკების დასტური იმის შესახებ, რომ ისინი უარს იტყოდნენ თავიანთ უფლებაზე და არ მოითხოვენ სესხის დაფარვას მისი ვადის ამოწურვამდე.
- 2020 წლის დასაწყისიდან გავრცელდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19), რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს და შედეგად, 2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ეპიდემიური მდგომარეობა. ჯგუფის საქმიანობაზე COVID-19-ს შედეგების მნიშვნელოვნება დამოკიდებულია ეპიდემიის ხანგრძლივობაზე, მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების სიმძიმეზე.
- COVID-19-ს მზარდი გავრცელების გამო საქართველოში საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 აპრილამდე უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა შემდეგ მოხდა ვადის გაგრძელება 2020 წლის 21 მაისამდე. შეჩერდა ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (როგორც შიდა, ისე მუნიციპალიტეტებს შორისი). მთავრობამ ასევე დააწესა შეზღუდვები კერძო ავტოტრანსპორტით სარგებლობაზე 2020 2ლის 17 აპრილიდან 26 აპრილამდე პერიოდში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ჯგუფის გაყიდვები, თუმცა მას საკმარისი

რესურსები აქვს საქმიანობის გასაგრძელებლად. საზოგადოებრივი ტრანსპორტი 2020 წლის 29 მაისიდან აღდგა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რეგისტრირებული აქტივების ღირებულებების აღდგენასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ შესწორებებს, და ვალდებულებების კლასიფიკაციას, რაც ჯგუფის საქმიანობის შეწყვეტისას შეიძლება გახდეს საჭირო.

3. შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება:

ჯგუფმა მიმდინარე წელს შემოიღო ახალი და რედაქტირებული შემდეგი სტანდარტები:

- ფასს 16 იჯარები;
- ფასს 9 ცვლილებები - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების იდენტიფიცირებისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. ჯგუფისათვის ფასს 16-ის საწყისი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16:C5(6) შესაბამისია. შედეგად, ჯგუფი შედარებით ინფორმაციას არ გადააფასებს. ჯგუფი გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და ხელახლა არ შეაფასებს არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16 განასხვავებს საიჯარო და მომსახურების ხელშეკრულებებს იმის მიხედვით თუ რამდენად აკონტროლებს მომხმარებელი იდენტიფიცირებად აქტივს. მეიჯარის ბუღალტრულ ჩანაწერებიდან ამოღებულია განსხვავება საოპერაციო იჯარას (ბალანსს გარე) და ფინანსურ იჯარას (საბალანსო) შორის, ახალი მოდელით მოიჯარე ვალდებულია აღიაროს აქტივი სარგებლობის უფლებით და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები (მაგ. ბალანსზე) ყველა სახის იჯარის დროს, გარდა მოკლევადიანი იჯარების ან დაბალი ღირებულების აქტივების შემთხვევებისა.

სარგებლობის უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

მოიჯარის აღრიცხვის წესისგან განსხვავებით, ფასს 16-ს მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნები ძირითადად ბასს 17-ში გადააქვს და კვლავინდებურად ავალდებულებს მეიჯარეს მოახდინოს იჯარების დაყოფა საოპერაციო ან ფინანსური სახის იჯარებად.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

ჯგუფმა დაასრულა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე პოტენციური გავლენის პირველადი შეფასება.

ჯგუფი აღიარებს ფილიალებისა და საოფისე ფართის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ ახალ აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისი ხარჯების ბუნება შეიცვლება, რადგან ფასს 16-ით საოპერაციო იჯარის ხარჯის წრფივი ასახვა იცვლება გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებზე - ცვეთის ხარჯითა და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯის აღიარებით.

სტანდარტის მიღებამდე ჯგუფი საოპერაციო იჯარის ხარჯს წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებდა, ხოლო აქტივებსა და ვალდებულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის დროში განსხვავება იყო.

ჯგუფმა ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენება 2019 წლის 1 იანვარს მოახდინა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით.

მანამდე საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებულ იჯარებთან დაკავშირებით ფასს 16-ის საწყისი აღიარების თარიღისათვის იჯარის ვალდებულების აღიარებისათვის ჯგუფი იყენებს კუმულატიურ დაყოვნების მიდგომას. იჯარის ვალდებულება აისახება დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მოიჯარის მზარდი სესხის განაკვეთით საწყისი აღიარების თარიღში.

პრაქტიკული საშუალების სახით, რომელიც ინდივიდუალურ იჯარებზე მოქმედებს, ჯგუფი არ აღიარებს უფლების მატარებელ აქტივებს ან მანამდე საოპერაციო იჯარად აღიარებულ საიჯარო ვალდებულებებს, რომელთა იჯარას ვადა გასდის საწყისი აღიარების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

სარგებლობის უფლების აქტივებთან დაკავშირებით ფასს 16-ის საწყისი აღიარების თარიღისათვის იჯარის ვალდებულების აღიარებისათვის ჯგუფი იყენებს კუმულატიურ დაყოვნების მიდგომას. ამგვარი აქტივები აისახება საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, რომელიც კორექტირებულია უკვე გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადით, რომელიც დაკავშირებულია საწყისი აღიარების თარიღამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ კონკრეტულ იჯარასთან.

გარდა ამისა, საწყისი აღიარების თარიღისათვის სარგებლობის უფლების აქტივის ღირებულების გაზომვის გაანგარიშებაში ჯგუფი არ ითვალისწინებს საწყის პირდაპირ ხარჯებს.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებული იყო 18,525 ათასი ლარის ოდენობის გამოყენების უფლების აქტივი და საიჯარო ვალდებულებები. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი 10.8%. საშუალო საიჯარო ვადა არის 8 წელი.

შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდა უარყოფითი ანაზღაურების მახასიათებლებით

ფასს 9-ის შესწორება განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია გადაიხადოს ან მიიღოს სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადახდილი თანხისთვის წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდეც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 9-ის შესწორების გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ჯგუფი არ იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და რედაქტირებულ ფასს სტანდარტებს, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- ფასს 10 და ბასს 28 შესწორებები - აქტივების ნასყიდობა ან შენატანები ინვესტორსა და ასოცირებულ პირებს შორის თუ ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს 3-ის ცვლილებები - "სამეწარმეო საქმიანობის" განმარტება;

- ბასს 1-სა და ბასს 8-ს - „არსებითის“ განმარტება;
- ფასს-ის წლიური რედაქტირებები (2010-2012წწ.) ციკლი დამატებები ბასს 1-ზე - ვალდებულებების დაყოფა გრძელვადიან და მიმდინარე ვალდებულებებად.

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების ცნობის, შეფასების, წარმოდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს და ცვლის მანამდე არსებულ ფასს 4 -სადაზღვევო ხელშეკრულებები.

ფასს 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელიც მორგებულია სადაზღვევო ხელშეკრულებებზე პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით, რაც აღწერილია როგორც ცვლადი ანაზღაურების მიდგომა. ზოგადი მოდელი მარტივდება გარკვეული კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, რაც დამოკიდებულია პრემიის გადანაწილების მეთოდით გადასახდელად დარჩენილი დაფარვის განსაზღვრის შედეგად.

ზოგადი მოდელი ითვალისწინებს მიმდინარე დაშვებებით მოცულობის, ვადების, ფულადი სახსრების მოძრაობის არასტაბილურობის განსაზღვრას და პირდაპირ ზომავს ამ არასტაბილურობის ფასს. შეფასებაში მიიღება საპროცენტო განაკვეთის საბაზრო ოდენობა და დამზღვევთა შესაძლო ვარიანტები და გარანტიები.

ეს სტანდარტი ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისათვის, შესაძლებელია ადრე გამოყენებაც. ის ვრცელდება წინა პერიოდზეც, ხოლო თუ ეს ტექნიკურად შეუძლებელი არაა, ამ დროს გამოიყენება მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა ან საბაზრო ფასის მიდგომა. ფასს 17-ს ცვლილების შემოთავაზებულ პროექტით დარეგულირებულია ყველა ის მოსაზრება და საიმპლემენტაციო გამოწვევა, რომელიც ფასს 17-ის გამოქვეყნების შემდეგ დაფიქსირდა. ერთ-ერთი ძირითადი ცვლილებაა ფასს 17 სტანდარტის ამოქმედება ერთი წლით უფრო გვიან, 2022 წლის 1 იანვრიდან ან მომდევნო ყოველწლიურ პერიოდზე.

გადამავალი დებულებების მიზნებისათვის, სტანდარტის გამოყენების დაწყების დღედ ითვლება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების დღე, რომელშიც საწარმო პირველად იმოქმედებს სტანდარტის შესაბამისად, ხოლო გარდამავალ თარიღად ითვლება იმ პერიოდის დაწყების დღე, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს სტანდარტის გამოყენების დაწყების დღეს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

ფასს 3-ის ცვლილებები - "სამეწარმეო საქმიანობის" განმარტება

ცვლილებებით განიმარტება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობით ჩვეულებრივ მიიღება შემოსავალი, ეს უკანასკნელი არაა აუცილებელი მახასიათებელი იმისთვის, რომ მოქმედებებისა და აქტივების ინტეგრირებულ ერთობას დაერქვას სამეწარმეო საქმიანობა. იმისათვის, რომ ბიზნესად განვიხილოთ, მოქმედებებისა და აქტივების ერთობლიობა უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შენატანს და არსებით საქმიანობას, რომელიც ერთობლივად მიმართულია სარგებლის მიღებაზე.

მოცემულია დამატებითი მითითებები, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დადგინდეს რამდენად გვაქვს კონკრეტულ შემთხვევაში არსებითი/ორგანიზებული საქმიანობა.

ცვლილებებით ასევე შემოთავაზებულია ნებაყოფლობითი კონცენტრაციის ტესტი, რომელიც გამარტივებული შეფასებით ადგენს როდის არ ჩაითვლება მოქმედებებისა და აქტივების მიღებული ერთობლიობა ბიზნეს/სამეწარმეო საქმიანობად. ნებაყოფლობითი კონცენტრაციის ტესტით საქმიანობებისა და აქტივების მიღებული ერთობლიობა არ წარმოადგენს ბიზნესს/სამეწარმეო საქმიანობას, თუ რეალური ღირებულება კომპანიის ყველა აქტივისა კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებად აქტივში, ან ერთმანეთის მსგავსი აქტივების ერთ ჯგუფში.

ცვლილებები მიმართება ყველა სახის ბიზნეს გაერთიანებასა და აქტივის მიერთების შემთხვევებს, რომელიც 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდება. ნებადართულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

ბასს 1-სა და ბასს 8-ს ცვლილებები - „არსებითის" განმარტება;

ცვლილებების მიზანია ჩამოაყალიბოს ბასს 1-ში ტერმინ „არსებითი"-ს მარტივად გასაგები განმარტება, ამასთან, არ უნდა მოხდეს ფასს სტანდარტების საფუძველში არსებული არსებითობის კონცეფციის ცვლილება. ამ ახალი განმარტების ნაწილია „ბუნდოვანი" არსებითი ინფორმაციისა და არაარსებითი ინფორმაციის ცნებები.

შეიცვალა მომხმარებელზე გავლენის მქონე არსებითობის ზღვარი, ნაცვლად „შესაძლო გავლენისა" დადგინდა „შესაძლო გონივრული მოლოდინი გავლენისა".

ბასს 8-ში ტერმინი „არსებითის" განმარტება შეიცვალა მითითებამ ბასს 1-ში მოყვანილ განმარტებაზე. ამასთან ერთად, იმისათვის რომ განმარტებები ყოფილიყო თანამიმდევრული, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო ბიურომ მსგავსად შეცვალა განმარტება სხვა სტანდარტებსა და კონცეპტუალურ ჩარჩოში, სადაც ეს ტერმინი იყო მოცემული.

ცვლილებები მიმართება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებს, ნებადართულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

ფასს-ის წლიური რედაქტირებები (2010—2012) რედაქტირებების ციკლი ბასს 1 - ვალდებულებების დაყოფა მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად

ცვლილებებით ნათლად არის დადგენილი, რომ ვალდებულება გრძელვადიანია, თუ სუბიექტს აქვს მოლოდინი, და ამის დისკრეციული უფლება, ხელახლა დააფინანსოს ან გადაავადოს ვალდებულების შესრულება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან სულ ცოტა თორმეტი თვის განმავლობაში, იგივე საკრედიტო ხაზის ფარგლებში, იგივე გამსესხებლისაგან და იგივე ან მსგავსი პირობებით.

ცვლილება მიემართება მხოლოდ ვალდებულებების აღწერას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და არ ცვლის თავად ამ ვალდებულების აღიარებულ ოდენობას ან მის ვადას, ან იმ ინფორმაციას, რომელიც სუბიექტმა ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს.

ცვლილებები ნათლად განმარტავს, რომ მსგავსი კლასიფიკაცია ეფუძნება ვალდებულების შესრულების დამატებით 12 თვით გადავადების უფლებებს, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის დასრულების მომენტში უკვე არსებობს. მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ მხოლოდ „საანგარიშგებო პერიოდის დასრულების მომენტში" არსებული უფლება შეიძლება განაპირობებდეს ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიკაციას. ვალდებულების კლასიფიცირებაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, თუ რამდენად გამოიყენებს სუბიექტი ვალის გადავადების უფლებას; შესრულება გამოიხატება მეორე მხარისათვის ფულის გადახდაში, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა სახის აქტივების გადაცემასა თუ მომსახურების გაწევაში.

ცვლილებები მიმართება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებს და გავრცელდება რეტროსპექტულად. ნებადართულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი – წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი არის ფუნქციონირებადი საწარმო და ოპერირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი"), თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი (ისტორიული) ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის დამფუძნებლის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი"). ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

კონსოლიდირების საფუძველი – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და კომპანიის მიერ კონტროლირებადი პირის (შვილობილი კომპანიები) დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა, როდესაც კომპანიას გააჩნია:

- ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე;
- მონაწილეობა ან უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე; და
- უნარი, გამოიყენოს ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

კომპანია აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტირების ობიექტს, მიუთითებს თუ არა გარემოებები, რომ ზემოთ მოყვანილი სამი ელემენტიდან ერთში ან მეტში მოხდა ცვლილება.

როდესაც კომპანია ინვესტირების ობიექტში ფლობს ხმის უფლებათა უმრავლესობაზე ნაკლებს, მას ძალაუფლება გააჩნია, თუ მისი ხმის უფლება მას ანიჭებს პრაქტიკულ შესაძლებლობას ცალმხრივად გაუძღვეს პირის შესაბამის საქმიანობას. იმის დასადგენად, არის თუ არა ფლობილი ხმების რაოდენობა საკმარისი ინვესტირების ობიექტზე ძალაუფლების განსახორციელებლად, კომპანია აფასებს შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებს:

- კომპანიის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობა სხვა მფლობელების მიერ ფლობილი ხმების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებსა თუ სხვა პირების მიერ ფლობილი პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილი უფლებები; და
- ნებისმიერი სხვა ფაქტი და გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიას ამჟამად აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გაუძღვეს შესაბამის საქმიანობას გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის მომენტში, მათ შორის, აქციონერთა წინა კრებებზე ხმათა გადანაწილების გათვალისწინებით.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც კომპანია მასზე კონტროლს მოიპოვებს და წყდება, როდესაც ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები წინასწარ სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში შედის იმ დღიდან, როდესაც კომპანია კონტროლს მოიპოვებს და გრძელდება იმ დღემდე, როდესაც კომპანია კონტროლს კარგავს.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეწერება კომპანიის მფლობელებსა და არასაკონტროლო წილებს. შვილობილი კომპანიების მთლიანი სრული შემოსავლები კომპანიის მფლობელებსა და არასაკონტროლო წილებს მიეწერება მაშინაც კი, თუ ამის შედეგად არასაკონტროლო წილებს უარყოფითი ნაშთი გამოსდით.

აუცილებლობის შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ისე კორექტირდება, რომ მათი საბუღალტრო პოლიტიკა ჯგუფის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს.

ჯგუფის შიგნით ყველა აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული კონსოლიდირებისას სრულად იქვითება.

არასაკონტროლო წილები წარმოადგენს შვილობილი კომპანიის იმ კაპიტალს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არ ეკუთვნის დამფუძნებელს.

არასაკონტროლო წილები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში - კაპიტალის ნაწილად, მაგრამ დამფუძნებლის აქციონერული კაპიტალისგან ცალკე.

ისეთი ცვლილება ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიებში ფლობილ წილებში, რომელიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიებზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც წილობრივი ტრანზაქციები. ჯგუფის წილებისა და არასაკონტროლო წილების საბალანსო ღირებულებები კორექტირდება და ასახავს შვილობილ კომპანიებში მათი ფარდობითი წილების ცვლილებას. ნებისმიერი სხვაობა არასაკონტროლო წილის კორექტირების ოდენობასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება პირდაპირ კაპიტალში და მიეწერება კომპანიის მფლობელებს.

როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, მოგება ან ზარალი ტრანზაქციიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და იანგარიშება როგორც სხვაობა 1) მიღებული კომპენსაციის და შენარჩუნებული წილის სამართლიანი ღირებულებების ჯამურ თანხასა და 2) კონტროლის დაკარგვამდე არსებული შვილობილის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებას და არაკონტროლირებად წილს შორის. ყველა თანხა აღიარებული შვილობილთან დაკავშირებით ადრე, როგორც სხვა საერთო შემოსავალი, აღირიცხება ისე როგორც აღირიცხებოდა ჯგუფს რომ პირდაპირ გაეყიდა შვილობილთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები (გადაკლასიფიცირდება მოგება/ზარალში ან კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში შესაბამისი ფასს-ის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით). კონტროლის დაკარგვის მომენტში, ყოფილ შვილობილში შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება ჩაითვლება შემდგომში როგორც, სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ბასს 39-ის მიხედვით ინვესტიციის შემდგომ პერიოდებში აღრიცხვისათვის, როცა რელევანტურია, ღირებულებად ინვესტიციის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში.

საწარმოთა გაერთიანება - ბიზნესების შეძენა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. გადაცემული კომპენსაცია ბიზნეს კომბინაციის დროს აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და იანგარიშება როგორც შეძენის თარიღში არსებული აქტივების სამართლიანი ღირებულების ჯამი, რაც ჯგუფმა გასცა, ვალდებულებების, რაც ჯგუფმა გასწია ყოფილ მფლობელებზე და კაპიტალისა, რაც ჯგუფმა შეიტანა კონტროლის სანაცვლოდ. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში გაწევის მომენტში.

შეძენის თარიღში, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები და თანამშრომელთა სარგებლის პროგრამებთან დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც აღიარდება და იზომება ბასს 12-ის და ბასს 19-ის შესაბამისად;

- ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია შეძენილი ბიზნესის აქციებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან ან ჯგუფის აქციებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამები, აღირიცხება ფასს 2-ის „წილებზე დაფუძნებული ანაზღაურების" მიხედვით, შეძენის მომენტში; და
- აქტივები (ან გასაყიდი ჯგუფები) რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდი ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციებით" და შესაბამისად იზომება მოცემული სტანდარტის მიხედვით.

გუდვილი აღირიცხება, როგორც სხვაობა გაცემული ანაზღაურების, შეძენილ ბიზნესში არასაკონტროლო წილების ღირებულებისა და შეძენილ ბიზნესში შემსყიდველის მიერ შესყიდვამდე ფლობილი წილის სამართლიანი ღირებულების ჯამსა და შესყიდული და დაკვირვებადი აქტივების შესყიდვის დღეს არსებული ღირებულებებისა და ნაკისრი ვალდებულების სხვაობას შორის. თუ გადაფასების შემდეგ შესყიდვის დღეს შესყიდული დაკვირვებადი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების სხვაობა აჭარბებს შეძენილ ბიზნესში არასაკონტროლო წილების ღირებულებისა და შეძენილ ბიზნესში შემსყიდველის მიერ შესყიდვამდე ფლობილი წილის სამართლიანი ღირებულების ჯამს, ეს სხვაობა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში როგორც სარფიანი შესყიდვით მიღებული მოგება.

არასაკონტროლო წილები, რომლებიც წარმოადგენს მფლობელობაში არსებულ მიმდინარე წილებს და მფლობელს უფლებას აძლევს, მიიღოს პროპორციული წილი ობიექტის წმინდა აქტივებიდან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შესაძლებელია, თავიდან აისახოს ან სამართლიანი ღირებულებით, ან შესყიდვის ობიექტის არსებული წმინდა აქტივების აღიარებული ღირებულების იმ წილით, რომლებიც არასაკონტროლო წილების პროპორციულია. აღრიცხვის საფუძველი შეირჩევა თითოეული ტრანზაქციისათვის. არასაკონტროლო წილის სხვა სახეობები აისახება სამართლიანი ღირებულებით, ან შესაბამისი ფასს-ით გათვალისწინებული მიდგომით.

როდესაც კომპენსაცია, რომელსაც მყიდველი საწარმო გადასცემს შესყიდული საწარმოს სანაცვლოდ, შეიცავს აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია პირობითი კომპენსაციის გარიგებით, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება უნდა აღიაროს, როგორც შეძენილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. შეფასების პერიოდის განმავლობაში, მყიდველმა საწარმომ რეტროსპექტიულად უნდა დააკორექტიროს შეძენის თარიღით აღიარებული პირობითი თანხები გუდვილთან მიმართებით. შეფასების პერიოდის განმავლობაში გაკეთებული კორექტირებები წარმოადგენს კორექტირებებს რომლებიც შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ ახალი ინფორმაციის მიღების შედეგად წარმოიშვა (შეფასების პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს შეძენის თარიღიდან ერთ წელს).

იმ პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირება, აღირიცხება იმის მიხედვით, თუ როგორ კლასიფიცირდება პირობითი კომპენსაცია. თუ ის კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი, გადაფასება არ ხდება და შემდგომი ანგარიშსწორება აისახება კაპიტალში. ხოლო თუ იგი კლასიფიცირდება როგორც აქტივი ან ვალდებულება, შეფასება უნდა მოხდეს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" ან ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" სტანდარტების მიხედვით, ხოლო შესაბამისი შემოსულობის ან ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშში.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში მყიდველმა საწარმომ მისი ადრინდელი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში უნდა გადააფასოს შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ სამართლიან ღირებულებამდე და საჭიროებისამებრ, მოგებაში ან ზარალში აღიაროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში. წინა საანგარიშგებო პერიოდში მყიდველ საწარმოს შეიძლება სხვა სრულ შემოსავალში ჰქონდეს აღიარებული შეძენილ საწარმოში თავისი სააქციო წილის ღირებულების ცვლილებები. ასეთ შემთხვევაში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა იმავე საფუძვლით უნდა აღირიცხოს, როგორც იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო თუ მყიდველი საწარმო პირდაპირ გაასხვისებდა თავის ადრინდელ სააქციო წილს.

თუ საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანება მოხდა, მყიდველმა საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აჩვენოს პირობითი თანხები. პირობითი თანხები კორექტირდება შეფასების პერიოდის განმავლობაში, ან საწარმომ

უნდა აღიაროს დამატებითი აქტივები და ვალდებულებები, თუ მიღებულია ახალი ინფორმაცია შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ, რომელიც, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, გავლენას მოახდენდა ამ დროისათვის აღიარებულ ოდენობებზე.

გუდვილი - გუდვილი, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესის შესყიდვისას, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც დადგინდა ბიზნესის შესყიდვის დღეს, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გაუფასურების შემოწმების მიზნით, გუდვილი ნაწილდება ჯგუფის თითოეულ ფულის მომტან ერთეულზე, რომელიც სავარაუდოდ ისარგებლებს გაერთიანებით მიღებული სინერგიით. ჯგუფი ფულის მომტან ერთეულად თვლის სადგურების მთლიან ქსელს. ფულის მომტანი ერთეულები, რომლებზეც მოხდა გუდვილის განაწილება, გაუფასურებაზე მოწმდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ ერთეული შეიძლება გაუფასურებული იყოს. თუ ფულის მომტანი ერთეულის აღდგენადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე მეტია, გაუფასურების ზარალი ჯერ აკლდება გუდვილის მისეული წილის საბალანსო ღირებულებას, შემდეგ კი ერთეულის ყველა სხვა აქტივს მისი საბალანსო ღირებულების პროპორციულად. გუდვილის გაუფასურების ზარალი აღიარდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გუდვილზე აღიარებული გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდში არ აღდგება.

ფულის მომტანი ერთეულის რეალიზაციის შემთხვევაში, გუდვილის მისეული წილი შედის რეალიზაციით მიღებული მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში.

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. მეკავშირე საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა არის ჯგუფის უნარი, მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, მაგრამ არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივი საწარმო არის გარიგება, სადაც ერთობლივი კონტროლის მქონე მხარეებს გააჩნიათ უფლებები ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ერთობლივად ითვლება კონტროლი, რომლის განაწილება შეთანხმებულია კონტრაქტით და არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი საქმიანობის თაობაზე მოითხოვს ყველა მაკონტროლებელი მხარის თანხმობას.

მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შედეგები და აქტივები და ვალდებულებები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია წილობრივი მეთოდით. ამ მიდგომით ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ კორექტირდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის წილის აღიარების მიზნით. თუ ჯგუფის ზარალის წილმა გადააჭარბა ჯგუფის მიერ ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილ წილს (რაც მოიცავს გრძელვადიან წილებს, რომლებიც არსებითად შეადგენს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის წილს), ჯგუფი წყვეტს ამის შემდეგ მიღებულ ზარალში თავისი წილის აღიარებას. შემდგომი ზარალი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა შეასრულა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულებები ან განახორციელა გადახდები მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს სახელით.

ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში წილობრივი მეთოდით აღირიცხება იმ დღიდან, როდესაც ინვესტირების ობიექტი იქცა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ. მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შესყიდვისას სხვაობა ინვესტიციის ღირებულებასა და ინვესტირების ობიექტის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაში ჯგუფის წილს შორის აღიარდება გუდვილად და შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულების გაანგარიშებაში. სხვაობა წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაში ჯგუფის წილსა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის, გადაფასების შემდეგ, დაუყოვნებლივ აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც მოხდა ინვესტიციის შესყიდვა.

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის ინვესტიციაზე გაუფასურების ზარალის აღიარება, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთელი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ შესაბამისად, როგორც ერთი აქტივი. შემოწმების მიზნით მისი აღდგენადი ღირებულება (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, შორის უმცირესი) ედრება მის საბალანსო ღირებულებას. აღიარებული გაუფასურების ზარალი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის შესაბამისად, ისე, რომ ინვესტიციის აღდგენად ღირებულება, შედეგად, იზრდება.

ჯგუფი წილობრივი მეთოდის გამოყენებას წყვეტს იმ დღიდან, როდესაც ინვესტიცია აღარ ითვლება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ ან მაშინ, როდესაც ინვესტიცია გადადის გასაყიდად განკუთვნილის კატეგორიაში. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში და ეს შენარჩუნებული წილის არის ფინანსური აქტივი, ჯგუფი შენარჩუნებულ წილს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ამ დღის მდგომარეობით და, ბასს 39-ის შესაბამისად, ეს ღირებულება ითვლება სამართლიან ღირებულებად თავდაპირველი აღიარებისას. სხვაობა წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტის დღეს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და შენარჩუნებული წილის სამართლიანი ღირებულებისა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ჯამს შედის ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს რეალიზაციით მიღებული მოგება-ზარალის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, ამავე მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებულ ყველა თანხას ჯგუფი აღრიცხავს ისევე, როგორც აღრიცხავდა იმ შემთხვევაში, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები პირდაპირ რომ გაეყიდა. ამდენად, თუ ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიერ სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება ან ზარალი შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გაყიდვისას გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის ანგარიშში, ჯგუფი წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტისას მოგებას ან ზარალს გადაიტანს კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირებას).

წილობრივი მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში იქცევა ინვესტიციად ერთობლივ საწარმოში ან ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში იქცევა ინვესტიციად მეკავშირე საწარმოში. წილებში ამგვარი ცვლილება სამართლიანი ღირებულების გადაფასებას არ იწვევს.

თუ ჯგუფმა შეამცირა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილი, მაგრამ გააგრძელა წილობრივი მეთოდის გამოყენება, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება--ზარალის ის წილი, რომელიც დაკავშირებული იყო ფლობილი წილის შემცირებასთან მოგება-ზარალის ანგარიშში რეკლასიფიცირდება, თუ შესაბამისი აქტივების ან ვალდებულების რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი ან ზარალი მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდებოდა.

ჯგუფში შემავალ პირსა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, მის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მხოლოდ იმ წილის პროპორციულად, რომელიც არ არის დაკავშირებული ჯგუფთან.

შემოსავლის აღიარება - შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება.

<u>საქონლის რეალიზაცია</u>
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი; და

- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

ჯგუფი საწვავის, გაზისა და სხვა საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროში ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

საიჯარო შემოსავალი
ჯგუფის პოლიტიკა საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით აღწერილია ქვემოთ.

დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი
დივიდენდური შემოსავალი ინვესტიციებიდან აღიარდება, როდესაც დადგინდება მფლობელის უფლება, მიიღოს გადახდები (იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია).

საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროგნოზო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იჯარა - იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა იჯარის ამღებს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ჯგუფი როგორც მოიჯარე
საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის შეთანხმებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული საწყისი პირდაპირი ხარჯები იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას ემატება და წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში.

ჯგუფი როგორც მეიჯარე
საოპერაციო იჯარის გადასახდელები წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ განასახიერებს იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს. საოპერაციო იჯარით წარმოშობილი პირობითი გადახდები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გაფორმებასთან დაკავშირებულია შეღავათები, ისინი აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების ჯამური სარგებელი აღიარდება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება წრფივ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ განასახიერებს იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

უცხოური ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
GEL/USD	2.8677	2.6766
GEL/EUR	3.2095	3.0701

სესხის აღების ხარჯები – სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ისეთი კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან დამზადებას, რომელთა გამზადებას მოსახმარად ან გასაყიდად დიდი დრო სჭირდება, ემატება ამ აქტივების თვითღირებულებას მანამდე, სანამ ეს აქტივები არსებითად არ გამზადდება დაგეგმილი მოხმარების ან გაყიდვისათვის.

სესხის აღების ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის პერიოდში.

მოგების გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წესი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც სამართლიან, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მიმდინარე და წარსული პერიოდების საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

სხვა გადასახადები, გარდა ზემოაღწერილი წესით განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადისა, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღინიშნება „საგადასახადო ხარჯები“ ნაწილში.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თვითღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის ისტორიული ღირებულება (თვითღირებულება) მოიცავს (ა) მის შესასყიდ ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებლებსა და გადასახადებს შენაძენზე, რომლებიც არ ბრუნდება, დისკონტებისა და ფასდათმობების გამოკლების შემდეგ; (ბ) ყველა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ერთეულის იმ ადგილასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას; (გ) ერთეულის

დაშლის, გადაადგილების და ხელახლა აწყობის ხარჯების წინასწარ გაანგარიშებას; (დ) ვალდებულებას, რომელსაც ჯგუფი კისრულობს ან ერთეულის შესყიდვისას ან იმის შედეგად, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის სხვა მიზნით გამოიყენა; და (ე) კვალიფიციური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებულ სესხის აღების ხარჯებს.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებისა და ჩანაცვლების დიდ ხარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადას და ზრდის შემოსავლის გენერირების შესაძლებლობებს. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, გაწევისას აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთის დარიცხვის შედეგად ცვეთადი ღირებულება ჩამოიწერება აქტივის სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ძირითად საშუალებათა კატეგორიები	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე ტექნიკა	5
სხვა მატერიალური აქტივები	3

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების ამ ერთეულის რეალიზაციით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი რომ იყოს იმ ასაკისა და მდგომარეობის, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მოხმარების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს. წინა შეფასებების ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად, როგორც საღრიცხვო პროგნოზების ცვლილება.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალების მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის მშენებლობისას გაწეულ პირდაპირ დაკავშირებულ ცვლად ზედნადებ ხარჯებს. მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მისი ცვეთა, სხვა ძირითადი საშუალებების მსგავსად, იწყება, როდესაც აქტივები მზადაა მოსახმარად, ანუ მაშინ, როდესაც აქტივები არის იმ ადგილასა და მდგომარეობაში, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას.

აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, არის თუ არა ნიშანი იმისა, რომ აქტივებმა განიცადოს გაუფასურება. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, კომპანია აფასებს შემოსავლის მომტანი იმ ერთეულის აღდგენად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს, სამართლიან ღირებულებასა (გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები) და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე, ისეთ გადასახადამდე, დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენადი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენად ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან უკანასკნელი პერიოდის კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული. ასეთ

დროს ანგარიშგებაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, რომ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან , დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისას ხდება საწყისი აღიარება და მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და აქტივების მართვისათვის ჯგუფში არსებულ ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს შემდეგი გარემოებებიდან ორივეს არსებობის შემთხვევაში:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები წარმოშობს ფულად ნაკადებს კონკრეტულ თარიღებში, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტულ დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას საწვავის, ბუნებრივი აირის და სხვა საქონლის გაყიდვისაგან. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა" (H2C) კლასიფიცირდება. ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და საკუთრების უფლება არ გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, თუმცაღა კონტროლი არ დაიტოვა.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის მიყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ასევე მოიცავს დერივატივებს, და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

იმ ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა მიწოდება უნდა მოხდეს რეგულირებით ან ბაზარზე შეთანხმებით დადგენილ ვადაში (რეგულარული ყიდვა-გაყიდვა), აისახება ვაჭრობის თარიღში, რომელიც არის ის თარიღი, რომელშიც ჯგუფი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდებას. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებელთან სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ექვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფულსა და ფულის ექვივალენტებში შედის ნაღდი ფული სალაროში, ბანკებში განთავსებული ნაღდი ფული, ფული ტრანზიტში და დეპოზიტები ღირებულების ცვლილების მნიშვნელოვანი რისკის გარეშე მათი დაუყოვნებლივ გატანის ოფციით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საწყისის შემდგომი აღიარებისას აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება, აისახება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი საპროგნოზო თანხების შესაბამისი რეზერვი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული რეზერვის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი შეფასებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი სამომავლო ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც შესაძლოა იყოს დამახასიათებელი მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსათვის. საწვავის გაყიდვის სავაჭრო მოთხოვნები ფასდება ჯგუფურად.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს დეფოლტის პარამეტრის ზღვრული ალბათობის რისკის პარამეტრებს, დეფოლტის შემთხვევაში რისკის მოცულობის პარამეტრს და დეფოლტით გამოწვეული ზარალის პარამეტრს. თუ საბაზო ნიშნულის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად იყენებს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებს. საბაზო ნიშნულის მიდგომის გამოყენების მიზნებისათვის ერთერთი მთავარი მონაცემია გარე რეიტინგები ან მათი საბაზო ნიშნულები კონტრაგენტის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის გამოყენებით. ჯგუფი გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას იკვლევს ღია წყაროების საშუალებით, მათ

შორის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებსაიტებზე, როგორებიცაა „მუდისი", „ფიტჩი" და „ს&ფ". თუ გარე რეიტინგი ხელმისაწვდომი არ არის, ჯგუფი მოიპოვებს კონტრაგენტის ფინანსურ ანგარიშგებებს და საბაზო რეიტინგს ადგენს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, „მუდისის" ფინანსური კოეფიციენტების კვლევის საშუალებით.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მსდ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტური გარემოების არსებობისას წარმოიშობა (მოიხსენება როგორც მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს განეკუთვნება. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ჯგუფი სხვა მოთხოვნების მსდ-ს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილ დანაკარგის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შექმნა. ამოუღებელი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგება-ზარალის მიხედვით.

გაცემული სესხები - გაცემული სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მარაგები - აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. ხარჯები, მათ შორის, ფიქსირებული და ცვლადი ზედნადები ხარჯების შესაბამისი წილი მარაგებზე ნაწილდება მათი კლასისათვის ყველაზე შესაფერისი მეთოდით, უმეტესობა კი - საშუალო ღირებულების მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გაქვითულია გაყიდვისა და ფინალიზაციის სავარაუდო ხარჯები.

რეზერვები - რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო თარიღში მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება.

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა არც ისე შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ სავარაუდოა ჯგუფის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება.

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად - ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები - წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთრ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

სააქციო კაპიტალი - სააქციო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები - დივიდენდები აღირიცხება საკუთარ კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა" და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები - მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით არა-აღდგენადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

მიღებული ავანსები - მიღებული ავანსები მოიცავს საწვავისთვის ავანსად მიღებულ ფულს და სხვა მიღებულ ავანსებს. ავანსად მიღებული თანხები შემოსავლად არ აღირიცხება შესაბამისი პროდუქტის მიწოდებამდე და მომსახურების გაწევამდე.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტები და უზუსტობების შეფასების ძირითადი საშუალებები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში N5, ხელმძღვანელობას უწევდა შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. ფაქტობრივად შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

უზუსტობების შეფასების ძირითადი საშუალებები

<u>იჯარები</u> - ზოგ შემთხვევაში იჯარის ვადის განსაზღვრა, მოკლევადიანი იქნება ის თუ გრძელვადიანი, ხელმძღვანელობის შეფასებაზეა დამოკიდებული, რაც მსგავსი ხელშეკრულებებისა თუ მოიჯარეების მიხედვით უნდა გადაწყდეს. კერძოდ, ხელმძღვანელობა საიჯარო ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესაძლებლობით სარგებლობს იმ შემთხვევებში, როცა ის დარწმუნებულია იჯარის გაგრძელებაში და არ სურს მისი შეწყვეტა. როდესაც საიჯარო ხელშეკრულება არ ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთს, ხელმძღვანელობა იყენებს მზარდი სესხის განაკვეთს.

გუდვილის გაუფასურება - იმის დასადგენად, არის თუ არა გუდვილი გაუფასურებული, ფასდება იმ ფულის მომტანი ერთეულების გამოყენებული ღირებულება, რომელზეც მოხდა გუდვილის განაწილება. გამოყენებული ღირებულების დასაანგარიშებლად დირექტორები აფასებენ იმ მომავალ ფულად ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია ფულის მომტანი ერთეულისგან და ადგენენ დისკონტირების განაკვეთს მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად.

გადასახადები - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო, ამ უკანასკნელებმა ტრანზაქციები ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვი არ შექმნილა. ანგარიშები საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა სამი წლის განმავლობაში.

სამართლებრივი დავების რეზერვი - სამართლებრივი დავების რეზერვის დადგენა ხელმძღვანელობის შეფასების საქმეა. ამ პროცესში ხელმძღვანელობა განიხილავს სამართლებრივი დავების მოსალოდნელ შედეგებს და მხედველობაში იღებს ამ დავების გარემომცველ რისკებსა და განუსაზღვრელობებს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები - ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს ქმნის იმ საპროგნოზო ზარალის აღსარიცხავად, რომელიც წარმოიშობა მისი კლიენტების უუნარობისგან დაფარონ სავალდებულო გადახდები ან მისი მომწოდებლების მხრიდან შეთანხმებული პროდუქტების ან მომსახურების მოწოდების შეუძლებლობით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ადეკვატურობის შეფასებისას, ხელმძღვანელობა დასკვნებს აკეთებს მიმდინარე ზოგადი ეკონომიკური გარემოებების, მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ვადების, ჩამოწერების ისტორიული გამოცდილების, კლიენტისა და მომწოდებლის საკრედიტო ხარისხისა და გადახდის პირობების ცვლილებების საფუძველზე. ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტული კლიენტისა და მომწოდებლის გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გააჩინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების კორექტირების აუცილებლობა.

7. შემოსავალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის შემოსავალი მოიცავდა:

	2019	2018
შემოსავალი საწვავის გაყიდვიდან	506,128	419,783
შემოსავალი გაყიდვებიდან მაღაზიებში	25,025	20,813
შემოსავალი გაზის გაყიდვიდან	4,180	4,138
სხვა	2	2
სულ	**535,335**	**444,736**

8. რეალიზაციის თვითღირებულება

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2019	2018
საწვავის თვითღირებულება	445,516	369,822
მაღაზიებში მარაგების თვითღირებულება	19,427	16,449
გაზის თვითღირებულება	3,391	3,041
სხვა	2	2
სულ	**468,336**	**389,314**

9. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები მოიცავდა:

	2019	2018
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	13,006	12,209
ცვეთის ხარჯი	5,512	5,650
ქირის ხარჯი	3,476	5,809
სარგებლობის უფლების მქონე აქტივების ცვეთა	3,048	-
მარკეტინგული ხარჯი	2,501	3,337
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	1,991	1,754
კომუნალური ხარჯები	1,669	1,577
ტრანსპორტირება	1,545	1,007
საწვავი	539	547
სხვა	236	61
ხულ	**33,523**	**31,951**

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2019	2018
სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	7,752	5,793
პროფესიული მომსახურება	933	1,092
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	931	814
საბანკო ხარჯები	930	681
საკანცელარიო მასალები	859	902
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	687	479
დაზღვევა	563	518
სარგებლობის უფლების აქტივების ცვეთა	536	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	110	1,480
დაცვის ხარჯი	143	139
ქირის ხარჯი	81	1,143
სხვა	756	708
სულ	**14,281**	**13,749**

11. სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის სხვა (ხარჯები)/ შემოსავლები მოიცავდა:

	2019	2018
დასაწყობებული საწვავის მეტობა	1,366	804
მარკეტინგული შემოსავალი	978	840
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	468	337
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	428	371
დაზღვევის კომპენსაცია	49	34
შემოსავალი მოგებული სასამართლო დავებიდან	-	481
სხვა	909	685
სხვა შემოსავალი	**4,198**	**3,552**
ჯეულმოქმედება	(232)	(185)
ჯარიმები	(43)	(446)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	(622)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ზარალი	-	(21)
სხვა	(561)	(194)
სხვა ხარჯები	**(836)**	**(1,468)**
სულ	**3,362**	**2,084**

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ტექნიკა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა ძირითადი საშუალებები	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ღირებულება									
1 იანვარი 2018	**30,950**	**37,360**	**9,832**	**4,301**	**6,390**	**6,967**	**6,559**	**246**	**102,605**
დამატება	-	922	441	412	911	4	1,120	5,805	9,615
რეალიზაცია	(88)	(881)	(149)	(38)	(113)	(308)	(383)	-	(1,960)
გადაცემა	-	2,695	146	-	338	1,901	254	(5,334)	-
31 დეკემბერი 2018	**30,862**	**40,096**	**10,270**	**4,675**	**7,526**	**8,564**	**7,550**	**717**	**110,260**
დამატება	-	445	423	858	944	-	800	3,499	6,969
რეალიზაცია	-	(78)	(4)	(378)	(340)	(4)	(44)	(40)	(888)
გადაცემა	-	1,942	34	(147)	536	2,367	(946)	(3,786)	-
31 დეკემბერი 2019	**30,862**	**42,405**	**10,723**	**5,008**	**8,666**	**10,927**	**7,360**	**390**	**116,341**
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2018	-	**13,476**	**5,663**	**3,325**	**5,377**	**3,951**	**3,614**	-	**35,406**
წლის დარიცხვა	-	2,438	683	431	726	1,114	489	-	5,881
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(620)	(68)	(45)	(73)	(302)	(83)	-	(1,191)
31 დეკემბერი 2018	**-**	**15,294**	**6,278**	**3,711**	**6,030**	**4,763**	**4,020**	**-**	**40,096**
წლის დარიცხვა	-	2,573	685	441	880	1,011	438	-	6,028
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(78)	(3)	(372)	(340)	(4)	(6)	-	(803)
31 დეკემბერი 2019	**-**	**17,789**	**6,960**	**3,780**	**6,570**	**5,770**	**4,452**	**-**	**45,321**
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2019	**30,862**	**24,616**	**3,763**	**1,228**	**2,096**	**5,157**	**2,908**	**390**	**71,020**
31 დეკემბერი 2018	**30,862**	**24,802**	**3,992**	**964**	**1,496**	**3,801**	**3,530**	**717**	**70,164**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ცვეთა დარიცხულმა აქტივებმა შეადგინა 21,511 ათასი და 18,676 ათასი ლარი, შესაბამისად.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ძირითადი საშუალებები, 29,133 ათასი და 27,899 ათასი ლარის ღირებულებით, შესაბამისი მიმდევრობით, გამოყენებული ჰქონდა საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა #23).

13. აქტივები სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავტო-გასამართი სადგურები	სერვის-ცენტრები	სხვა	სულ
ღირებულება						
1 იანვარი **2019**	**363**	**1,215**	**16,417**	**441**	**89**	**18,525**
დამატება	-	-	2,051	-	-	2,051
რეალიზაცია	-	-	(486)	-	-	(486)
გადაკეთება	-	-	1,912	-	-	1,912
31 დეკემბერი 2019	**363**	**1,215**	**19,894**	**441**	**89**	**22,002**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2019	-	**-**	**-**	-	-	**-**
წლის დარიცხვა	102	606	2,761	76	39	3,584
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	(20)	-	-	(20)
31 დეკემბერი 2019	**102**	**606**	**2,741**	**76**	**39**	**3,564**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	**261**	**609**	**17,153**	**365**	**50**	**18,438**
31 დეკემბერი 2018	**-**	**-**	**-**	**-**	-	**-**

საიჯარო ვალდებულებების ცვლილებები 2019 წელს:

	2019
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები არა-გაუქმებადი საოპერაციო იჯარებისთვის - 1 იანვარი 2019	24,513
მომდინარე ღირებულებამდე დისკონტირების ეფექტი	5,988
პირველადი აღიარება	18,525
საიჯარო ვალდებულებების აღიარება	2,051
საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯი	1,737
გაცვლითი კურსის ეფექტი	951
იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა	(473)
იჯარის ხელშეკრულებების ცვლილება	2,018
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(1,042)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,344)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გადაცემა	(866)
საიჯარო ვალდებულებები - 31 დეკემბერი2019	**20,557**

სარგებლობის უფლების აქტივებისათვის იჯარის საშუალო შეწონილი ვადა 6.17% წელია, ხოლო მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული მზარდი საპროცენტო განაკვეთის საშუალო შეწონილი ოდენობა 8.9%-ია.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები	**2019**
სარგებლობის უფლების აქტივების ცვეთის ხარჯი	3,584
საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯი	1,737
იხეთი ხარჯები, რომლებიც არაა გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულებების გაანგარიშებებში	3,557
სულ	**8,878**

იჯარის ვალდებულება

31 დეკემბერი 2019
ფინანსური იჯარით
გათვალისწინებული

დაფარვის ვადის ანალიზი	ვალდებულების ბალანსი	სამომავლო ფინანსური გადასახადი
წელი 1	3,628	1,285
წელი 2	4,117	1,640
წელი 3	2,011	2,451
წელი 4	1,870	2,010
წელი 5	1,697	1,862
შემდეგ	7,234	6,895
სულ იჯარის ვალდებულება	**20,557**	**16,143**

14. გუდვილი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილის ღირებულება იყო 2,436 ათასი ლარი.

გუდვილი მიეკუთვნება ფულის (შემოსავლის) მომტან ერთეულებს (CGUs), რომლებიც წარმოადგენს ჯგუფში უდაბლეს დონეს (ბენზინგასამართი სადგურები), რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი ხელმძღვანელობის მხრიდან.

ფულის მომტანი ერთეულების აღდგენადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებული ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე, რომელშიც გამოყენებული იყო ხუთწლიან პერიოდზე ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტებით მიღებული ფულადი ნაკადების პროგნოზი.

ხუთწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადები ექსტრაპოლირდება ქვემოთ აღნიშნული შეფასებული ზრდის განაკვეთებით. ზრდის განაკვეთები არ აჭარბებს ეკონომიკის იმ სექტორის გრძელვადიან საშუალო ზრდის მაჩვენებლებს, რომლებშიც ფულის მომტანი ერთეულები ოპერირებს.

იმ გამოყენებული ღირებულებების გასაანგარიშებელი დაშვებები, რომელთა მიმართ აღდგენადი ყველაზე მეტ მგრძნობელობას ამჟღავნებს, მოიცავს საოპერაციო ფულადი ნაკადების საშუალო კლების განაკვეთს ხუთი წლის განმავლობაში - წლიური 1%, საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდის განაკვეთი ხუთი წლის შემდეგ - წლიური 0%, გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთი - წლიური 13.13%.

მენეჯმენტმა დაგეგმილი ფულადი ნაკადები განსაზღვრა ისტორიული შედეგებისა და ბაზრის მოლოდინების გათვალისწინებით. დისკონტირებული განაკვეთები გადასახადამდეა და ასახავს ფულის მომტან ერთეულებთან დაკავშირებულ სპეციფიურ რისკებს.

15. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, ამავე წლებში დარიცხული ამორტიზაცია შეადგენდა 171 ათას და 248 ათას ლარს, შესაბამისად.

16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში იყო:

განმარტებითი შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (გაგრძელება)
(ათასობით ქართულ ლარში)

		31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	ძირითადი საქმიანობა	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება
„შპს არსენალი“	უძრავი ქონების ფლობა	50.00%	1,264	50.00%	1,109
შპს „გიორგი 96“	უძრავი ქონების ფლობა	49.50%	964	49.50%	1,007
შპს „ემჯი“	უძრავი ქონების ფლობა	40.00%	867	40.00%	736
შპს „ვიპ ნუკოილი“	უძრავი ქონების ფლობა	50.00%	507	50.00%	488
შპს „ნიაზი“	უძრავი ქონების ფლობა	32.00%	185	32.00%	128
შპს „კარე +“	უძრავი ქონების ფლობა	50.00%	139	50.00%	145
			3,926		**3,613**

მენეჯმენტმა შეაფასა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ამოღებადობა და დაასკვნა, რომ მათი სრულად ამოღება შესაძლებელია. ჯგუფი ახლო მომავალში გეგმავს ამ მეკავშირე ინვესტიციებში შესული ბენზინგასამართი სადგურების განვითარებასა და ოპერირებას.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, მოძრაობა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებულ ინვესტიციებში იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაშთი წლის დასაწყისში	3,613	3,276
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	468	337
მიღებული დივიდენდები	(155)	-
ნაშთი წლის ბოლოს	**3,926**	**3,613**

ქვემოთ მოცემულია მოკლე ფინანსური ინფორმაცია ჯგუფის მეკავშირე საწარმოების შესახებ:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მთლიანი აქტივები	3,167	2,688
მთლიანი ვალდებულებები	(290)	(140)
წმინდა აქტივები	2,875	2,548
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში	**1,224**	**1,235**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მთლიანი შემოსავალი	571	911
წმინდა მოგება	1,096	735
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა მოგებაში	**468**	**337**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციები საბალანსო ღირებულებით ნული და 3,613 ათასი ლარი, შესაბამისად, ჯგუფის მიერ გამოყენებული იყო უზრუნველყოფის საშუალებებად ბანკებისგან აღებულ სესხებზე (შენიშვნა #23).

17. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწვავი	37,941	33,054
მარაგები მაღაზიებში	3,557	2,745
სათადარიგო ნაწილები და მასალები	378	351
სხვა	2,417	1,878
	44,293	**38,028**

18. გაცემული სესხები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
კომპანიებზე გაცემული სესხები	50,579	44,498
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	536	518
სულ	**51,115**	**45,016**
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	347	538
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	50,768	44,478

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიებმა „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ“, შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსი“ და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“ ხელი მოაწერეს სამმხრივ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, მანამდე ჯგუფთან დაკავშირებულ მხარეზე, „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ“-ზე გაცემული სესხი გადაეცა სხვა დაკავშირებულ მხარეს, შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსს“. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის ნაშთი იყო 17,632 ათასი აშშ დოლარი (50,563 ათასი ლარი) 16,605 ათასი აშშ დოლარი (44,446 ათასი ლარი) და შესაბამისად. სესხს ერიცხება წლიური 11.5% და ვადა გასდის 2020 წლის 31 დეკემბერს.

19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	13,846	6,114
სხვა მოთხოვნები	2,219	2,139
	16,065	**8,253**
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(5,148)	(5,073)
	10,917	**3,179**

ჯგუფი საცალო კლიენტებთან ნაღდი ანგარიშსწორებით ვაჭრობს. ყველა საბითუმო და კორპორატიული კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის დამტკიცების პროცედურებს გადის, რითაც ის ქმნის კარგი კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტების ჯგუფს.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის განსაზღვრისას, ჯგუფი ამოწმებს, ხომ არ მომხდარა მის საკრედიტო ხარისხში რაიმე ცვლილება კრედიტის მინიჭების დღიდან საანგარიშგებო დღემდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტების ბაზა დიდია და არაერთგვაროვანი.

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებში:

	31 დეკემბერი 2019
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(5,073)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(75)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერა	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა	-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**(5,148)**

სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

31 დეკემბერი 2019 (ათასი ლარი)	ვადაგადაუცილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	30-90 დღის ვადაგადაცილებით	91-180 დღის ვადაგადაცილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	8,519	670	354	167	6,355	**16,065**
მსდ არსებობის მანძილზე	(38)	(19)	(27)	(29)	(5,035)	**(5,148)**

31 დეკემბერი, 2018 (ათასი ლარი)	ვადაგადაუცილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	30-90 დღის ვადაგადაცილებით	91-180 დღის ვადაგადაცილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	1,506	1,939	162	146	4,500	**8,253**
მსდ არსებობის მანძილზე	(79)	(1,754)	(34)	(19)	(3,187)	**(5,073)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რეიტინგის განმარტებები:

	31 დეკემბერი 2019		
(ათასი ლარი)	მეორე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესების გარეშე	მესამე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	8,519	-	**8,519**
0-30 ვადაგადაცილებით	670	-	**670**
30-90 ვადაგადაცილებით	354	-	**354**
90-180 ვადაგადაცილებით	-	167	**167**
180> ვადაგადაცილებით	-	6,355	**6,355**
სულ	**9,543**	**6,522**	**16,065**

	31 დეკემბერი 2018		
(ათასი ლარი)	მეორე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესების გარეშე	მესამე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესებული	სულ

ვადაგადაუცილებელი	1,505	-	**1,505**
0-30 ვადაგადაცილებით	1,939	-	**1,939**
30-90 ვადაგადაცილებით	163	-	**163**
90-180 ვადაგადაცილებით	-	145	**145**
180> ვადაგადაცილებით	-	4,501	**4,501**
სულ	**3,607**	**4,646**	**8,253**

20. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ავანსები საქონლის მიწოდებისათვის	2,148	868
ავანსები მარკეტინგული მომსახურებისათვის	-	-
სხვა ავანსები	463	462
	2,611	**1,330**

21. ფული და ფულის ეკვივალენტები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	149	154
ნაღდი ფული ბანკებში	25,106	4,130
ნაღდი ფული ტრანზიტში	383	290
	25,638	**4,574**

22. საწესდებო კაპიტალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავტორიზებული და გადახდილი კაპიტალი იყო 49,385 ათასი ლარი. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩურ ჰოლდინგსი“.

23. აღებული სესხები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აღებული სესხები:

სესხები უზრუნველყოფით	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედი	USD	5.75%	Feb-2025	21,755	23,997
თიბისი ბანკი-2135388- 10731339	USD	5%	Nov-2020	17,222	-
შპს ჩანელ ენერჯი (ფოთი)	USD	4.5%	Nov-2020	8,642	-
თიბისი ბანკი - 2135388- 9842150	USD	8.02%	May-2020	8,603	7,963
თიბისი ბანკი -135388 -10543787	USD	7.8%	June 2020	4,980	-
თიბისი ბანკი -2135388-10559756	USD	7.8%	July 2020	4,302	-
საქართველოს ბანკი - 1123288	USD	10.00%	Apr-2021	2,731	2,829
თიბისი ბანკი -2135388-8630397	USD	9.70%	Oct-2022	2,191	2,622
საქართველოს ბანკი - 5862064	USD	5.90%	Feb-2019	-	10,717
თიბისი ბანკი -2135388-10279484	GEL	11.75%	Mar-2019	-	5,209
საქართველოს ბანკი - 5327930	USD	8.50%	Mar-2019	-	3,001
სულ აღებული სესხები				**70,426**	**56,338**
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				50,280	31,350
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				20,146	24,988

აღებული სესხების დაფარვის ვადები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ერთ თვეში	271	95
ერთიდან სამ თვემდე	1,406	19,921
სამიდან თორმეტ თვემდე	48,603	11,334
სულ ერთ წელიწადში დასაფარი მიმდინარე ნაწილი	**50,280**	**31,350**
ერთიდან ხუთ წლამდე	18,168	19,450
ხუთი წლის შემდეგ	1,978	5,538
სულ აღებული სესხები	**70,426**	**56,338**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული ჰქონდა სს „თიბისი ბანკთან“ და სს „საქართველოს ბანკთან“ არსებული სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი კაპიტალი/სესხის კოეფიციენტები. თუმცა, საანგარიშგებო დღემდე ჯგუფმა ორივე ბანკიდან მიიღო წერილობითი უარი ხელშეკრულების დარღვევისას ბანკების უფლებების ამოქმედებაზე და ბანკები დათანხმდნენ საშეღავათო პერიოდს, რომელიც დასრულდება საანგარიშგებო პერიოდიდან სულ მცირე 12 თვეში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც წარმოშობილია ფინანსური საქმიანობიდან, მათ შორის ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები არის ის ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები ჯგუფის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კლასიფიცირებული იყო ან იქნება როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.

1 იანვარი 2019	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	პროცენტის ცვლილება (ii)	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	**31 დეკემბერი 2019**

აღებული სესხები	56,338	10,413	(38)	3,637	70,426

i) დაკავშირებული პირებიდან აღებული სესხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში მოცემული აღებული სესხებიდან მიღებული შემოსავლებისა და აღებული სესხების დაფარვის სხვაობას.

ii) პროცენტის ცვლილება მოიცავს დარიცხულ და გადახდილ პროცენტს.

აღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (იხილეთ შენიშვნა #12) და ინვესტიციებით მეკავშირე საწარმოებში (შენიშვნა #16).

24. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა გადასახდელები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო გადასახდელები საწვავზე	47,945	28,577
სავაჭრო გადასახდელები იჯარაზე	3,929	4,595
სავაჭრო გადასახდელები გაზზე	300	332
სხვა	3,595	2,540
	55,769	**36,044**

25. მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწვავზე მიღებული ავანსები	6,712	5,166
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	436	5,505
ხელფასის დარიცხვა	145	121
სხვა მიღებული ავანსები	32	56
სხვა ვალდებულებები	636	431
	7,961	**11,279**

საწვავის სანაცვლოდ გადახდილი ავანსები მოიცავს კლიენტებისგან მიღებულ ფულად ანაზღაურებას, რომელიც განხორციელდა გალფის ბარათებითა და კუპონებით, რომელთა სანაცვლოდ, ჯგუფს ნაკისრი აქვს მომავალში კლიენტისათვის საწვავის გადაცემა.

26. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ ტრანზაქციაში. ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და სამართლიანი ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები

მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ღირებულებისა - მესამე დონის მონაცემებით.

კაპიტალის რისკის მართვა - ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზირებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობა ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აღებული სესხები	70,426	56,338
ფული და ფულის ეკვივალენტები	(25,638)	(4,574)
წმინდა სესხები	44,788	51,764
კაპიტალი	76,282	65,299
წმინდა სესხების ფარდობა კაპიტალთან	58.7%	79%

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა გადასახდელებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები, გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნაკლებად მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,917	3,179
გაცემული სესხები	51,115	45,016
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,638	4,574

სულ ფინანსური აქტივები	**87,670**	**52,769**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	55,769	36,044
აღებული სესხები	70,426	56,338
საიჯარო ვალდებულებები	20,557	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	389	407
სულ ფინანსური ვალდებულებები	**147,141**	**92,789**

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	USD USD 1 = 2.8677 GEL	**EUR** EUR 1 = 3.2095 GEL	**USD** USD 1 = 2.6766 GEL	**EUR** EUR 1 = 3.0701 GEL
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	51,116	-	44,984	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,183	-	11	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,790	33	825	17
სულ ფინანსური აქტივები	**76,089**	**33**	**45,820**	**17**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	48,276	145	28,668	129
აღებული სესხები	70,426	-	51,129	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	389	-	407
სულ ფინანსური ვალდებულებები	**118,702**	**534**	**79,797**	**536**
სულ წმინდა პოზიცია	**(42,613)**	**(501)**	**(33,977)**	**(519)**

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს შესაბამის ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა	EUR ზეგავლენა

	USD/GEL + 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL – 20%
(ზარალი)/მოგება გადასახადამდე	(8,523)	8,523	(100)	100

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL – 20%
(ზარალი)/მოგება გადასახადამდე	(6,795)	6,795	(104)	104

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არა წრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და გაატაროს სხვა სახის დამცავი ღონისძიებები. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი რაიმე სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ის, რომ კლიენტი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. ყველა კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის მიღების პროცედურას გადის. შედეგად, ჯგუფი მხოლოდ სანდო საკრედიტო მდგომარეობის კლიენტებს არჩევს. კლიენტებს კრედიტის ლიმიტიც უწესდებათ.

საკრედიტო რისკის შეფასება

რისკის მართვის მიზნით საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან გამოვლენა ბაზრის პირობების ცვლილებებთან, მოსალოდნელ ფულად ნაკადებთან და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის

შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე, შესაბამისი ზარალის კოეფიციენტებსა და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციაზე. ჯგუფის საკრედიტო რისკს „დეფოლტის ალბათობით“ (PD), „დეფოლტის რისკის პოზიციით“ (EAD) და „დეფოლტით გამოწვეული დანაკარგით“ (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად გამოყენებული მიდგომის მსგავსია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება

<u>ზოგადი მიდგომა</u>

ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზოგადი მოდელის პრინციპია, რომ მოდელში უნდა აისახოს ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო ხარისხის გაუარესების სურათი მისი მიღების შემდეგ, რაც საშუალებას მისცემს პირს, დროულად მოახდინოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) აღიარება. აღიარებული მსდ-ის ოდენობა დამოკიდებულია საწყისი აღიარების შემდეგ კრედიტის გაუარესების მასშტაბზე. სტანდარტში გათვალისწინებულია მსდ-ის გაზომვის ორი ბაზისი (12 თვიანი და არსებობის მანძილზე მსდ) და საპროცენტო შემოსავლის აღიარების ორი მეთოდი. ეტაპები საბაზრო ტერმინია, რომელიც აღნიშნავს გაზომვის ბაზისისა და საპროცენტო შემოსავლის აღიარების მეთოდის არჩევის პროცესს კონკრეტული რისკგამოვლინებისა, თუ მათი ჯგუფის შემთხვევაში. სტანდარტით მოცემული პრინციპების მიხედვით, რისკგამოვლინებები კლასიფიცირდება სამიდან ერთ-ერთ ეტაპზე და შესაბამისად აისახება:

პირველი ეტაპი: ჯგუფი რისკგამოვლინებას პირველ ეტაპზე ათავსებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი საწყისი აღიარებისას კრედიტგაუარესებული არ იყო. 12 თვიანი მსდ და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე პირველი ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

მეორე ეტაპი: რისკგამოვლინება მეორე ეტაპზე თავსდება, თუ დადგინდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი კრედიტგაუარესებულად არ ითვლება. მსდ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე მეორე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

მესამე ეტაპი: მესამე ეტაპის ინსტრუმენტებში თავსდება ის რისკგამოვლინებები, რომელზეც შეიმჩნევა კრედიტგაუარესების ინდიკატორების არსებობა. მსდ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებულ ღირებულებაზე მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ზოგადი მიდგომა გამოიყენება ჯგუფის მიერ ფლობილ შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- ნაღდი ფული ბანკებში
- გაცემული სესხები
- ამორტიზებული ღირებულებით ასახული სხვა სავალო ინსტრუმენტები

ჯგუფს სხვა სავალო ინსტრუმენტები არ გააჩნია. ამდენად, ეს დოკუმენტი მსდ-ის შეფასებაზე დამატებით ინფორმაციას არ იძლევა. ყველა შემთხვევაში, მომავალში, სხვა სავალო ინსტრუმენტებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შეფასდება მიდგომით გაცემული სესხებისა და ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის ოდენობების გამოყენებით.

<u>გამარტივებული მიდგომა</u>

სავაჭრო მოთხოვნებისა თუ საკონტრაქტო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს არ მოიცავს, ჯგუფი ვალდებულია, გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა. სავაჭრო მოთხოვნებისა თუ საკონტრაქტო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს მოიცავს, ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს გამარტივებულ და ზოგად მიდგომას შორის. გამოყენების შემთხვევაში (არჩევითი თუ სავალდებულო ვარიანტის დროს), მსდ არსებობის მანძილზე გამოითვლება მთელი პორტფელისთვის, იმის გამოთვლის გარეშე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ.

გამარტივებული მიდგომით, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ათავსებს ან მეორე ან მესამე ეტაპზე. ჯგუფი გამარტივებულ მიდგომას იყენებს შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- მოთხოვნები საწვავიდან
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები
- სხვა აქტივები (ფასს 15-ით - საკონტრაქტო აქტივები).

ფასს 9-ზე გადასვლის თარიღისათვის ჯგუფს სხვა ფინანსური აქტივები არ გააჩნია.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნება ორ ზოგად კრიტერიუმს, ანუ რისკგამოვლინება დეფოლტად ითვლება, ყოველთვის, როდესაც:

- რისკგამოვლინება 90 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული, ან
- სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.

ჯგუფში ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის გამოყენებული დეფოლტის განსაზღვრება შეესაბამება შიდა მართვის მიზნებისათვის გამოყენებულს. დეფოლტირებულად ჩათვლილი რისკგამოვლინებები მესამე ეტაპზე თავსდება.

ეტაპებზე განაწილების წესი

ჯგუფი რისკგამოვლინებებს შესაბამის ეტაპებზე ანაწილებს თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებებზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი მოიცავს:

ფინანსური აქტივების კლასი	ეტაპი 3	ეტაპი 2	ეტაპი 1
სავაჭრო მოთხოვნები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
სხვა მოთხოვნები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
საბანკო დეპოზიტები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკგამოვლინებები, რომელთა ვადა გადაცილება 30-90 დღეს შორისაა, თავსდება მეორე ეტაპზე. კონტრაგენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუარესდა (2 პუნქტით)	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს, თავსდება პირველ ეტაპზე.
გაცემული სესხები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე.	რისკგამოვლინებები, რომელთა ვადა გადაცილება 30-90 დღეს შორისაა, თავსდება მეორე ეტაპზე.	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს.

	სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	კონტრაგენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუარესდა (2 პუნქტით)	

რისკის პარამეტრების შეფასების მიდგომა

მოსალოდნელი დანაკარგების შესაფასებლად ჯგუფი ფორმულაზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს, რომელიც უშვებს, რომ კონკრეტული ფინანსური აქტივის დანაკარგების მოსალოდნელი ღირებულება ამავე აქტივთან დაკავშირებული დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული დანაკარგისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრების ნამრავლის ტოლია.

ჯგუფი რისკის პარამეტრებს აფასებს ა) ინდივიდუალურად, საბაზისო ნიშნულის მიდგომით, ან ბ) ჯგუფურად, ისტორიული გამოცდილებით.

დანაკარგების რეზერვის აღიარებისა და შეფასების მიზნით, ჯგუფი რისკგამოვლინებებს ინდივიდუალურად აფასებს მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ.

რისკგამოვლინება მნიშვნელოვნად ითვლება, თუ კონტრაგენტის მთლიანი რისკგამოვლინება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი რაოდენობის თვეების განმავლობაში 50,000 ლარს აღემატება. გარდა რაოდენობრივი ინდიკატორებისა, ჯგუფმა კონკრეტული რისკგამოვლინებები ინდივიდუალურად შეიძლება შეაფასოს საექსპერტო შეფასებით. ასეთი რისკგამოვლინებები მოიცავს გაცემულ სესხებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული დანაკარგისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრები გამოითვლება საბაზისო ნიშნულის მიდგომით. თუ მისი გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელ დანაკარგებს ანგარიშობს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებით.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

ჯგუფმა რისკგამოვლინებების ვადიანობის სტრუქტურა გააანალიზა და დაასკვნა, რომ ფინანსური აქტივების უმეტესობა მოკლევადიანია (12 თვეზე ნაკლები). გარდა ამისა, რისკის პარამეტრების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბოლოდროინდელი დეფოლტის შემთხვევები და ამოღების ისტორია ჯგუფური შეფასებისათვის, ხოლო ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკგამოვლინებების რეიტინგის დადგენისას მხედველობაში მიიღება ხარისხობრივი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ჯგუფმა გააანალიზა მაკროეკონომიკური პროგნოზები და ისინი შეუდარა 2019 წლის რეალურ მონაცემებს. ჯგუფმა დაასკვნა, რომ მოსალოდნელი მაკროეკონომიკური პარამეტრები რეალურისგან ძალიან არ განსხვავდება. შესაბამისად, მაკროეკონომიკური ინფორმაციის გამოყენება რისკის პარამეტრების გაანგარიშებაში მოსალოდნელ დანაკარგებზე დიდ ზეგავლენას არ იქონიებს.

ჯგუფის მიერ გაანალიზებული მაკროეკონომიკური პარამეტრებია:

	2019	2020	2021	2022	2023	2024
მშპ ზრდის განაკვეთი						
საბაზისო სცენარი	4.7%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%
ალმავალი სცენარი	4.7%	6.50%	6.50%	6.50%	6.50%	6.50%
დალმავალი სცენარი	4.7%	2.00%	2.00%	2.00%	2.00%	2.00%
GEL/USD გაცვლითი კურსი						
საბაზისო სცენარი	2.8677	0%	0%	0%	0%	0%
ალმავალი სცენარი	2.8677	3%	3%	3%	3%	3%
დალმავალი სცენარი	2.8677	(-15)%	(-15)%	(-15)%	(-15)%	(-15)%
უმრავი ქონების ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)						
საბაზისო სცენარი	100	2.90%	2.90%	2.90%	2.90%	2.90%

აღმავალი სცენარი	100	3.60%	3.60%	3.60%	3.60%	3.60%
დაღმავალი სცენარი	100	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების მოსალოდნელ უმნიშვნელო ცვლილებებზე დაყრდნობით, ჯგუფმა გადაწყვიტა, არ გაითვალისწინოს მაკროეკონომიკური კორექტირება მიმდინარე რისკის პარამეტრის მოდელებში.

ჯგუფი მაკროეკონომიკურ კორექტირებას მომავალში გაითვალისწინებს, თუ მშპ-ის მოსალოდნელი ზრდის განაკვეთი 10%-ით მოიმატებს/დაიკლებს.

სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბრისათვის იყო:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	პირველი ეტაპი 12 თვიანი მსდ	მეორე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესების გარეშე	მესამე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები 2019 წლის 1 იანვარს	**-**	**1,867**	**3,206**	**5,073**
- გადატანა ეტაპი 1-დან ეტაპი 2-ზე	-	-	-	-
- გადატანა ეტაპი 2-დან ეტაპი 3-ზე	-	(1,885)	1,885	-
ახალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	237	52	289
სესხის დაფარვა	-	(135)	(112)	(247)
ჩამოწერა	-	-	-	-
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	-	-
ცვლილება რისკის პარამეტრებში	-	-	33	33
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**84**	**5,064**	**5,148**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შესაბამისი მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	პირველი ეტაპი 12 თვიანი მსდ	მეორე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესების გარეშე	მესამე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული	სულ
საბალანსო ღირებულება სრულად 2019 წლის 1 იანვარს	**-**	**3,607**	**4,646**	**8,253**
- გადატანა ეტაპი 1-დან ეტაპი 2-ზე	-	-	-	-
- გადატანა ეტაპი 2-დან ეტაპი 3-ზე	-	(2,129)	2,129	-
ახალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	9,467	207	9,674
სესხის დაფარვა	-	(1,402)	(556)	(1,958)
ჩამოწერა	-	-	-	-
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	-	-
ცვლილება რისკის პარამეტრებში	-	-	96	96
საბალანსო ღირებულები სრულად 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**9,543**	**6,522**	**16,065**

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არა წარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის შესაბამისად, როდესაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს დაფარვა. ცხრილში მოცემულია როგორც საპროცენტო ფულადი

ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა. სახელშეკრულებო ვადა წარმოდგენილია იმ უახლოესი ვადის შესაბამისად, როდესაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს დაფარვა.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2019						
უპროცენტო	35,085	15,802	4,890	-	-	55,777
პროცენტიანი	967	3,220	54,411	39,177	16,417	114,191
	36,052	**19,022**	**59,301**	**39,177**	**16,417**	**169,968**
31 დეკემბერი 2018						
უპროცენტო	20,296	10,974	4,774	-	-	36,044
პროცენტიანი	322	20,572	12,728	23,036	5,816	62,474
	20,618	**31,546**	**17,502**	**23,036**	**5,816**	**98,518**

27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, ჯგუფის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არა დაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

	31 დეკემბერი 2019			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის ერთობლივ კონტროლქვეშ არსებული პირები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	342		342
გაცემული სესხები	15	50,563	538	51,116
სარგებლობის უფლების აქტივები	4,541	127	-	4,668
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	1,731	51,362	-	53,093
აღებული სესხები	-	30,397	-	30,397
შემოსავალი	-	666	-	666
საპროცენტო შემოსავალი	7	5,516	-	5,523
საპროცენტო ხარჯი	412	1,629	-	2,041
შესყიდვები	-	327,415	-	327,415
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	960	503	-	1,463
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	23	1,699	1,722

	31 დეკემბერი 2018			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის ერთობლივ კონტროლქვეშ არსებული პირები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	2	-	2
გაცემული სესხები	53	44,445	481	44,979
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	1,338	31,497	-	32,835

	31 დეკემბერი 2018			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის ერთობლივ კონტროლქვეშ არსებული პირები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სულ
აღებული სესხები	-	23,997	-	23,997
შემოსავალი	-	590	-	590
საპროცენტო შემოსავალი	5	2,602	-	2,607
საპროცენტო ხარჯი	-	1,125	-	1,125
შესყიდვები	-	270,826	-	270,826
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	422	435	-	857
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	22	-	22

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტებითაა წარმოდგენილი, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში შეადგინა 1,699 ათასი და 1,261 ათასი ლარი, შესაბამისად.

28. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები - 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნია შესასრულებელი მატერიალური გარანტიები.

სამართლებრივი დავები - 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში

გადასახადები - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო ამ უკანასკნელებმა ტრანზაქციები ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვი არ შექმნილა. 2019 წელი საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა.

2014 წლის 1 იანვრიდან სატრანსფერო ფასების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შემოღებულ იქნა დამატებითი დოკუმენტაციისა და ანგარიშგების ვალდებულება. ახალი კანონმდებლობა საგადასახადო უწყებებს აძლევს საშუალებას დააწესონ დამატებით საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვრული გარიგებების შემთხვევაში, მათ შორისა და არა მხოლოდ, გარიგებებისა დაკავშირებულ პირებთან, თუ ჩაითვლება, რომ გარიგება დადებულია არასამართლიანი პირობებით. ჯგუფმა მოიწვიაო დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტანტი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მოახდენდა გავლენას ჯგუფზე სატრანსფერო ფასების ახალი რეგულაცია 2019 წ. საანგარიშო წელს. საბოლოო დასკვნა ჯერ არაა ხელმისაწვდომი. 2019 წ. საანგარიშო პერიოდისათვის შეუძლებელია დანამდვილებით შეფასდეს ჯგუფის მდგომარეობა სატრანსფერო ფასების კუთხით.

მსგავსმა გაურკვევლობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე, გაუფასურების ხარჯების შეფასებასა და საბაზრო ფასებით დადებულ გარიგებებზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვი არ შექმნილა.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს და ხდება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების საგანი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან იყო დაკავშირებული. 2018 და 2019 წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში.

ამასთან, 2020 წლის დასაწყისიდან გავრცელდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19), რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს და შედეგად, 2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ეპიდემიური მდგომარეობა. COVID-19 ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად მსოფლიოს ქვეყნებმა მიიღეს შემაკავებელი ზომები, რამაც ბევრი კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვია და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. მდგომარეობა სწრაფად მძიმდება და მოსალოდნელია მნიშვნელოვანი გავლენა არაერთი დარგის კომპანიებზე, მათ შორის და არა მხოლოდ, საქმიანობის შეწყვეტა, რაც გამოწვეული იქნება წარმოების შეწყვეტით ან საწარმოო ქარხნების დაკეტვით, მიწოდების შეწყვეტით, თანამშრომლების კარანტინით, შემცირებული მოთხოვნითა და ფინანსების მოზიდვის გართულებით. ამასთან ერთად, COVID-19 -სა და მსოფლიო ეკონომიკაზე მისი უარყოფითი გავლენის შედეგად კომპანია შესაძლოა უფრო ფართო და მზარდი ზიანის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. კომპანიის სამეწარმეო საქმიანობაზე COVID-19-ს უარყოფით ზეგავლენას განაპირობებს ეპიდემიის ხანგრძლივობა და ის, თუ როგორ გავლენას მოახდენს ის მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკაზე.

29. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

ეპიდემიის გავრცელების მოლოდინისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი უარყოფით გავლენის მოლოდინის მიერ გამოწვეულმა ეკონომიკურმა შედეგებმა უცხოური ვალუტის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობა გამოიწვია უკანასკნელ დღეებში.

მიუხედავად არსებული ბევრი გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავაც აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მოქალაქეებისა და კომპანიებისათვის მიყენებული უარყოფითი შედეგები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დღისათვის გაცვლითი კურსი შეადგენდა 3.0633.

COVID-19-ს მზარდი გავრცელების გამო საქართველოში საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 აპრილამდე უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა შემდეგ მოხდა ვადის გაგრძელება 2020 წლის 21 მაისამდე. შეჩერდა ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (როგორც შიდა, ისე მუნიციპალიტეტებს შორისი). მთავრობამ კერძო ტრანსპორტის გამოყენებაზეც დააწესა შეზღუდვები 2020 წლის 17 აპრილიდან 26 აპრილამდე პერიოდში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ჯგუფის გაყიდვები, თუმცა, ჯგუფს გააჩნია საკმარისი რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. ყველა სახის ტრანსპორტი 2020 წლის 29 მაისს აღდგა.

საანგარიშგებო პერიოდში დადგინდა ჯგუფის მიერ სს საქართველოს ბანკისა და სს თიბისი ბანკის სასესხო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების - ლიკვიდურობისა და ლევერეჯის დადგენილი კოეფიციენტის დარღვევა. თუმცაღა, შემდგომ პერიოდში ჯგუფმა მოიპოვა ბანკების დასტური იმის შესახებ, რომ ისინი უარს იტყოდნენ თავიანთ უფლებაზე და არ მოითხოვენ სესხის დაფარვას მისი ვადის ამოწურვამდე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არ განვითარდა რაიმე სხვა გარემოება, რაც საჭიროებს აღნიშვნას წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

30. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა გამოსაშვებად 2020 წლის 15 ივლისს.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში „ჯგუფი“) თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რეგისტრირებული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N34, სართ. N6, რეგისტრაციის თარიღი: 2010 წლის 26 ნოემბერი.

სან პეტროლიუმ ჯორჯიას საწესდებო კაპიტალი შეადგენს 49,385 ათას ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს წილებს შემდეგ შვილობილ კომპანიებში (შემდგომში "ჯგუფი"):

- შპს ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითისი - 100%, მენეჯმენტ კომპანია;
- შპს სან სთორზ - 100%, საცალო სასურსათო მაღაზიები;
- შპს დიდუბოილ- 100%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს ჩაქვის ავტოგასამართი სადგური- 100%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს SPG თრეიდინგი - 100%,საბითუმო საწვავის ყიდვა-გაყიდვა;
- შპს ფიქრის გორა - 75%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს ფონიჭალა 2009-100%, უმოქმედო;
- შპს ქოლო- 67%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს ოპტიმა+ -50%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს გორი ოილ -50%,უმოქმედო;
- შპს ახალციხე ოილ კომპანი- 50%, უმოქმედო.

ჯგუფის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და რეალიზაცია;
- სატრანსპორტო საშუალებებისა და ავტომობილების სერვისული მომსახურება;
- გაზის საცალო რეალიზაცია;
- ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა საგნების საცალო რეალიზაცია ავტოგასამართ სადგურებთან არსებული მაღაზიებიდან.

2019 წლის ბოლოსათვის ჯგუფი ახდენდა სამანქანო ბენზინისა და თხევადი გაზის რეალიზაციას 149 ერთეული ავტო-გასამართი სადგურიდან, მათ შორისაა გალფის ბრენდის ქვეშ - 108 სადგური, ხოლო G-Economy ბრენდით - 41 სადგური, 5 გაზგასამართი (გგს) სადგური. ამ სადგურებიდან, ნაწილი არის ჯგუფის მფლობელობაში, ხოლო ნაწილი კი იჯარითაა აღებული.

2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის 2019 წლის წმინდა მოგებამ მიმდინარე ოპერაციებიდან შეადგინა 15, 482 ათასი ლარი, მაშინ როცა 2018 წლის მონაცემი იყო 8,751 ათასი ლარი. თუმცაღა, ჯგუფის მთლიანი მოგება 2018 წლის 55,422 ათასი ლარიდან 2019 წელს გაიზარდა 66, 999 ათას ლარამდე.

მომგებიანობის გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფმა ძირითადი აქცენტი გააკეთა გაყიდვების ზრდასა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. საწვავის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 21%_ით, ხოლო არა საწვავი პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 20%_ით.

3. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფი სისტემატიურად მუშაობს პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც შედეგად იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას. დამოუკიდებელი კომპანია ACT ყოველწლიურად ატარებს ბაზრის კვლევას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ჯგუფის ბაზარზე პოზიციონირების შესაფასებლად. ამასთან, კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიიღოს

მომხმარებლის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჯგუფის წევრების მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე, რეგულარულად მოწმდება საწვავის ხარისხიანობა, რაც დასტურდება ჯგუფის მიერ მიღებული არაერთი დამადასტურებელი სერთიფიკატით. კომპანია მუდმივად ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მომხმარებელთან სიახლოვე პრიორიტეტულია, ამიტომ ის მუდმივად იკვლევს მათ ინტერესს და ზრუნავს კმაყოფილების ზრდაზე.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფი არ ფლობს ფილიალებს.

5. ჯგუფის საკრედიტო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდობის მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ ანგარიშებს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება ჯგუფის მენეჯმენტის დონეზე ყოველთვიურად. ჯგუფის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

6. საბაზრო რისკი

ჯგუფის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი არის საერთაშორისო საწვავის ფასის ზრდა. შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასი ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას და დგინდება ყოველდღიური პლაცის (Platts, European MarketScan, by S&P Global) მეშვეობით. პლაცის დადგენა ხდება ყოველდღიურად გარდა შაბათ-კვირისა და საბანკო დასვენების დღეებისა და იგი მოიცავს ერთი მეტრული ტონა მზა პროდუქტის (მაგ. ბენზინი Prem Unl 10ppm და დიზელი 10ppm ULSD) ფასს. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბოლოო პროდუქციის საცალო ქსელში და კორპორატიული რეალიზაცია ხდება მხოლოდ ლარში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ფასში, შესასყიდი ფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადანაწილებით, თუმცა ეს პროცედურა ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას. გარდა აღნიშნულისა, სარეალიზაციო საფასო პოლიტიკა აუცილებლად და ბუნებრივად მოიცავს თავის თავში შესასყიდი ფასების და ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის კომპონენტებს.

ამასთან უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. საწვავის საცალო და კორპორატიული ბაზარი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული ავტოგასამართი და გაზგასამართი სადგურები.

კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში, ხოლო საფასო და მომსახურების ხარისხის (სადგურის გარეგნული იერი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, სატალონო და საბარათო სისტემის არარსებობა) სეგმენტში არაბრენდულ სადგურებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანიაში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, გაყიდვების, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება არაფორმალურად და განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, კორპორატიული რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს ჯგუფის პროდუქტების შეძენა.

გარდა ზემოხსენებულისა საქართველოში მკვეთრად იმატა ჰიბრიდული და ელექტრო მანქანების იმპორტმა, რომლებიც ბევრად ნაკლებ საწვავს მოიხმარენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2018 წელს 2,647 ჰიბრიდი და 599 ელექტრო მანქანის იმპორტი მოხდა, ხოლო 2019 წელს - 21,535 ჰიბრიდი და 783 ელექტრო მანქანის იმპორტი მოხდა.

7. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით ჯგუფში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ჯგუფის ბაზებში, ბენზინგასამართ და გაზგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

საწვავის გაფრქვევის მონიტორინგის და საკანონმდებლო ნორმების, სახელმწიფო სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვის მიზნით სადგურებზე წელიწადში ერთხელ, ისევე როგორც ბაზებზე ყოველ წელიწადში ერთხელ ხდება ფაქტიური გაფრქვევების მონიტორინგი. შესაბამისი დოკუმენტი იგზავნება გარემოს დაცვის სააგენტოში ელექტრონული ფორმით. გაფრქვევის მინიმიზაციის მიზნით, სადგურებზე და ბაზებში კომპანიას დამონტაჟებული აქვს თანამედროვე ტიპის სარქველები და ხდება მათი გამართულად მუშაობის მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში.

საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით ავტოგასამართ სადგურის მენეჯერი ან უფლებამოსილი პირი აკეთებს საწვავის აზომვას, ხოლო დამოუკიდებელი სამსახური თვეში ერთხელ აკეთებს საწვავის აზომვას.

დამატებით, ავტოგასამართ სადგურებზე ფუნქციონირებს ავტომატიზაციის სისტემა, რომელიც აღჭურვილია რეზერვუარში საწვავის რაოდენობის ელექტრონული მზომით. ავზის დაზიანების და საწვავის დაღვრის შემთხვევაში სადგურის მენეჯერს ან სხვა უფლებამოსილ პირს აქვს საშუალება გამოავლინოს მსგავსი დაზიანება და მოახდინოს მასზე რეაგირება.

კომპანიას დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

8. განვითარების გეგმები

ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია: უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე, ახალი სერვისების დანერგვაზე, მაღაზიების სერვისის განვითარებაზე ასევე გეგმავს მომხმარებლისთვის თვითმომსახურების სადგურების შეთავაზებას. გარდა ამისა, ლოიალობის პროგრამა, საოპერაციო სისტემის განვითარება ისევე როგორც ეფექტიანობის ზრდა კვლავ რჩება ჯგუფის პრიორიტეტად.

ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია როგორც უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე ისე ახალი სერვისების დანერგვაზე. მომავალში იგეგმება არა საწვავი პროდუქტების წილის ზრდა საერთო შემოსავლებში. წლიდან წლამდე იზრდება ელექტრო მანქანების რაოდენობა, შესაბამისად იგეგმება სწრაფი დამუხტვის პუნქტების გახსნა. გარდა ზემოდ ხსენებულისა უკვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს თვითმომსახურების ავტოგასამართი სადგურების გახსნასთან დაკავშირებით.

ჯგუფი მუდმივად ანვითარებს ლოიალობის სისტემას, მაგალითად 2018 წლიდან თითოეულ მომხმარებელს შეუძლია უკუკავშირის მოწერა მომსახურებასთან დაკავშირებით.

9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანებსა და გარემოზე ზრუნვაა. ჯგუფის სოციალური აქტივობები მოიცავს საქველმოქმედო, ინფრასტრუქტურულ, სპორტულ, ტურისტულ და კულტურულ პროექტებს.

გარემოზე ზრუნვას ჯგუფის სტრატეგიული განვითარების გეგმაში პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. ჯგუფი აქტიურად უჭერს მხარს ელექტრო და ჰიბრიდულ ავტომობილების პარკის გაზრდას. გარემოზე ზრუნვის ფარგლებში ჯგუფმა მოახდინა საწვავის ფორმულის გაუმჯობესება, 2019 წლის მაისიდან საწვავს დაუმატებს ახალ დანამატს რომელიც უზრუნველყოფს მანქანის ძრავის უკეთ მუშაობას, იცავს

ავტომობილის ნაწილებს ცვეთისგან, საწვავის მოხმარებას ამცირებს და რაც მთავარია ამცირებს მავნე აირების დაგროვების დონეს.

ამასთან, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით ჯგუფი წელიწადში ორჯერ აქვეყნებს საწვავის ლაბორატორიულ ანალიზს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ცხოველების დაცვა და მათზე ზრუნვა. ამ ეტაპზე ჯგუფს აქვს 25 სახლი მიუსაფარი ძაღლებისთვის და ზრუნავს 40 ძაღლზე.

რაც შეეხება საქველმოქმედო პროექტებს, აღსანიშნავია სოლიდაროზის ფონდთან თანამშრომლობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ყოველი გაყიდული ლიტრიდან მიღებული შემოსავლის 0.03 ლარი ერიცხება სოლიდაროზის ფონდს. ამავე პროექტის ფარგლებში ჯგუფი აქტიურადაა ჩართული ხანდაზმულების მხარდაჭერის პროგრამებში, გამოყოფილია სპეციალური საპენსიო ფონდი იმ ხანდაზმულებისათვის, რომლებმაც თავი მიუძღვნეს საზოგადოებრივ მოღვაწეობას და განსაკუთრებული როლი ითამაშეს სხვა ადამიანების ცხოვრებაში. ორგანიზაციის ერთ-ერთი პროექტი ახალგაზრდა თაობის დაცვას და მათზე ზრუნვას მიეძღვნა. სოციალური პასუხიმგებლობის მაღალი შეგნების გამოვლინებაა სხვადასხვა დაავადების მქონე ფინანსური და სხვა საჭიროებების მქონე ბავშვების დახმარება.

რაც შეეხება განათლების სფეროს, 2019 წლის მანძილზე დაფინანსდა 25-მდე სტუდენტი, ხოლო ბოლო 3-4 წლის მანძილზე 150 სტუდენტზე მეტი.

გარდა ამისა, ჯგუფი ამარაგებს რეგიონების ბიბლიოთეკებს წიგნებით. ერთ-ერთი უკანასკნელი პროექტის ფარგლებში ბრიტანეთის საელჩოს დახმარებით ახალციხის რაიონულ ბიბლიოთეკას გადაეცა 150 ახლადგამოცემული წიგნი. ამასთან, გაფორმდა მემორანდუმი GIPA-სა და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ახალციხის რაიონში განათლების დონის ამაღლების მიზნით, იმისთვის რომ ეთნიკურ უმცირესობებს მიეცეთ ახალი საკვირაო გაკვეთილებზე დასწრების საშუალება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჯგუფი მხარს უჭერს ცხოვრების ჯანსაღ წესს და ამის ფარგლებში თბილისსა და გორში გახსნა ორი საკალათბურთო მოედანი, ორივე მოედანი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს. ჯგუფი არის საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების სპონსორი და საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ გენერალური სპონსორი.

კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაციისთვის კომპანიამ წამოიწყო პროექტი მოიარე.ჯი. გალფი სოციალური მედიის საშუალებით პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ხელს უწყობს ცნობადობის ამაღლებას საქართველოს საოცარი სილამაზისა და საინტერესო ბუნების შესახებ, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში მეტი ტურისტის მოზიდვას.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200772336
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	29.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	597999990
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	52296403259220

ორიათას ოცი წლის ოცდაცხრა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის მარიამ სლანიშვილის, დაბ. 05.02.1997წ. პირადი #01011085598, პირადობის მოწმობა #15IA01044/დიპლომი #IBSU #000441, გაცემული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ 28.11.2019წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - ჯგუფი სან პეტროლიუმ ჯორჯია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, თარგმნაზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. მე, ნოტარიუსი ვამოწმებ თარჯიმნის ხელისმოწერის სინამდვილეს და არა დოკუმენტში წარმოდგენილი სამართლებრივი ფაქტების სიზუსტეს ან დოკუმენტის ნამდვილობას.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 110.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 112(ასთორმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ჯგუფი სან პეტროლიუმ ჯორჯია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
მმართველობის ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ჯგუფი სან პეტროლიუმ ჯორჯია

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში 5

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში 6

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში 7

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში 8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 9-51

1. ზოგადი ინფორმაცია 9
2. უწყვეტი საწარმო 10
3. შესაბამისობის განცხადება 11
4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება: 11
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები 15
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტები და უზუსტობების შეფასების ძირითადი საშუალებები 28
7. შემოსავალი 29
8. რეალიზაციის თვითღირებულება 30
9. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები 30
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 31
11. სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა 31
12. ძირითადი საშუალებები 32
13. აქტივები სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებები 33
14. გუდვილი 34
15. სხვა გრძელვადიანი აქტივები 34
16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 35
17. მარაგები 36
18. გაცემული სესხები 36
19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 36
20. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები 38
21. ფული და ფულის ეკვივალენტები 38
22. საწესდებო კაპიტალი 38
23. აღებული სესხები 39
24. სავაჭრო და სხვა გადასახდელები 40
25. მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები 40
26. ფინანსური ინსტრუმენტები 40
27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 48
28. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები 49
29. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 51
30. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 51

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება 52

ჯგუფი სან პეტროლიუმ ჯორჯია

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა“ და მისი შვილობილების („ჯგუფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, აქციონერთა კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობას დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული საღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მის შესრულებაზე;
- ისეთი ინფორმაციის წარდგენაზე, საღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოება ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას; და
- კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 15 ივლისს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ქრეიგ სთივენ ქრამერი **აღმასრულებელი დირექტორი**	**მიხეილ ესიაშვილი** **ფინანსური დირექტორი**
2020 წლის 15 ივლისი თბილისი, საქართველო	2020 წლის 15 ივლისი თბილისი, საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) აქციონერებსა და დირექტორებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასა“ („კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). ჩვენ ვიცავთ პბეკ-ით დადგენილ სხვა ეთიკურ ვალდებულებებსაც. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მმართველობის ანგარიშს.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს მმართველობის კონსოლიდირებულ ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით მოიცავს აღნიშნული „სხვა ინფორმაციის“ გაცნობას და იმავდროულად იმის დადგენას, არსებობს თუ არა არსებითი შეუსაბამობა „სხვა ინფორმაციასა“ და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის დროს მოპოვებულ ინფორმაციას შორის, ან ხომ არ არის იგი სხვა არსებითი შეცდომების შემცველი . თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამობა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოგახსენოთ.

აღნიშნული ვალდებულების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ არ არსებობს შეუსაბამობის წარმოდგენის საფუძველი.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს’) შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა მოვალეა, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (ფუნქციონირებადი საწარმო) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს ფუნქციონირებადი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციასა თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამას გარდა სხვა რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან უზედამხედველონ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძვლიანი რწმენა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძვლიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ერთად:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რაც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერ შემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ მოსაზრებას, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის უზუსტობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნარი. თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს, ჩვენ ვალდებულები ვართ ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარმოდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარმოდგენის პრინციპს.

- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული ერთეულებისა თუ ბიზნეს-საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის თაობაზე, რათა მის საფუძველზე შევადგინოთ დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენ ვაგებთ პასუხს ჯგუფის აუდიტის მართვაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. აუდიტორულ დასკვნაზე პასუხისმგებლობა გვეკისრება მხოლოდ ჩვენ.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე ვაცნობებთ აუდიტის მიმდინარეობისას მოპოვებული მიგნებების, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზების შესახებ.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

სტიუარტ ლეიტონი
„დელოიტი და ტუშის“ სახელით

2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	7	535,335	444,736
გაყიდვების თვითღირებულება	8	(468,336)	(389,314)
მთლიანი მოგება		**66,999**	**55,422**
გაყიდვის და დისტრიბუციის ხარჯები	9	(33,523)	(31,951)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(14,281)	(13,749)
საპროცენტო ხარჯი		(5,339)	(3,018)
საპროცენტო შემოსავალი		3,367	2,819
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(4,308)	(2,801)
სხვა შემოსავალი, წმინდა	11	3,362	2,084
მოგება გადასახადამდე		16,277	8,806
მოგების გადასახადის ხარჯი		(795)	(55)
წლიური მოგება		**15,482**	**8,751**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**15,482**	**8,751**
წლიური მოგება განეკუთვნება:			
ჯგუფის აქციონერები		15,190	8,525
არასაკონტროლო წილები		292	226
		15,482	**8,751**
სულ წლის სრული შემოსავალი განეკუთვნება:			
ჯგუფის აქციონერები		15,190	8,525
არასაკონტროლო წილები		292	226
		15,482	**8,751**

ხელმძღვანელობის სახელით:

ქრეიგ სთივენ ქრამერი	**მიხეილ ესიაშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
2020 წლის 15 ივლისი	2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	12	71,020	70,164
აქტივებით სარგებლობის უფლება და საიჯარო ვალდებულებები	13	18,438	-
გუდვილი	14	2,436	2,436
სხვა გრძელვადიანი აქტივები	15	708	707
ინვესტიციები დაკავშირებულ პირებში	16	3,926	3,613
ძირითად საშუალებებზე წინასწარ გადახდილი თანხები		282	320
გაცემული სესხები	18	347	538
სულ გრძელვადიანი აქტივები		**97,157**	**77,778**
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები	17	44,293	38,028
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19	10,917	3,179
მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხები	20	2,611	1,330
გაცემული სესხები	18	50,768	44,478
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	25,638	4,574
სულ მიმდინარე აქტივები		**134,227**	**91,589**
სულ აქტივები		**231,384**	**169,367**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	22	49,385	49,385
გაუნაწილებელი მოგება		26,134	15,164
კომპანიის აქციონერების კაპიტალი		75,519	64,549
არასაკონტროლო წილები		763	750
სულ კაპიტალი		**76,282**	**65,299**
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
აღებული სესხები	23	20,146	24,988
საიჯარო ვალდებულებები	13	16,929	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		389	407
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**37,464**	**25,395**
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	24	55,769	36,044
მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები	25	7,961	11,279
საიჯარო ვალდებულებები	13	3,628	-
აღებული სესხები	23	50,280	31,350
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**117,638**	**78,673**
სულ ვალდებულებები		**155,102**	**104,068**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**231,384**	**169,367**

ხელმძღვანელობის სახელით:

ქრეიგ სთივენ ქრამერი
აღმასრულებელი დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი თბილისი, საქართველო

მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი, თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დამფუძნებლის აქციონერთა კუთვნილი	არასაკონტროლო წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	**49,385**	**15,164**	**64,549**	**750**	**65,299**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	15,190	15,190	292	15,482
გამოცხადებული დივიდენდები	-	(4,220)	(4,220)	(279)	(4,499)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	**49,385**	**26,134**	**75,519**	**763**	**76,282**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____
ქრეიგ სთივენ ქრამერი
აღმასრულებელი დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

_____
მიხეილ ესიაშვილი
ფინანსური დირექტორი
2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლიური მოგება	15,482	8,751
კორექტირებები:		
მოგების გადასახადის ხარჯი	795	55
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	6,199	6,129
სარგებლობის უფლების აქტივების ცვეთის ხარჯი	3,584	
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული (მოგება)/ზარალი	(40)	21
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	622
საწვავის მეტობა	(1,366)	(804)
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	(468)	(337)
სავაჭრო მოთხოვნებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	110	1,480
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა	4,308	2,801
საპროცენტო ხარჯი	5,339	3,018
საპროცენტო შემოსავალი	(3,367)	(2,819)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	**30,576**	**18,917**
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(7,612)	5,286
(ზრდა)/კლება მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებში	(1,275)	1,008
(ზრდა)/კლება მარაგებში	(4,726)	247
ზრდა/(კლება) კლება სავაჭრო და სხვა გადასახდელებში	17,123	(8,596)
კლება მიღებულ ავანსებსა და სხვა ვალდებულებებში	(3,327)	(10,207)
ოპერაციებიდან მიღებული ნაღდი ფული	**30,759**	**6,655**
გადახდილი მოგების გადასახადი	(795)	(55)
გადახდილი პროცენტი	(4,547)	(3,169)
მიღებული პროცენტი	390	147
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ნაღდი ფული, წმინდა	**25,807**	**3,578**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(7,181)	(9,599)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	42
მიღებული დივიდენდები	155	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული	**(7,026)**	**(9,557)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი აღებული სესხებიდან	240,108	214,549
აღებული სესხების დაფარვა	(229,695)	(205,650)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,344)	-
გადახდილი დივიდენდები	(4,499)	(254)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ნაღდი ფული	**3,570**	**8,645**
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**22,351**	**2,666**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**4,574**	**3,062**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში ფლობილი ფულის ნაშთებზე	(1,287)	(1,154)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	**25,638**	**4,574**

ხელმძღვანელობის სახელით:

ქრეიგ სთივენ ქრამერი	**მიხეილ ესიაშვილი**
აღმასრულებელი დირექტორი	**ფინანსური დირექტორი**
2020 წლის 15 ივლისი	2020 წლის 15 ივლისი
თბილისი, საქართველო	თბილისი, საქართველო

9-51 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (კომპანია) დაფუძნდა საქართველოში 2010 წლის 30 ნოემბერს, შპს „სანოილ ოილ პროდაქტსის“ სახელით და ბრენდირებული ბენზინგასამართი სადგურების პრემიუმ-ქსელის შექმნის მიზნით. კომპანიამ იურიდიული დასახელება ორჯერ შეიცვალა: 2011 წლის იანვარში - შპს „სანოილზე“ და 2011 წლის მარტში - შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე“.

ჯგუფმა ბენზინგასამართი სადგურების ქსელის შექმნა 2011 წლის მარტში დაიწყო ძირითადად მესამე მხარეებისგან აქტივების - ბენზინგასამართი სადგურებისა და ბენზინის შესანახი დეპოს შესყიდვისა და გარემონტების გზით. იმავე წლის განმავლობაში კომპანიამ დააფუძნა 100%-ით ფლობილი შვილობილი კომპანიები შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ იქვითისი“ და შპს „სან სტორსი“, 70%-ით ფლობილი შვილობილი კომპანია შპს „ფონიჭალა 2009“ და 50%-ით ფლობილი შვილობილი კომპანიები შპს „გორი ოილ კომპანი“ და შპს „ახალციხე ოილ კომპანი“. აგრეთვე შეისყიდა საკონტროლო წილი შპს „დიდუბოილში“, შპს „ოპტიმა +“-ში, შპს „ფიქრის გორაში“, შპს „ჩაქვის ბენზინგასამართ სადგურსა“ და შპს „ქოლოში“ (ერთობლივად „ჯგუფი“).

ჯგუფი მოღვაწეობს როგორც საცალო, აგრეთვე საბითუმო სეგმენტში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი ამუშავებდა საქართველოში მდებარე 149 (2018: 144) ბენზინგასამართ სადგურს, რომელთაგან 86 (2018: 88) ბენზინგასამართ სადგურს საკუთრებაში ფლობდა კომპანია მის შვილობილ კომპანიებთან ერთად, დანარჩენები იჯარითაა არსებული.

ჯგუფის ბენზინგასამართი სადგურების ქსელმა ოპერირება დაიწყო 2011 წლის მარტში ბრენდული სახელით - „გალფი“, „გალფ ოილ ინტერნეშენალთან“ გაფორმებული 15 წლიანი ლიცენზირების შეთანხმების შესაბამისად. 2015 წლის აპრილში ჯგუფმა შექმნა საკუთარი ბრენდი „ჯი-ეკონომი“ და დაიწყო კუთვნილი ბენზინგასამართი სადგურების რებრენდინგი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 41 (2018: 38) ბენზინგასამართი სადგური მუშაობდა „ჯი-ეკონომის“ ბრენდით. „ჯი-ეკონომის“ ბენზინგასამართი სადგურები კონცენტრირებულია იაფი, დაბალხარისხიანი საწვავის საცალო გაყიდვებზე, „გალფი“ კი პრემიუმ ხარისხის საწვავს ყიდის.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფში დასაქმებული იყო 1,538 და 1,528 თანამშრომელი, შესაბამისად.

კომპანია არის ჯგუფის დამფუძნებელი კომპანია და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული ჰყავს შემდეგი შვილობილი კომპანიები:

დასახელება	ოპერირების ქვეყანა	ფლობილი წილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ფლობილი წილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საქმიანობის ტიპი
შპს „ჯორჯიან პეტროლიუმ იქვითისი“	საქართველო	100%	100%	მენეჯმენტი
შპს „სან სტორსი“	საქართველო	100%	100%	საკვების საცალო გაყიდვა
შპს „დიდუბოილი“	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ჩაქვის ბენზინგასამართი სადგური“	საქართველო	100%	100%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ესპიჯი ტრეიდინგი“	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს „ფიქრის გორა“	საქართველო	75%	75%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ფონიჭალა 2009“	საქართველო	100%	100%	უმოქმედო საწარმო
შპს „ქოლო“	საქართველო	67%	67%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „ოპტიმა+“	საქართველო	50%	50%	ბენზინგასამართი სადგურის ოპერირება
შპს „გორი ოილი“	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო
შპს „ახალციხე ოილ კომპანი“	საქართველო	50%	50%	უმოქმედო საწარმო

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მფლობელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩერ ჰოლდინგსი“.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მფლობელები არიან სს „როსნეფტი“ და დავით იაკობაშვილი, შესაბამისად 49% და 38% წილებით. დანარჩენი წილები გადანაწილებულია სამ ფიზიკურ პირს შორის.

ჯგუფის მთავარი საოპერაციო ოფისი მდებარეობს მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი #34, თბილისი, საქართველო.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 15 ივლისს.

2. უწყვეტი საწარმო

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას უწყვეტი საწარმო პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფი ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებათა დაფარვას. წინამდებარე შეფასებისათვის ხელმძღვანელობა მხედველობაში იღებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას, მიმდინარე მიზნებს, ოპერაციების მომგებიანობასა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას, აგრეთვე გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის ზეგავლენა ჯგუფის საქმიანობაზე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიმდინარე აქტივები 134, 227 ათასი ლარის ოდენობით 16, 589 ათასი ლარით აჭარბებდა მის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც შეადგენდა 117, 638 ათას ლარს. 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წმინდა მოგება შესაბამისი რიგითობით შეადგენდა 15,482 ათას და 8,751 ათას ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 76,282 ათას ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ნაღდი ფული 25,807 ათასი ლარის ოდენობით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება უწყვეტი საწარმოს პრინციპს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- მიმდინარე ვალდებულებების ძირითად ნაწილს შეადგენს არსებული დავალიანებები საერთო კონტროლის ქვეშ არსებული დაკავშირებული პირების მიმართ. აქ იგულისხმება შპს „პეტროკას ენერგი ინტერნაციონალისა“ და „ჩანელ ენერჯო ფოთი“-ს მიმართ არსებული სესხის მოკლევადიანი ნაწილები 3,956 ათასი ლარისა და 8,642 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისი მიმდევრობით. აქ ასევე შედის სავაჭრო ვალდებულებები „პეტროკას ენერჯის“, „შპს პონტოს ენერჯისა“ და „შპს ჯორჯიან ენერჯი სოლუშენის“ 19,410 ათასი ლარი, 28,324 ლარი და 3,157 ლარი.

- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადგინდა ჯგუფის მიერ სს საქართველოს ბანკისა და სს თიბისი ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულების - ლიკვიდურობისა და ლევერეჯის დადგენილი კოეფიციენტის დარღვევა. თუმცაღა, ანგარიშგების თარიღისათვის ჯგუფმა მოიპოვა ბანკების დასტური იმის შესახებ, რომ ისინი უარს იტყოდნენ თავიანთ უფლებაზე და არ მოითხოვენ სესხის დაფარვას მისი ვადის ამოწურვამდე.

- 2020 წლის დასაწყისიდან გავრცელდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19), რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს და შედეგად, 2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ეპიდემიური მდგომარეობა. ჯგუფის საქმიანობაზე COVID-19-ს შედეგების მნიშვნელოვნება დამოკიდებულია ეპიდემიის ხანგრძლივობაზე, მსოფლიოს და საქართველოს ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების სიმძიმეზე.

  COVID-19-ს მზარდი გავრცელების გამო საქართველოში საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 აპრილამდე უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა შემდეგ მოხდა ვადის გაგრძელება 2020 წლის 21 მაისამდე. შეჩერდა

ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (როგორც შიდა, ისე მუნიციპალიტეტებს შორისი). მთავრობამ ასევე დააწესა შეზღუდვები კერძო ავტოტრანსპორტით სარგებლობაზე 2020 2ლის 17 აპრილიდან 26 აპრილამდე პერიოდში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ჯგუფის გაყიდვები, თუმცა მას საკმარისი რესურსები აქვს საქმიანობის გასაგრძელებლად. საზოგადოებრივი ტრანსპორტი 2020 წლის 29 მაისიდან აღდგა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს რეგისტრირებული აქტივების ღირებულებების აღდგენასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ შესწორებებს, და ვალდებულებების კლასიფიკაციას, რაც ჯგუფის საქმიანობის შეწყვეტისას შეიძლება გახდეს საჭირო.

3. შესაბამისობის განცხადება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

4. ახალი და რედაქტირებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება:

ჯგუფმა მიმდინარე წელს შემოიღო ახალი და რედაქტირებული შემდეგი სტანდარტები:

- ფასს 16 იჯარები;
- ფასს 9 ცვლილებები - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით;

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16-ში მოცემულია საიჯარო გარიგებების იდენტიფიცირებისა და იჯარის ხელშეკრულების ორივე მხარის აღრიცხვიანობის პრინციპები. ძალაში შესვლისას ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს იჯარის შესახებ არსებულ ბასს 17-სა და მასთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს, 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის. ჯგუფისათვის ფასს 16-ის საწყისი გამოყენების თარიღი იქნება 2019 წლის 1 იანვარი. ჯგუფმა გადაწყვიტა, ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით გამოიყენოს, რაც ფასს 16:C5(6) შესაბამისია. შედეგად, ჯგუფი შედარებით ინფორმაციას არ გადააფასებს. ჯგუფი გამოიყენებს ფასს 16-ზე გადასვლისას შესაძლებელ პრაქტიკულ გამონაკლისს და ხელახლა არ შეაფასებს არის თუ არა კონტრაქტი იჯარა ან მოიცავს თუ არა იგი იჯარას.

ფასს 16 განასხვავებს საიჯარო და მომსახურების ხელშეკრულებებს იმის მიხედვით თუ რამდენად აკონტროლებს მომხმარებელი იდენტიფიცირებად აქტივს. მეიჯარის ბუღალტრულ ჩანაწერებიდან ამოღებულია განსხვავება საოპერაციო იჯარას (ბალანსს გარე) და ფინანსურ იჯარას (საბალანსო) შორის, ახალი მოდელით მოიჯარე ვალდებულია აღიაროს აქტივი სარგებლობის უფლებით და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები (მაგ. ბალანსზე) ყველა სახის იჯარის დროს, გარდა მოკლევადიანი იჯარების ან დაბალი ღირებულების აქტივების შემთხვევებისა.

სარგებლობის უფლების მატარებელი აქტივი თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, შემდგომში კი (გამონაკლისების გათვალისწინებით) თვითღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის სხვაობით, რომელიც საიჯარო ვალდებულების ნებისმიერი გადაფასებისას კორექტირდება. საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად აისახება აღიარების დღეს გადაუხდელი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით. ამის შემდგომ საიჯარო ვალდებულება კორექტირდება პროცენტისა და საიჯარო გადახდების ოდენობით, აგრეთვე, სხვა ფაქტორთა შორის, იჯარის ცვლილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, ცვლილება ეხება ფულადი ნაკადების კლასიფიკაციას, რადგან ბასს 17-ით გათვალისწინებული საოპერაციო იჯარის გადახდები საოპერაციო ფულად ნაკადებში აისახება; მეორე მხრივ, ფასს 16-ის მოდელით, საიჯარო გადახდები იყოფა ძირითად და პროცენტის ნაწილებად და, შესაბამისად, შედის ფინანსური და საოპერაციო ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში.

მოიჯარის აღრიცხვის წესისგან განსხვავებით, ფასს 16-ს მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნები ძირითადად ბასს 17-ში გადააქვს და კვლავინდებურად ავალდებულებს მეიჯარეს მოახდინოს იჯარების დაყოფა საოპერაციო ან ფინანსური სახის იჯარებად.

გარდა ამისა, ფასს 16 მასშტაბურ განმარტებებსაც მოითხოვს.

ჯგუფმა დაასრულა მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე პოტენციური გავლენის პირველადი შეფასება.

ჯგუფი აღიარებს ფილიალებისა და საოფისე ფართის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებულ ახალ აქტივებსა და ვალდებულებებს. შესაბამისი ხარჯების ბუნება შეიცვლება, რადგან ფასს 16-ით საოპერაციო იჯარის ხარჯის წრფივი ასახვა იცვლება გამოყენების უფლების მატარებელ აქტივებზე - ცვეთის ხარჯითა და საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯის აღიარებით.

სტანდარტის მიღებამდე ჯგუფი საოპერაციო იჯარის ხარჯს წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებდა, ხოლო აქტივებსა და ვალდებულებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო გადახდებსა და აღიარებულ ხარჯს შორის დროში განსხვავება იყო.

ჯგუფმა ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენება 2019 წლის 1 იანვარს მოახდინა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომით.

მანამდე საოპერაციო იჯარად კლასიფიცირებულ იჯარებთან დაკავშირებით ფასს 16-ის საწყისი აღიარების თარიღისათვის იჯარის ვალდებულების აღიარებისათვის ჯგუფი იყენებს კუმულატიურ დაყოვნების მიდგომას. იჯარის ვალდებულება აისახება დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მოიჯარის მზარდი სესხის განაკვეთით საწყისი აღიარების თარიღში.

პრაქტიკული საშუალების სახით, რომელიც ინდივიდუალურ იჯარებზე მოქმედებს, ჯგუფი არ აღიარებს უფლების მატარებელ აქტივებს ან მანამდე საოპერაციო იჯარად აღიარებულ საიჯარო ვალდებულებებს, რომელთა იჯარას ვადა გასდის საწყისი აღიარების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

სარგებლობის უფლების აქტივებთან დაკავშირებით ფასს 16-ის საწყისი აღიარების თარიღისათვის იჯარის ვალდებულების აღიარებისათვის ჯგუფი იყენებს კუმულატიურ დაყოვნების მიდგომას. ამგვარი აქტივები აისახება საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, რომელიც კორექტირებულია უკვე გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადით, რომელიც დაკავშირებულია საწყისი აღიარების თარიღამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ კონკრეტულ იჯარასთან.

გარდა ამისა, საწყისი აღიარების თარიღისათვის სარგებლობის უფლების აქტივის ღირებულების გაზომვის გაანგარიშებაში ჯგუფი არ ითვალისწინებს საწყის პირდაპირ ხარჯებს.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებული იყო 18,525 ათასი ლარის ოდენობის გამოყენების უფლების აქტივი და საიჯარო ვალდებულებები. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი 10.8%. საშუალო საიჯარო ვადა არის 8 წელი.

შესწორება ფასს 9 - წინასწარი გადახდა უარყოფითი ანაზღაურების მახასიათებლებით

ფასს 9-ის შესწორება განმარტავს, რომ იმის დასადგენად, აკმაყოფილებს თუ არა წინასწარი გადახდის მახასიათებელი SPPI პირობას, მხარეს, რომელიც ამ ოფციას გამოიყენებს, შეუძლია გადაიხადოს ან მიიღოს სათანადო ანაზღაურება წინასწარ გადახდილი თანხისთვის წინასწარი გადახდის მიზეზის მიუხედავად. სხვა სიტყვებით, წინასწარი გადახდის მახასიათებლებმა უარყოფითი ანაზღაურებით SPPI ტესტი შეიძლება გაიაროს კიდეც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ფასს 9-ის შესწორების გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ამ ცვლილებებს გავლება არ მოუხდენია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ჯგუფი არ იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და რედაქტირებულ ფასს სტანდარტებს, რომლებიც ჯერ არ ამოქმედებულა:

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები;
- ფასს 10 და ბასს 28 შესწორებები - აქტივების ნასყიდობა ან შენატანები ინვესტორსა და ასოცირებულ პირებს შორის თუ ერთობლივ საწარმოებში;
- ფასს 3-ის ცვლილებები - "სამეწარმეო საქმიანობის" განმარტება;
- ბასს 1-სა და ბასს 8-ს - „არსებითის" განმარტება;
- ფასს-ის წლიური რედაქტირებები (2010-2012წწ.) ციკლი დამატებები ბასს 1-ზე - ვალდებულებების დაყოფა გრძელვადიან და მიმდინარე ვალდებულებებად.

ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 ადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების ცნობის, შეფასების, წარმოდგენისა და გამჟღავნების პრინციპებს და ცვლის მანამდე არსებულ ფასს 4 -სადაზღვევო ხელშეკრულებები.

ფასს 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელიც მორგებულია სადაზღვევო ხელშეკრულებებზე პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით, რაც აღწერილია როგორც ცვლადი ანაზღაურების მიდგომა. ზოგადი მოდელი მარტივდება გარკვეული კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, რაც დამოკიდებულია პრემიის გადანაწილების მეთოდით გადასახდელად დარჩენილი დაფარვის განსაზღვრის შედეგად.

ზოგადი მოდელი ითვალისწინებს მიმდინარე დაშვებებით მოცულობის, ვადების, ფულადი სახსრების მოძრაობის არასტაბილურობის განსაზღვრას და პირდაპირ ზომავს ამ არასტაბილურობის ფასს. მხედველობაში მიიღება საპროცენტო განაკვეთის საბაზრო ოდენობა და დამზღვევთა შესაძლო ვარიანტები და გარანტიები.

ეს სტანდარტი ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისათვის, შესაძლებელია ადრე გამოყენებაც. ის ვრცელდება წინა პერიოდზეც, ხოლო თუ ეს ტექნიკურად შეუძლებელი არაა, ამ დროს გამოიყენება მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მიდგომა ან საბაზრო ფასის მიდგომა. ფასს 17-ს ცვლილების შემოთავაზებულ პროექტით დარეგულირებულია ყველა ის მოსაზრება და საიმპლემენტაციო გამოწვევა, რომელიც ფასს 17-ის გამოქვეყნების შემდეგ დაფიქსირდა. ერთ-ერთი ძირითადი ცვლილებაა ფასს 17 სტანდარტის ამოქმედება ერთი წლით უფრო გვიან, 2022 წლის 1 იანვრიდან ან მომდევნო ყოველწლიურ პერიოდზე.

გადამავალი დებულებების მიზნებისათვის, სტანდარტის გამოყენების დაწყების დღედ ითვლება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დაწყების დღე, რომელშიც საწარმო პირველად იმოქმედებს სტანდარტის შესაბამისად, ხოლო გარდამავალ თარიღად ითვლება იმ პერიოდის დაწყების დღე, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს სტანდარტის გამოყენების დაწყების დღეს.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

ფასს 3-ის ცვლილებები - "სამეწარმეო საქმიანობის" განმარტება

ცვლილებებით განიმარტება, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობით ჩვეულებრივ მიიღება შემოსავალი, ეს უკანასკნელი არაა აუცილებელი მახასიათებელი იმისთვის, რომ მოქმედებებისა და აქტივების ინტეგრირებულ ერთობას დაერქვას სამეწარმეო საქმიანობა. იმისათვის, რომ ბიზნესად განვიხილოთ, მოქმედებებისა და აქტივების ერთობლიობა უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შენატანს და არსებით საქმიანობას, რომელიც ერთობლივად მიმართულია სარგებლის მიღებაზე.

მოცემულია დამატებითი მითითებები, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დადგინდეს რამდენად გვაქვს კონკრეტულ შემთხვევაში არსებითი/ორგანიზებული საქმიანობა.

ცვლილებებით ასევე შემოთავაზებულია ნებაყოფლობითი კონცენტრაციის ტესტი, რომელიც გამარტივებული შეფასებით ადგენს როდის არ ჩაითვლება მოქმედებებისა და აქტივების მიღებული ერთობლიობა ბიზნეს/სამეწარმეო საქმიანობად. ნებაყოფლობითი კონცენტრაციის ტესტით საქმიანობებისა და აქტივების მიღებული ერთობლიობა არ წარმოადგენს ბიზნესს/სამეწარმეო საქმიანობას, თუ რეალური ღირებულება კომპანიის ყველა აქტივისა კონცენტრირებულია ერთ იდენტიფიცირებად აქტივში, ან ერთმანეთის მსგავსი აქტივების ერთ ჯგუფში.

ცვლილებები მიმართება ყველა სახის ბიზნეს გაერთიანებასა და აქტივის მიერთების შემთხვევებს, რომელიც 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდება. ნებადართულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

ბასს 1-სა და ბასს 8-ს ცვლილებები - „არსებითის“ განმარტება;

ცვლილებების მიზანია ჩამოაყალიბოს ბასს 1-ში ტერმინ „არსებითი“-ს მარტივად გასაგები განმარტება, ამასთან, არ უნდა მოხდეს ფასს სტანდარტების საფუძველში არსებული არსებითობის კონცეფციის ცვლილება. ამ ახალი განმარტების ნაწილია „ბუნდოვანი“ არსებითი ინფორმაციისა და არაარსებითი ინფორმაციის ცნებები.

შეიცვალა მომხმარებელზე გავლენის მქონე არსებითობის ზღვარი, ნაცვლად „შესაძლო გავლენისა“ დადგინდა „შესაძლო გონივრული მოლოდინი გავლენისა“.

ბასს 8-ში ტერმინი „არსებითის“ განმარტება შეიცვალა მითითებამ ბასს 1-ში მოყვანილ განმარტებაზე. ამასთან ერთად, იმისათვის რომ განმარტებები ყოფილიყო თანამიმდევრული, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო ბიურომ მსგავსად შეცვალა განმარტება სხვა სტანდარტებსა და კონცეპტუალურ ჩარჩოში, სადაც ეს ტერმინი იყო მოცემული.

ცვლილებები მიმართება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებს, ნებადართულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

ფასს-ის წლიური რედაქტირებები (2010—2012) რედაქტირებების ციკლი ბასს 1 - ვალდებულებების დაყოფა მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად

ცვლილებებით ნათლად არის დადგენილი, რომ ვალდებულება გრძელვადიანია, თუ სუბიექტს აქვს მოლოდინი, და ამის დისკრეციული უფლება, ხელახლა დააფინანსოს ან გადაავადოს ვალდებულების შესრულება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან სულ ცოტა თორმეტი თვის განმავლობაში, იგივე საკრედიტო ხაზის ფარგლებში, იგივე გამსესხებლისაგან და იგივე ან მსგავსი პირობებით.

ცვლილება მიემართება მხოლოდ ვალდებულებების აღწერას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და არ ცვლის თავად ამ ვალდებულების აღიარებულ ოდენობას ან მის ვადას, ან იმ ინფორმაციას, რომელიც სუბიექტმა ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს.

ცვლილებები ნათლად განმარტავს, რომ მსგავსი კლასიფიკაცია ეფუძნება ვალდებულების შესრულების დამატებით 12 თვით გადავადების უფლებებს, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდის დასრულების მომენტში უკვე არსებობს. მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ მხოლოდ „საანგარიშგებო პერიოდის დასრულების მომენტში“ არსებული უფლება შეიძლება განაპირობებდეს ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიკაციას. ვალდებულების კლასიფიცირებაზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, თუ რამდენად გამოიყენებს სუბიექტი ვალის გადავადების უფლებას; შესრულება გამოიხატება მეორე მხარისათვის ფულის გადახდაში, წილობრივი ინსტრუმენტების, სხვა სახის აქტივების გადაცემასა თუ მომსახურების გაწევაში.

ცვლილებები მიმართება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებულ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებს და გავრცელდება რეტროსპექტულად. ნებადართულია უფრო ადრე გამოყენებაც.

ჯგუფის ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამ სტანდარტის გამოყენება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილ ოდენობებზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძველი – წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფი არის ფუნქციონირებადი საწარმო და ოპერირებას გააგრძელებს განჭვრეტად მომავალში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი (ისტორიული) ღირებულების საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ეფუძნება ამ აქტივების სანაცვლოდ მიცემული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ფუნქციონალური ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები აღრიცხულია კომპანიის საოპერაციო ეკონომიკური გარემოს პირველად ვალუტაში („ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის დამფუძნებლის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტაა ლარი. ყველა თანხა უახლოეს ათასამდეა დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ხარჯები შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ იქვითება, თუ ამის ვალდებულებას ან უფლებას რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ აწესებს ან არ არის განმარტებული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ.

კონსოლიდირების საფუძველი – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და კომპანიის მიერ კონტროლირებადი პირის (შვილობილი კომპანიები) დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა, როდესაც კომპანიას გააჩნია:

- ძალაუფლება ინვესტირების ობიექტზე;
- მონაწილეობა ან უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე; და
- უნარი, გამოიყენოს ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

კომპანია აფასებს, აკონტროლებს თუ არა იგი ინვესტირების ობიექტს, მიუთითებს თუ არა გარემოებები, რომ ზემოთ მოყვანილი სამი ელემენტიდან ერთში ან მეტში მოხდა ცვლილება.

როდესაც კომპანია ინვესტირების ობიექტში ფლობს ხმის უფლებათა უმრავლესობაზე ნაკლებს, მას ძალაუფლება გააჩნია, თუ მისი ხმის უფლება მას ანიჭებს პრაქტიკულ შესაძლებლობას ცალმხრივად გაუძღვეს პირის შესაბამის საქმიანობას. იმის დასადგენად, არის თუ არა ფლობილი ხმების რაოდენობა საკმარისი ინვესტირების ობიექტზე ძალაუფლების განსახორციელებლად, კომპანია აფასებს შემდეგ ფაქტებსა და გარემოებებს:

- კომპანიის მიერ ფლობილი ხმის უფლებების მოცულობა სხვა მფლობელების მიერ ფლობილი ხმების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებსა თუ სხვა პირების მიერ ფლობილი პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოშობილი უფლებები; და
- ნებისმიერი სხვა ფაქტი და გარემოება, რომელიც მიუთითებს, რომ კომპანიას ამჟამად აქვს ან არ აქვს შესაძლებლობა, გაუძღვეს შესაბამის საქმიანობას გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის მომენტში, მათ შორის, აქციონერთა წინა კრებებზე ხმათა გადანაწილების გათვალისწინებით.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც კომპანია მასზე კონტროლს მოიპოვებს და წყდება, როდესაც ამ კონტროლს კარგავს. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები წინასწარ სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში შედის იმ დღიდან, როდესაც კომპანია კონტროლს მოიპოვებს და გრძელდება იმ დღემდე, როდესაც კომპანია კონტროლს კარგავს.

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეწერება კომპანიის მფლობელებსა და არასაკონტროლო წილებს. შვილობილი კომპანიების მთლიანი სრული შემოსავლები კომპანიის მფლობელებსა და არასაკონტროლო წილებს მიეწერება მაშინაც კი, თუ ამის შედეგად არასაკონტროლო წილებს უარყოფითი ნაშთი გამოსდით.

აუცილებლობის შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება ისე კორექტირდება, რომ მათი საბუღალტრო პოლიტიკა ჯგუფის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს.

ჯგუფის შიგნით ყველა აქტივები და ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი სახსრების მოძრაობა, რომელიც ჯგუფის წევრებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებთანაა დაკავშირებული კონსოლიდირებისას სრულად იქვითება.

არასაკონტროლო წილები წარმოადგენს შვილობილი კომპანიის იმ კაპიტალს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად არ ეკუთვნის დამფუძნებელს.

არასაკონტროლო წილები მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში - კაპიტალის ნაწილად, მაგრამ დამფუძნებლის აქციონერული კაპიტალისგან ცალკე.

ისეთი ცვლილება ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიებში ფლობილ წილებში, რომელიც არ იწვევს ჯგუფის მიერ შვილობილ კომპანიებზე კონტროლის დაკარგვას, აღირიცხება როგორც წილობრივი ტრანზაქციები. ჯგუფის წილებისა და არასაკონტროლო წილების საბალანსო ღირებულებები კორექტირდება და ასახავს შვილობილ კომპანიებში მათი ფარდობითი წილების ცვლილებას. ნებისმიერი სხვაობა არასაკონტროლო წილის კორექტირების ოდენობასა და გადახდილი ან მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება პირდაპირ კაპიტალში და მიეწერება კომპანიის მფლობელებს.

როცა ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, მოგება ან ზარალი ტრანზაქციიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და იანგარიშება როგორც სხვაობა 1) მიღებული კომპენსაციის და შენარჩუნებული წილის სამართლიანი ღირებულებების ჯამურ თანხასა და 2) კონტროლის დაკარგვამდე არსებული შვილობილის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებას და არაკონტროლირებად წილს შორის. ყველა თანხა აღიარებული შვილობილთან დაკავშირებით ადრე, როგორც სხვა საერთო შემოსავალი, აღირიცხება ისე როგორც აღირიცხებოდა ჯგუფს რომ პირდაპირ გაეყიდა შვილობილთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები (გადაკლასიფიცირდება მოგება/ზარალში ან კაპიტალის რომელიმე სხვა კატეგორიაში შესაბამისი ფასს-ის შესაბამისი სტანდარტის მიხედვით). კონტროლის დაკარგვის მომენტში, ყოფილ შვილობილში შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიანი ღირებულება ჩაითვლება შემდგომში როგორც, სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას, ბასს 39-ის მიხედვით ინვესტიციის შემდგომ პერიოდებში აღრიცხვისათვის, როცა რელევანტურია, ღირებულებად ინვესტიციის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში.

საწარმოთა გაერთიანება - ბიზნესების შეძენა აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. გადაცემული კომპენსაცია ბიზნეს კომბინაციის დროს აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და იანგარიშება როგორც შეძენის თარიღში არსებული აქტივების სამართლიანი ღირებულების ჯამი, რაც ჯგუფმა გასცა, ვალდებულებების, რაც ჯგუფმა გასწია ყოფილ მფლობელებზე და კაპიტალისა, რაც ჯგუფმა შეიტანა კონტროლის სანაცვლოდ. შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები ზოგადად აღიარდება მოგებაში ან ზარალში გაწევის მომენტში.

შეძენის თარიღში, შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა შემდეგისა:

- გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები და თანამშრომელთა სარგებლის პროგრამებთან დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები, რომლებიც აღიარდება და იზომება ბასს 12-ის და ბასს 19-ის შესაბამისად;

- ვალდებულებები ან წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია შეძენილი ბიზნესის აქციებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან ან ჯგუფის აქციებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამებთან, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს შეძენილი ბიზნესის წილებზე დაფუძნებული გადახდის პროგრამები, აღირიცხება ფასს 2-ის „წილებზე დაფუძნებული ანაზღაურების“ მიხედვით, შეძენის მომენტში; და
- აქტივები (ან გასაყიდი ჯგუფები) რომლებიც კლასიფიცირდება როგორც გასაყიდი ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციებით“ და შესაბამისად იზომება მოცემული სტანდარტის მიხედვით.

გუდვილი აღირიცხება, როგორც სხვაობა გაცემული ანაზღაურების, შეძენილ ბიზნესში არასაკონტროლო წილების ღირებულებისა და შეძენილ ბიზნესში შემსყიდველის მიერ შესყიდვამდე ფლობილი წილის სამართლიანი ღირებულების ჯამსა და შესყიდული და დაკვირვებადი აქტივების შესყიდვის დღეს არსებული ღირებულებებისა და ნაკისრი ვალდებულების სხვაობას შორის. თუ გადაფასების შემდეგ შესყიდვის დღეს შესყიდული დაკვირვებადი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების სხვაობა აჭარბებს შეძენილ ბიზნესში არასაკონტროლო წილების ღირებულებისა და შეძენილ ბიზნესში შემსყიდველის მიერ შესყიდვამდე ფლობილი წილის სამართლიანი ღირებულების ჯამს, ეს სხვაობა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში როგორც სარფიანი შესყიდვით მიღებული მოგება.

არასაკონტროლო წილები, რომლებიც წარმოადგენს მფლობელობაში არსებულ მიმდინარე წილებს და მფლობელს უფლებას აძლევს, მიიღოს პროპორციული წილი ობიექტის წმინდა აქტივებიდან ლიკვიდაციის შემთხვევაში, შესაძლებელია, თავიდან აისახოს ან სამართლიანი ღირებულებით, ან შესყიდვის ობიექტის არსებული წმინდა აქტივების აღიარებული ღირებულების იმ წილით, რომლებიც არასაკონტროლო წილების პროპორციულია. აღრიცხვის საფუძველი შეირჩევა თითოეული ტრანზაქციისათვის. არასაკონტროლო წილის სხვა სახეობები აისახება სამართლიანი ღირებულებით, ან შესაბამისი ფასს-ით გათვალისწინებული მიდგომით.

როდესაც კომპენსაცია, რომელსაც მყიდველი საწარმო გადასცემს შესყიდული საწარმოს სანაცვლოდ, შეიცავს აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც წარმოშობილია პირობითი კომპენსაციის გარიგებით, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულება უნდა აღიაროს, როგორც შეძენილი საწარმოს სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილი. შეფასების პერიოდის განმავლობაში, მყიდველმა საწარმომ რეტროსპექტიულად უნდა დააკორექტიროს შეძენის თარიღით აღიარებული პირობითი თანხები გუდვილთან მიმართებით. შეფასების პერიოდის განმავლობაში გაკეთებული კორექტირებები წარმოადგენს კორექტირებებს რომლებიც შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ ახალი ინფორმაციის მიღების შედეგად წარმოიშვა (შეფასების პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს შეძენის თარიღიდან ერთ წელს).

იმ პირობითი კომპენსაციის სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელიც არ კლასიფიცირდება, როგორც შეფასების პერიოდის კორექტირება, აღირიცხება იმის მიხედვით, თუ როგორ კლასიფიცირდება პირობითი კომპენსაცია. თუ ის კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი, გადაფასება არ ხდება და შემდგომი ანგარიშსწორება აისახება კაპიტალში. ხოლო თუ იგი კლასიფიცირდება როგორც აქტივი ან ვალდებულება, შეფასება უნდა მოხდეს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ ან ბასს 37 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ სტანდარტების მიხედვით, ხოლო შესაბამისი შემოსულობის ან ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშში.

ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში მყიდველმა საწარმომ მისი ადრინდელი სააქციო წილი შეძენილ საწარმოში უნდა გადააფასოს შეძენის თარიღისთვის გამოთვლილ სამართლიან ღირებულებამდე და საჭიროებისამებრ, მოგებაში ან ზარალში აღიაროს მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასეთის არსებობის შემთხვევაში. წინა საანგარიშგებო პერიოდში მყიდველ საწარმოს შეიძლება სხვა სრულ შემოსავალში ჰქონდეს აღიარებული შეძენილ საწარმოში თავისი სააქციო წილის ღირებულების ცვლილებები. ასეთ შემთხვევაში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხა იმავე საფუძვლით უნდა აღირიცხოს, როგორც იმ შემთხვევაში იქნებოდა საჭირო თუ მყიდველი საწარმო პირდაპირ გაასხვისებდა თავის ადრინდელ სააქციო წილს.

თუ საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღრიცხვა დასრულებული არ არის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, როდესაც გაერთიანება მოხდა, მყიდველმა საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აჩვენოს პირობითი თანხები. პირობითი თანხები კორექტირდება შეფასების პერიოდის განმავლობაში, ან საწარმომ

უნდა აღიაროს დამატებითი აქტივები და ვალდებულებები, თუ მიღებულია ახალი ინფორმაცია შეძენის თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და ვითარების შესახებ, რომელიც, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, გავლენას მოახდენდა ამ დროისათვის აღიარებულ ოდენობებზე.

გუდვილი - გუდვილი, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესის შესყიდვისას, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც დადგინდა ბიზნესის შესყიდვის დღეს, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

გაუფასურების შემოწმების მიზნით, გუდვილი ნაწილდება ჯგუფის თითოეულ ფულის მომტან ერთეულზე, რომელიც სავარაუდოდ ისარგებლებს გაერთიანებით მიღებული სინერგიით. ჯგუფი ფულის მომტან ერთეულად თვლის სადგურების მთლიან ქსელს. ფულის მომტანი ერთეულები, რომლებზეც მოხდა გუდვილის განაწილება, გაუფასურებაზე მოწმდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად, თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ ერთეული შეიძლება გაუფასურებული იყოს. თუ ფულის მომტანი ერთეულის აღდგენადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე მეტია, გაუფასურების ზარალი ჯერ აკლდება გუდვილის მისეული წილის საბალანსო ღირებულებას, შემდეგ კი ერთეულის ყველა სხვა აქტივს მისი საბალანსო ღირებულების პროპორციულად. გუდვილის გაუფასურების ზარალი აღიარდება პირდაპირ მოგებაში ან ზარალში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გუდვილზე აღიარებული გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდში არ აღდგება.

ფულის მომტანი ერთეულის რეალიზაციის შემთხვევაში, გუდვილის მისეული წილი შედის რეალიზაციით მიღებული მოგების ან ზარალის გაანგარიშებაში.

ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. მეკავშირე საწარმოები ის სუბიექტებია, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა არის ჯგუფის უნარი, მონაწილეობა მიიღოს ინვესტირების ობიექტის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში, მაგრამ არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ერთპიროვნულ ან ერთობლივ კონტროლს.

ერთობლივი საწარმო არის გარიგება, სადაც ერთობლივი კონტროლის მქონე მხარეებს გააჩნიათ უფლებები ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებზე. ერთობლივად ითვლება კონტროლი, რომლის განაწილება შეთანხმებულია კონტრაქტით და არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი საქმიანობის თაობაზე მოითხოვს ყველა მაკონტროლებელი მხარის თანხმობას.

მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს შედეგები და აქტივები და ვალდებულებები წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია წილობრივი მეთოდით. ამ მიდგომით ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ კორექტირდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ჯგუფის წილის აღიარების მიზნით. თუ ჯგუფის ზარალის წილმა გადააჭარბა ჯგუფის მიერ ამ მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილ წილს (რაც მოიცავს გრძელვადიან წილებს, რომლებიც არსებითად შეადგენს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის წმინდა ინვესტიციის წილს), ჯგუფი წყვეტს ამის შემდეგ მიღებულ ზარალში თავისი წილის აღიარებას. შემდგომი ზარალი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა შეასრულა სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულებები ან განახორციელა გადახდები მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს სახელით.

ინვესტიცია მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში წილობრივი მეთოდით აღირიცხება იმ დღიდან, როდესაც ინვესტირების ობიექტი იქცა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ. მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ინვესტიციის შესყიდვისას სხვაობა ინვესტიციის ღირებულებასა და ინვესტირების ობიექტის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაში ჯგუფის წილს შორის აღიარდება გუდვილად და შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულების გაანგარიშებაში. სხვაობა წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაში ჯგუფის წილსა და ინვესტიციის თვითღირებულებას შორის, გადაფასების შემდეგ, დაუყოვნებლივ აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში, როდესაც მოხდა ინვესტიციის შესყიდვა.

იმის დასადგენად, საჭიროა თუ არა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ჯგუფის ინვესტიციაზე გაუფასურების ზარალის აღიარება, გამოიყენება ბასს 39-ის მოთხოვნები. როდესაც ეს აუცილებელია, ინვესტიციის მთელი საბალანსო ღირებულება (გუდვილის ჩათვლით) გაუფასურებაზე მოწმდება ბასს 36 - „აქტივების გაუფასურების“ შესაბამისად, როგორც ერთი აქტივი. შემოწმების მიზნით მისი აღდგენადი ღირებულება (გამოყენებულ ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით, შორის უმცირესი) ედრება მის საბალანსო ღირებულებას. აღიარებული გაუფასურების ზარალი შედის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. ამ გაუფასურების ზარალის აღდგენა აღიარდება ბასს 36-ის შესაბამისად, ისე, რომ ინვესტიციის აღდგენად ღირებულება, შედეგად, იზრდება.

ჯგუფი წილობრივი მეთოდის გამოყენებას წყვეტს იმ დღიდან, როდესაც ინვესტიცია აღარ ითვლება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოდ ან მაშინ, როდესაც ინვესტიცია გადადის გასაყიდად განკუთვნილის კატეგორიაში. თუ ჯგუფმა შეინარჩუნა წილი მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში და ეს შენარჩუნებული წილის არის ფინანსური აქტივი, ჯგუფი შენარჩუნებულ წილს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ამ დღის მდგომარეობით და, ბასს 39-ის შესაბამისად, ეს ღირებულება ითვლება სამართლიან ღირებულებად თავდაპირველი აღიარებისას. სხვაობა წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტის დღეს მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და შენარჩუნებული წილის სამართლიანი ღირებულებისა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილის გაყიდვით მიღებული შემოსავლის ჯამს შედის ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს რეალიზაციით მიღებული მოგება-ზარალის გაანგარიშებაში. გარდა ამისა, ამავე მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებულ ყველა თანხას ჯგუფი აღრიცხავს ისევე, როგორც აღრიცხავდა იმ შემთხვევაში, მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები პირდაპირ რომ გაეყიდა. ამდენად, თუ ამ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიერ სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება ან ზარალი შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გაყიდვისას გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის ანგარიშში, ჯგუფი წილობრივი მეთოდის გამოყენების შეწყვეტისას მოგებას ან ზარალს გადაიტანს კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირებას).

წილობრივი მეთოდი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში იქცევა ინვესტიციად ერთობლივ საწარმოში ან ინვესტიცია ერთობლივ საწარმოში იქცევა ინვესტიციად მეკავშირე საწარმოში. წილებში ამგვარი ცვლილება სამართლიანი ღირებულების გადაფასებას არ იწვევს.

თუ ჯგუფმა შეამცირა მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში ფლობილი წილი, მაგრამ გააგრძელა წილობრივი მეთოდის გამოყენება, სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული მოგება--ზარალის ის წილი, რომელიც დაკავშირებული იყო ფლობილი წილის შემცირებასთან მოგება-ზარალის ანგარიშში რეკლასიფიცირდება, თუ შესაბამისი აქტივების ან ვალდებულების რეალიზაციისას მიღებული შემოსავალი ან ზარალი მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდებოდა.

ჯგუფში შემავალ პირსა და მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, მის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მხოლოდ იმ წილის პროპორციულად, რომელიც არ არის დაკავშირებული ჯგუფთან.

შემოსავლის აღიარება - შემოსავალი აისახება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალს აკლდება საქონლის სავარაუდო დაბრუნების, ფასდათმობებისა და სხვა მსგავსი შეღავათების ღირებულება.

<u>საქონლის რეალიზაცია</u>
საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ყველა ჩამოთვლილი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში

- ჯგუფმა მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფი აღარ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის ფლობასთან დაკავშირებული ხარისხის მენეჯერულ მონაწილეობას ან მასზე ეფექტურ კონტროლს;
- შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიმღები იქნება ჯგუფი; და

- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

ჯგუფი საწვავის, გაზისა და სხვა საქონლის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროში ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

საიჯარო შემოსავალი
ჯგუფის პოლიტიკა საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით აღწერილია ქვემოთ.

დივიდენდი და საპროცენტო შემოსავალი
დივიდენდური შემოსავალი ინვესტიციებიდან აღიარდება, როდესაც დადგინდება მფლობელის უფლება, მიიღოს გადახდები (იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია).

საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივიდან აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს ჯგუფი და შემოსავლის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია. საპროცენტო შემოსავალი ირიცხება დროით საფუძველზე, დარჩენილი ძირითადი თანხისა და გამოყენებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის ის განაკვეთი, რომლითაც ზუსტად ხდება საპროგნოზო მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირება ფინანსური აქტივის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ამ აქტივის თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იჯარა - იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადაეცემა იჯარის ამღებს. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ჯგუფი როგორც მოიჯარე
საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. საოპერაციო იჯარის შეთანხმებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული საწყისი პირდაპირი ხარჯები იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას ემატება და წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში.

ჯგუფი როგორც მეიჯარე
საოპერაციო იჯარის გადასახდელები წრფივად აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ განასახიერებს იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს. საოპერაციო იჯარით წარმოშობილი პირობითი გადახდები ხარჯად აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გაფორმებასთან დაკავშირებულია შეღავათები, ისინი აღიარდება ვალდებულებად. შეღავათების ჯამური სარგებელი აღიარდება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება წრფივ საფუძველზე. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ განასახიერებს იჯარით აღებული აქტივიდან მიღებული ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სურათს.

უცხოური ვალუტა. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება პირის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
GEL/USD	2.8677	2.6766
GEL/EUR	3.2095	3.0701

სესხის აღების ხარჯები – სესხის აღების ხარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ისეთი კვალიფიციური აქტივების შესყიდვას, მშენებლობას ან დამზადებას, რომელთა გამზადებას მოსახმარად ან გასაყიდად დიდი დრო სჭირდება, ემატება ამ აქტივების თვითღირებულებას მანამდე, სანამ ეს აქტივები არსებითად არ გამზადდება დაგეგმილი მოხმარების ან გაყიდვისათვის.

სესხის აღების ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევის პერიოდში.

მოგების გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი ჯგუფში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადის დარიცხვის ახალი წელი ჯგუფისათვის ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც სამართლიან, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ ჯგუფში. მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მიმდინარე და წარსული პერიოდების საგადასახადო ვალდებულებები აისახება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

სხვა გადასახადები, გარდა ზემოაღწერილი წესით განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადისა, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღინიშნება „საგადასახადო ხარჯები“ ნაწილში.

ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შედეგად, ჯგუფმა შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების მიღების მომენტში და მოგების გადასახადს დაარიცხავს მოგების განაწილების შემთხვევაში. ყველა გადავადებული საგადასახადო ბალანსი გამოთავისუფლდა და აისახა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც თვითღირებულებას გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის ისტორიული ღირებულება (თვითღირებულება) მოიცავს (ა) მის შესასყიდ ფასს, მათ შორის იმპორტის მოსაკრებლებსა და გადასახადებს შენაძენზე, რომლებიც არ ბრუნდება, დისკონტებისა და ფასდათმობების გამოკლების შემდეგ; (ბ) ყველა ხარჯს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ერთეულის იმ ადგილასა და მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას; (გ) ერთეულის

დაშლის, გადაადგილების და ხელახლა აწყობის ხარჯების წინასწარ გაანგარიშებას; (დ) ვალდებულებას, რომელსაც ჯგუფი კისრულობს ან ერთეულის შესყიდვისას ან იმის შედეგად, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის სხვა მიზნით გამოიყენა; და (ე) კვალიფიციური აქტივების შემთხვევაში, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად კაპიტალიზებულ სესხის აღების ხარჯებს.

შემდგომში კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებისა და ჩანაცვლების დიდ ხარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადას და ზრდის შემოსავლის გენერირების შესაძლებლობებს. რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს, გაწევისას აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთის დარიცხვის შედეგად ცვეთადი ღირებულება ჩამოიწერება აქტივის სასარგებლო მოხმარების მთელი ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მოხმარების ვადებია:

ძირითად საშუალებათა კატეგორიები	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
საოფისე ტექნიკა	5
სხვა მატერიალური აქტივები	3

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებული ღირებულება, რასაც ჯგუფი ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალებების ამ ერთეულის რეალიზაციით, რეალიზაციის შეფასებული ხარჯების გამოკლებით, ეს აქტივი რომ იყოს იმ ასაკისა და მდგომარეობის, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მოხმარების ვადის ბოლოს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მოხმარების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს. წინა შეფასებების ცვლილების ეფექტი აღირიცხება პროსპექტიულად, როგორც სააღრიცხვო პროგნოზების ცვლილება.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

მიმდინარე მშენებლობა მოიცავს ძირითადი საშუალების მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის მშენებლობისას გაწეულ პირდაპირ დაკავშირებულ ცვლად ზედნადებ ხარჯებს. მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მისი ცვეთა, სხვა ძირითადი საშუალებების მსგავსად, იწყება, როდესაც აქტივები მზადაა მოსახმარად, ანუ მაშინ, როდესაც აქტივები არის იმ ადგილასა და მდგომარეობაში, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მან იფუნქციონიროს ისე, როგორც შეესაბამება ჯგუფის ხელმძღვანელობის განზრახვას.

აქტივების გაუფასურება - ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ამოწმებს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს და ადგენს, არის თუ არა ნიშანი იმისა, რომ აქტივებმა განიცადოს გაუფასურება. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, დგინდება აქტივის აღდგენითი ღირებულება, რათა შემდგომ განისაზღვროს გაუფასურების ხარჯის მოცულობა (თუ ასეთი არსებობს). თუ ცალკეული აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა შეუძლებელია, კომპანია აფასებს შემოსავლის მომტანი იმ ერთეულის აღდგენად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია, კორპორაციული აქტივები ნაწილდება ცალკეულ შემოსავლის მომტან ერთეულებში. სხვა შემთხვევაში, ხდება მათი განაწილება შემოსავლის მომტან უმცირეს ჯგუფებზე, რომელთათვის განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძვლის დადგენა შესაძლებელია.

აღდგენადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს, სამართლიან ღირებულებასა (გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები) და გამოყენების ღირებულებას შორის. ამ უკანასკნელის შეფასებისას, ხდება სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირება მიმდინარე ღირებულებამდე, ისეთ გადასახადამდე, დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელშიც ასახულია დროში ფულის ღირებულების მიმდინარე საბაზრო მნიშვნელობა და იმ აქტივისათვის დამახასიათებელი რისკები.

თუ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) აღდგენადი ღირებულება, სავარაუდოდ, ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ეს უკანასკნელი დაიყვანება მის აღდგენად ღირებულებამდე. გაუფასურების ხარჯი დაუყოვნებლივ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

როდესაც ხდება გაუფასურების ხარჯის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი აღდგენითი ღირებულების კორექტირებულ მნიშვნელობამდე. თუმცა, ეს ისე ხდება, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს ისეთი საბალანსო ღირებულება, რომელიც დადგინდებოდა, წინა წლებში რომ არ მომხდარიყო ამ აქტივის (ან შემოსავლის მომტანი ერთეულის) გაუფასურების აღიარება.

გაუფასურების ხარჯის აღდგენა დაუყოვნებლივ აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს მოქმედი ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ფასზე პირდაპირ დაკვირვება, თუ იგი შეფასების სხვა ტექნიკით ფასდება. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გაანგარიშებისას, გაზომვის დღეს აქტივის ან ვალდებულების შეფასების პროცესში ჯგუფი ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ მათ ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ითვლება, რომ ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირდება, თუ კოტირებული ფასები რეგულარულად და პირდაპირ ხელმისაწვდომია ბირჟიდან თუ სხვა დაწესებულებიდან და თუ ეს ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად ჩატარებულ, პატიოსანი გარიგების ტრანზაქციებს.

იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან უკანასკნელი პერიოდის კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. შეფასების ტექნიკის გამოყენება შეიძლება გულისხმობდეს წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ისეთი დაშვებების გაკეთებას, რომლებიც დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით არ არის გამაგრებული. ასეთ

დროს ანგარიშგებაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, რომ რომელიმე დაშვების გონივრულად შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევდა მნიშვნელოვნად განსხვავებულ მოგებას, შემოსავალს, მთლიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაღებაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალო პრემიებს ან , დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულადი შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო დადგენის დღისთვის პრემიის ან გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ერთი პირის ფინანსურ აქტივს და სხვა პირის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისას ხდება საწყისი აღიარება და მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და აქტივების მართვისათვის ჯგუფში არსებულ ბიზნეს-მოდელზე. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს შემდეგი გარემოებებიდან ორივეს არსებობის შემთხვევაში:

- ფინანსურ აქტივს ჯგუფი ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები წარმოშობს ფულად ნაკადებს კონკრეტულ თარიღებში, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტულ დონეზე ხორციელდება.

ჯგუფის ბიზნეს-მოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის პირველი გამოყენების დღის, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ჯგუფის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და მისი ოპერაციები მიზნად ისახავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებას საწვავის, ბუნებრივი აირის და სხვა საქონლის გაყიდვისაგან. ეს ჯგუფის მთავარი ამოცანა და მისი საქმიანობაა. ისტორიულად ჯგუფს კუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები არასოდეს გაუყიდია. წარსული გამოცდილების საფუძველზე, ყველა ფინანსური ინსტრუმენტის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ისინი პირველი ბიზნეს-მოდელით - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობა“ (H2C) კლასიფიცირდება. ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით მისაღები ფულადი ნაკადები SPPI ტესტს აკმაყოფილებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო განაკვეთი არ ვრცელდება. ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს გაცემული სესხები, რადგან მათზე მოქმედებს მხოლოდ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და საკუთრების უფლება არ გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, თუმცაღა კონტროლი არ დაიტოვა.

კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის მიყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსური ვალდებულებები შეფასების შემდეგ კატეგორიებად იყოფა: (ა) სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ასევე მოიცავს დერივატივებს, და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება შესაბამისი წლის მოგებაში ან ზარალში (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური ხარჯის სახით) მათი დადგომის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

იმ ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვა, რომელთა მიწოდება უნდა მოხდეს რეგულირებით ან ბაზარზე შეთანხმებით დადგენილ ვადაში (რეგულარული ყიდვა-გაყიდვა), აისახება ვაჭრობის თარიღში, რომელიც არის ის თარიღი, რომელშიც ჯგუფი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდებას. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც ჯგუფი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებელთან სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. ჯგუფის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ექვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფულსა და ფულის ექვივალენტებში შედის ნაღდი ფული სალაროში, ბანკებში განთავსებული ნაღდი ფული, ფული ტრანზიტში და დეპოზიტები ღირებულების ცვლილების მნიშვნელოვანი რისკის გარეშე მათი დაუყოვნებლივ გატანის ოფციით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები საწყისის შემდგომი აღიარებისას აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება, აისახება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებელი საპროგნოზო თანხების შესაბამისი რეზერვი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია. აღიარებული რეზერვის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი შეფასებული ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვებს ყველა სავალო ინსტრუმენტისათვის აღრიცხავს ამორტიზებული ღირებულებით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (მსდ) ეფუძნება სხვაობას მოსალოდნელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოებული მაჩვენებლით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფლობილი უზრუნველყოფის გაყიდვით მიღებული ან ხელშეკრულების პირობებში ჩადებული, კრედიტის გამაძლიერებელი სხვა ინსტრუმენტით წარმოშობილი ფულადი ნაკადები.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი კრედიტებისათვის, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსდ რეზერვირდება შემდეგ 12 თვეში შესაძლებელი დეფოლტის მოვლენებით წარმოშობილი საკრედიტო დანაკარგებისათვის (12 თვიანი მსდ). ისეთი კრედიტებისათვის, რომელთა შემთხვევაში საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი აუცილებელია კრედიტის არსებობის განმავლობაში დეფოლტის დროის მიუხედავად (მსდ არსებობის მანძილზე). ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში ჯგუფში 12 თვიანი მსდ იქმნება.

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი მსდ-ის გამოთვლის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, ჯგუფი საკრედიტო რისკის ცვლილებას თვალს არ ადევნებს, არამედ დანაკარგების რეზერვს ანარიცხებს აღიარებს თითოეულ საანგარიშგებო დღეს მსდ არსებობის მანძილზე საფუძველზე. ჯგუფმა შექმნა რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიულ საკრედიტო დანაკარგების გამოცდილებას ეფუძნება და ისეთი სამომავლო ფაქტორებით კორექტირდება, რომელიც შესაძლოა იყოს დამახასიათებელი მსესხებლებისა და ეკონომიკური გარემოსათვის. საწვავის გაყიდვის სავაჭრო მოთხოვნები ფასდება ჯგუფურად.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს დეფოლტის პარამეტრის ზღვრული ალბათობის რისკის პარამეტრებს, დეფოლტის შემთხვევაში რისკის მოცულობის პარამეტრს და დეფოლტით გამოწვეული ზარალის პარამეტრს. თუ საბაზო ნიშნულის გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად იყენებს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებს. საბაზო ნიშნულის მიდგომის გამოყენების მიზნებისათვის ერთერთი მთავარი მონაცემია გარე რეიტინგები ან მათი საბაზო ნიშნულები კონტრაგენტის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის გამოყენებით. ჯგუფი გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას იკვლევს ღია წყაროების საშუალებით, მათ

შორის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების ვებსაიტებზე, როგორებიცაა „მუდისი“, „ფიტჩი“ და „ს&ფ“. თუ გარე რეიტინგი ხელმისაწვდომი არ არის, ჯგუფი მოიპოვებს კონტრაგენტის ფინანსურ ანგარიშგებებს და საბაზო რეიტინგს ადგენს ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, „მუდისის“ ფინანსური კოეფიციენტების კვლევის საშუალებით.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საწყისი აღიარებისას შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა დიდ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ჯგუფმა განსაზღვრა სრული მსდ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსდ არსებობის მანძილზე, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის მთელი არსებობის მანძილზე ყველა შესაძლო დეფოლტური გარემოების არსებობისას წარმოიშობა (მოიხსენება როგორც მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპს განეკუთვნება. დეფოლტის ალბათობის გამოსათვლელად ჯგუფი იყენებს სარეიტინგო სააგენტოების ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. ჯგუფი სხვა მოთხოვნების მსდ-ს ანგარიშობს ექსპერტის შეფასებით დადგენილ დანაკარგის განაკვეთების გამოყენებით. ექსპერტის შეფასების გამოყენება მართებულად ჩაითვალა იმის გამო, რომ არ არსებობს ისეთი ისტორიული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შექმნა. ამოუღებელი თანხების მისაღებად გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი პერიოდის მოთხოვნების ნაშთებზე.

ყველა შემთხვევაში ჯგუფი მიიჩნევს, რომ 30 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული საკონტრაქტო გადახდები წარმოადგენს საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება ჯგუფის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებადი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგება-ზარალის მიხედვით.

გაცემული სესხები - გაცემული სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მარაგები - აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით – იმის მიხედვით, ამ ორი ღირებულებიდან რომელიც უფრო დაბალია. ხარჯები, მათ შორის, ფიქსირებული და ცვლადი ზედნადები ხარჯების შესაბამისი წილი მარაგებზე ნაწილდება მათი კლასისათვის ყველაზე შესაფერისი მეთოდით, უმეტესობა კი - საშუალო ღირებულების მეთოდით. წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გაქვითულია გაყიდვისა და ფინალიზაციის სავარაუდო ხარჯები.

რეზერვები - რეზერვები აღიარდება, როდესაც ჯგუფს უჩნდება მიმდინარე ვალდებულება (სამართლებრივი ან კონსტრუქციული) წარსული ხდომილების გამო, სავარაუდოა, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და ვალდებულების ოდენობის სარწმუნოდ გაზომვა შესაძლებელია.

რეზერვად აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო თარიღში მიმდინარე ვალდებულების დასაფარად საჭირო კომპენსაციის შეფასებული ოდენობა, ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც რეზერვი ფასდება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად სავარაუდოდ საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების მიმდინარე ვალდებულება.

თუ რეზერვის დასაფარად საჭირო ყველა ან ზოგიერთი ეკონომიკური სარგებელი მესამე მხარისგან უნდა იქნას მიღებული, მოთხოვნა აქტივად აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ კომპენსაციის მიღება თითქმის გარანტირებულია და მოთხოვნის ოდენობა სარწმუნოდ იზომება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება. ისინი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინების პერსპექტივა არც ისე შორეულია. პირობითი აქტივების აღიარება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ ხდება, მაგრამ ისინი ფინანსურ ანგარიშგების შენიშვნებში განიმარტება, თუ სავარაუდოა ჯგუფის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღება.

კლასიფიცირება სესხად ან წილობრივ ინსტრუმენტად - ჯგუფის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები ფინანსურ ვალდებულებად ან წილობრივ ინსტრუმენტად კლასიფიცირდება საკონტრაქტო პირობების, ასევე ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განსაზღვრების შესაბამისად.

წილობრივი ინსტრუმენტები - წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ცხადყოფს დარჩენილი წილის არსებობას რომელიმე პირის აქტივებში ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ჯგუფის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება მიღებული შემოსავლით, ემისიის პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა აღიარდება პირდაპირ საკუთრ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი ინსტრუმენტების შესყიდვაზე, გაყიდვაზე, გამოშვებასა თუ გაუქმებაზე მოგება-ზარალში არაფერი აღირიცხება.

სააქციო კაპიტალი - სააქციო კაპიტალი აღიარდება ჯგუფის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები - დივიდენდები აღირიცხება საკუთარ კაპიტალში მათი გამოცხადების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები განიხილება, როგორც „შემდგომი მოვლენა“ და განმარტებულია შესაბამის ქვეთავში.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები - მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით არა-აღდგენადი შეფასებული თანხების ანარიცხების გამოკლებით.

მიღებული ავანსები - მიღებული ავანსები მოიცავს საწვავისთვის ავანსად მიღებულ ფულს და სხვა მიღებულ ავანსებს. ავანსად მიღებული თანხები შემოსავლად არ აღირიცხება შესაბამისი პროდუქტის მიწოდებამდე და მომსახურების გაწევამდე.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და უზუსტობების შეფასების ძირითადი საშუალებები

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებისას, რომლებიც აღწერილია შენიშვნაში N5, ხელმძღვანელობას ევალება შეფასებების, ვარაუდებისა და დაშვებების გაკეთება აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების თაობაზე, რომლებიც სხვა წყაროებში მკაფიოდ არ ჩანს. შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ფაქტორებს. ფაქტობრივად შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების კორექტირება აღიარდება ამ კორექტირების გაკეთების პერიოდში, თუ კორექტირება მხოლოდ იმ პერიოდზე მოქმედებს, და აღიარდება კორექტირების და შემდგომ პერიოდებში, თუ კორექტირება მოქმედებს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

უზუსტობების შეფასების ძირითადი საშუალებები

<u>იჯარები</u> - ზოგ შემთხვევაში იჯარის ვადის განსაზღვრა, მოკლევადიანი იქნება ის თუ გრძელვადიანი, ხელმძღვანელობის შეფასებაზეა დამოკიდებული, რაც მსგავსი ხელშეკრულებებისა თუ მოიჯარეების მიხედვით უნდა გადაწყდეს. კერძოდ, ხელმძღვანელობა საიჯარო ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესაძლებლობით სარგებლობს იმ შემთხვევებში, როცა ის დარწმუნებულია იჯარის გაგრძელებაში და არ სურს მისი შეწყვეტა. როდესაც საიჯარო ხელშეკრულება არ ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთს, ხელმძღვანელობა იყენებს მზარდი სესხის განაკვეთს.

გუდვილის გაუფასურება - იმის დასადგენად, არის თუ არა გუდვილი გაუფასურებული, ფასდება იმ ფულის მომტანი ერთეულების გამოყენებული ღირებულება, რომელზეც მოხდა გუდვილის განაწილება. გამოყენებული ღირებულების დასაანგარიშებლად დირექტორები აფასებენ იმ მომავალ ფულად ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია ფულის მომტანი ერთეულისგან და ადგენენ დისკონტირების განაკვეთს მიმდინარე ღირებულების გამოსათვლელად.

გადასახადები - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო, ამ უკანასკნელებმა ტრანზაქციები ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვი არ შექმნილა. ანგარიშები საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა სამი წლის განმავლობაში.

სამართლებრივი დავების რეზერვი - სამართლებრივი დავების რეზერვის დადგენა ხელმძღვანელობის შეფასების საქმეა. ამ პროცესში ხელმძღვანელობა განიხილავს სამართლებრივი დავების მოსალოდნელ შედეგებს და მხედველობაში იღებს ამ დავების გარემომცველ რისკებსა და განუსაზღვრელობებს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები - ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს ქმნის იმ საპროგნოზო ზარალის აღსარიცხავად, რომელიც წარმოიშობა მისი კლიენტების უუნარობისგან დაფარონ სავალდებულო გადახდები ან მისი მომწოდებლების მხრიდან შეთანხმებული პროდუქტების ან მომსახურების მოწოდების შეუძლებლობით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ადეკვატურობის შეფასებისას, ხელმძღვანელობა დასკვნებს აკეთებს მიმდინარე ზოგადი ეკონომიკური გარემოებების, მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ვადების, ჩამოწერების ისტორიული გამოცდილების, კლიენტისა და მომწოდებლის საკრედიტო ხარისხისა და გადახდის პირობების ცვლილებების საფუძველზე. ეკონომიკის, დარგის თუ კონკრეტული კლიენტისა და მომწოდებლის გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გააჩინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების კორექტირების აუცილებლობა.

7. შემოსავალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის შემოსავალი მოიცავდა:

	2019	2018
შემოსავალი საწვავის გაყიდვიდან	506,128	419,783
შემოსავალი გაყიდვებიდან მაღაზიებში	25,025	20,813
შემოსავალი გაზის გაყიდვიდან	4,180	4,138
სხვა	2	2
სულ	**535,335**	**444,736**

8. რეალიზაციის თვითღირებულება

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავდა:

	2019	2018
საწვავის თვითღირებულება	445,516	369,822
მაღაზიებში მარაგების თვითღირებულება	19,427	16,449
გაზის თვითღირებულება	3,391	3,041
სხვა	2	2
სულ	**468,336**	**389,314**

9. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები მოიცავდა:

	2019	2018
ხელფასები და მათთან დაკავშირებული ხარჯები	13,006	12,209
ცვეთის ხარჯი	5,512	5,650
ქირის ხარჯი	3,476	5,809
სარგებლობის უფლების მქონე აქტივების ცვეთა	3,048	-
მარკეტინგული ხარჯი	2,501	3,337
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	1,991	1,754
კომუნალური ხარჯები	1,669	1,577
ტრანსპორტირება	1,545	1,007
საწვავი	539	547
სხვა	236	61
სულ	**33,523**	**31,951**

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

	2019	2018
სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	7,752	5,793
პროფესიული მომსახურება	933	1,092
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	931	814
საბანკო ხარჯები	930	681
საკანცელარიო მასალები	859	902
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	687	479
დაზღვევა	563	518
სარგებლობის უფლების აქტივების ცვეთა	536	-
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	110	1,480
დაცვის ხარჯი	143	139
ქირის ხარჯი	81	1,143
სხვა	756	708
სულ	**14,281**	**13,749**

11. სხვა შემოსავლები/(ხარჯები), წმინდა

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში ჯგუფის სხვა (ხარჯები)/ შემოსავლები მოიცავდა:

	2019	2018
დასაწყობებული საწვავის მეტობა	1,366	804
მარკეტინგული შემოსავალი	978	840
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	468	337
შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან	428	371
დაზღვევის კომპენსაცია	49	34
შემოსავალი მოგებული სასამართლო დავებიდან	-	481
სხვა	909	685
სხვა შემოსავალი	**4,198**	**3,552**
ქველმოქმედება	(232)	(185)
ჯარიმები	(43)	(446)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	(622)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ზარალი	-	(21)
სხვა	(561)	(194)
სხვა ხარჯები	**(836)**	**(1,468)**
სულ	**3,362**	**2,084**

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	საოფისე ტექნიკა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სხვა ძირითადი საშუალებები	მიმდინარე მშენებლობა	სულ
ღირებულება									
1 იანვარი 2018	**30,950**	**37,360**	**9,832**	**4,301**	**6,390**	**6,967**	**6,559**	**246**	**102,605**
დამატება	-	922	441	412	911	4	1,120	5,805	9,615
რეალიზაცია	(88)	(881)	(149)	(38)	(113)	(308)	(383)	-	(1,960)
გადაცემა	-	2,695	146	-	338	1,901	254	(5,334)	-
31 დეკემბერი 2018	**30,862**	**40,096**	**10,270**	**4,675**	**7,526**	**8,564**	**7,550**	**717**	**110,260**
დამატება	-	445	423	858	944	-	800	3,499	6,969
რეალიზაცია	-	(78)	(4)	(378)	(340)	(4)	(44)	(40)	(888)
გადაცემა	-	1,942	34	(147)	536	2,367	(946)	(3,786)	-
31 დეკემბერი 2019	**30,862**	**42,405**	**10,723**	**5,008**	**8,666**	**10,927**	**7,360**	**390**	**116,341**
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2018	-	**13,476**	**5,663**	**3,325**	**5,377**	**3,951**	**3,614**	-	**35,406**
წლის დარიცხვა	-	2,438	683	431	726	1,114	489	-	5,881
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(620)	(68)	(45)	(73)	(302)	(83)	-	(1,191)
31 დეკემბერი 2018	**-**	**15,294**	**6,278**	**3,711**	**6,030**	**4,763**	**4,020**	**-**	**40,096**
წლის დარიცხვა	-	2,573	685	441	880	1,011	438	-	6,028
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	(78)	(3)	(372)	(340)	(4)	(6)	-	(803)
31 დეკემბერი 2019	**-**	**17,789**	**6,960**	**3,780**	**6,570**	**5,770**	**4,452**	**-**	**45,321**
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2019	**30,862**	**24,616**	**3,763**	**1,228**	**2,096**	**5,157**	**2,908**	**390**	**71,020**
31 დეკემბერი 2018	**30,862**	**24,802**	**3,992**	**964**	**1,496**	**3,801**	**3,530**	**717**	**70,164**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად ცვეთა დარიცხულმა აქტივებმა შეადგინა 21,511 ათასი და 18,676 ათასი ლარი, შესაბამისად.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ძირითადი საშუალებები, 29,133 ათასი და 27,899 ათასი ლარის ღირებულებით, შესაბამისი მიმდევრობით, გამოყენებული ჰქონდა საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად (იხილეთ შენიშვნა #23).

13. აქტივები სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებები

	მიწა	შენობა-ნაგებობები	ავტო-გასამართი სადგურები	სერვის-ცენტრები	სხვა	სულ
ღირებულება						
1 იანვარი 2019	**363**	**1,215**	**16,417**	**441**	**89**	**18,525**
დამატება	-	-	2,051	-	-	2,051
რეალიზაცია	-	-	(486)	-	-	(486)
გადაკეთება	-	-	1,912	-	-	1,912
31 დეკემბერი 2019	**363**	**1,215**	**19,894**	**441**	**89**	**22,002**
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2019	-	**-**	**-**	-	-	**-**
წლის დარიცხვა	102	606	2,761	76	39	3,584
შემცირება რეალიზაციის შედეგად	-	-	(20)	-	-	(20)
31 დეკემბერი 2019	**102**	**606**	**2,741**	**76**	**39**	**3,564**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	**261**	**609**	**17,153**	**365**	**50**	**18,438**
31 დეკემბერი 2018	**-**	**-**	**-**	**-**	-	**-**

საიჯარო ვალდებულებების ცვლილებები 2019 წელს:

	2019
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები არა-გაუქმებადი საოპერაციო იჯარებისთვის - 1 იანვარი 2019	24,513
მიმდინარე ღირებულებამდე დისკონტირების ეფექტი	5,988
პირველადი აღიარება	18,525
საიჯარო ვალდებულებების აღიარება	2,051
საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯი	1,737
გაცვლითი კურსის ეფექტი	951
იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა	(473)
იჯარის ხელშეკრულებების ცვლილება	2,018
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(1,042)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(2,344)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გადაცემა	(866)
საიჯარო ვალდებულებები - 31 დეკემბერი2019	**20,557**

სარგებლობის უფლების აქტივებისათვის იჯარის საშუალო შეწონილი ვადა 6.17% წელია, ხოლო მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული მზარდი საპროცენტო განაკვეთის საშუალო შეწონილი ოდენობა 8.9%-ია.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები	**2019**
სარგებლობის უფლების აქტივების ცვეთის ხარჯი	3,584
საიჯარო ვალდებულებებზე საპროცენტო ხარჯი	1,737
ისეთი ხარჯები, რომლებიც არაა გათვალისწინებული საიჯარო ვალდებულებების გაანგარიშებებში	3,557
სულ	**8,878**

ოჯარის ვალდებულება დაფარვის ვადის ანალიზი	31 დეკემბერი 2019 ფინანსური ოჯარით გათვალისწინებული ვალდებულების ბალანსი	სამომავლო ფინანსური გადასახადი
წელი 1	3,628	1,285
წელი 2	4,117	1,640
წელი 3	2,011	2,451
წელი 4	1,870	2,010
წელი 5	1,697	1,862
შემდეგ	7,234	6,895
სულ ოჯარის ვალდებულება	**20,557**	**16,143**

14. გუდვილი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილის ღირებულება იყო 2,436 ათასი ლარი.

გუდვილი მიეკუთვნება ფულის (შემოსავლის) მომტან ერთეულებს (CGUs), რომლებიც წარმოადგენს ჯგუფში უდაბლეს დონეს (ბენზინგასამართი სადგურები), რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი ხელმძღვანელობის მხრიდან.

ფულის მომტანი ერთეულების აღდგენადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებული ღირებულების გაანგარიშების საფუძველზე, რომელშიც გამოყენებული იყო ხუთწლიან პერიოდზე ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტებით მიღებული ფულადი ნაკადების პროგნოზი.

ხუთწლიანი პერიოდის შემდგომი ფულადი ნაკადები ექსტრაპოლირდება ქვემოთ აღნიშნული შეფასებული ზრდის განაკვეთებით. ზრდის განაკვეთები არ აჭარბებს ეკონომიკის იმ სექტორის გრძელვადიან საშუალო ზრდის მაჩვენებლებს, რომლებშიც ფულის მომტანი ერთეულები ოპერირებს.

იმ გამოყენებული ღირებულებების გასაანგარიშებელი დაშვებები, რომელთა მიმართ აღდგენადი ყველაზე მეტ მგრძნობელობას ამჟღავნებს, მოიცავს საოპერაციო ფულადი ნაკადების საშუალო კლების განაკვეთს ხუთი წლის განმავლობაში - წლიური 1%, საოპერაციო ფულადი ნაკადების ზრდის განაკვეთი ხუთი წლის შემდეგ - წლიური 0%, გადასახადამდე დისკონტირების განაკვეთი - წლიური 13.13%.

მენეჯმენტმა დაგეგმილი ფულადი ნაკადები განსაზღვრა ისტორიული შედეგებისა და ბაზრის მოლოდინების გათვალისწინებით. დისკონტირებული განაკვეთები გადასახადამდეა და ასახავს ფულის მომტან ერთეულებთან დაკავშირებულ სპეციფიურ რისკებს.

15. სხვა გრძელვადიანი აქტივები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავდა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს, ამავე წლებში დარიცხული ამორტიზაცია შეადგენდა 171 ათას და 248 ათას ლარს, შესაბამისად.

16. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში იყო:

		31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	ძირითადი საქმიანობა	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება
„შპს არსენალი“	უძრავი ქონების ფლობა	50.00%	1,264	50.00%	1,109
შპს „გიორგი 96“	უძრავი ქონების ფლობა	49.50%	964	49.50%	1,007
შპს „ემჯი“	უძრავი ქონების ფლობა	40.00%	867	40.00%	736
შპს „ვიპ ნუკოილი“	უძრავი ქონების ფლობა	50.00%	507	50.00%	488
შპს „ნიაზი“	უძრავი ქონების ფლობა	32.00%	185	32.00%	128
შპს „კარე +“	უძრავი ქონების ფლობა	50.00%	139	50.00%	145
			3,926		**3,613**

მენეჯმენტმა შეაფასა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების ამოღებადობა და დაასკვნა, რომ მათი სრულად ამოღება შესაძლებელია. ჯგუფი ახლო მომავალში გეგმავს ამ მეკავშირე ინვესტიციებში შესული ბენზინგასამართი სადგურების განვითარებასა და ოპერირებას.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, მოძრაობა მეკავშირე საწარმოებში დაბანდებულ ინვესტიციებში იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაშთი წლის დასაწყისში	3,613	3,276
წილი მეკავშირე საწარმოების შედეგებში	468	337
მიღებული დივიდენდები	(155)	-
ნაშთი წლის ბოლოს	**3,926**	**3,613**

ქვემოთ მოცემულია მოკლე ფინანსური ინფორმაცია ჯგუფის მეკავშირე საწარმოების შესახებ:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მთლიანი აქტივები	3,167	2,688
მთლიანი ვალდებულებები	(290)	(140)
წმინდა აქტივები	2,875	2,548
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში	**1,224**	**1,235**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მთლიანი შემოსავალი	571	911
წმინდა მოგება	1,096	735
ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა მოგებაში	**468**	**337**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მეკავშირე საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციები საბალანსო ღირებულებით ნული და 3,613 ათასი ლარი, შესაბამისად, ჯგუფის მიერ გამოყენებული იყო უზრუნველყოფის საშუალებებად ბანკებისგან აღებულ სესხებზე (შენიშვნა #23).

17. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწვავი	37,941	33,054
მარაგები მაღაზიებში	3,557	2,745
სათადარიგო ნაწილები და მასალები	378	351
სხვა	2,417	1,878
	44,293	**38,028**

18. გაცემული სესხები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაცემული სესხები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
კომპანიებზე გაცემული სესხები	50,579	44,498
ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხები	536	518
სულ	**51,115**	**45,016**
გაცემული სესხების გრძელვადიანი ნაწილი	347	538
გაცემული სესხების მოკლევადიანი ნაწილი	50,768	44,478

2015 წლის 31 დეკემბერს კომპანიებმა „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ“, შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსი“ და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიამ“ ხელი მოაწერეს სამმხრივ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით, მანამდე ჯგუფთან დაკავშირებულ მხარეზე, „ენერჯი სოლუშენს ინვესტმენტ ინკ“-ზე გაცემული სესხი გადაეცა სხვა დაკავშირებულ მხარეს, შპს „ენერჯი ინვესტმენტს ვენჩურ ჰოლდინგსს“. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხის ნაშთი იყო 17,632 ათასი აშშ დოლარი (50,563 ათასი ლარი) 16,605 ათასი აშშ დოლარი (44,446 ათასი ლარი) და შესაბამისად. სესხს ერიცხება წლიური 11.5% და ვადა გასდის 2020 წლის 31 დეკემბერს.

19. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები	13,846	6,114
სხვა მოთხოვნები	2,219	2,139
	16,065	**8,253**
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	(5,148)	(5,073)
	10,917	**3,179**

ჯგუფი საცალო კლიენტებთან ნაღდი ანგარიშსწორებით ვაჭრობს. ყველა საბითუმო და კორპორატიული კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის დამტკიცების პროცედურებს გადის, რითაც ის ქმნის კარგი კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტების ჯგუფს.

სავაჭრო მოთხოვნის ამოღებადობის განსაზღვრისას, ჯგუფი ამოწმებს, ხომ არ მომხდარა მის საკრედიტო ხარისხში რაიმე ცვლილება კრედიტის მინიჭების დღიდან საანგარიშგებო დღემდე. საკრედიტო რისკის კონცენტრაცია შეზღუდულია, რადგან კლიენტების ბაზა დიდია და არაერთგვაროვანი.

მოძრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებში:

	31 დეკემბერი 2019
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(5,073)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(75)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერა	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა	-
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**(5,148)**

სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი:

31 დეკემბერი 2019 (ათასი ლარი)	ვადაგადაუცილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	30-90 დღის ვადაგადაცილებით	91-180 დღის ვადაგადაცილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	8,519	670	354	167	6,355	**16,065**
მსდ არსებობის მანძილზე	(38)	(19)	(27)	(29)	(5,035)	**(5,148)**

31 დეკემბერი, 2018 (ათასი ლარი)	ვადაგადაუცილებელი	30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	30-90 დღის ვადაგადაცილებით	91-180 დღის ვადაგადაცილებით	180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	1,506	1,939	162	146	4,500	**8,253**
მსდ არსებობის მანძილზე	(79)	(1,754)	(34)	(19)	(3,187)	**(5,073)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საკრედიტო რეიტინგის განმარტებები:

	31 დეკემბერი 2019		
(ათასი ლარი)	მეორე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესების გარეშე	მესამე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	8,519	-	**8,519**
0-30 ვადაგადაცილებით	670	-	**670**
30-90 ვადაგადაცილებით	354	-	**354**
90-180 ვადაგადაცილებით	-	167	**167**
180> ვადაგადაცილებით	-	6,355	**6,355**
სულ	**9,543**	**6,522**	**16,065**

	31 დეკემბერი **2018**		
(ათასი ლარი)	მეორე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესების გარეშე	მესამე ეტაპი მსდ არსებობის მანძილზე კრედიტ გაუარესებული	სულ
ვადაგადაუცილებელი	1,505	-	**1,505**
0-30 ვადაგადაცილებით	1,939	-	**1,939**
30-90 ვადაგადაცილებით	163	-	**163**
90-180 ვადაგადაცილებით	-	145	**145**
180> ვადაგადაცილებით	-	4,501	**4,501**
სულ	**3,607**	**4,646**	**8,253**

20. მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ავანსები საქონლის მიწოდებისათვის	2,148	868
ავანსები მარკეტინგული მომსახურებისათვის	-	-
სხვა ავანსები	463	462
	2,611	**1,330**

21. ფული და ფულის ეკვივალენტები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	149	154
ნაღდი ფული ბანკებში	25,106	4,130
ნაღდი ფული ტრანზიტში	383	290
	25,638	**4,574**

22. საწესდებო კაპიტალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ავტორიზებული და გადახდილი კაპიტალი იყო 49,385 ათასი ლარი. 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის ერთპიროვნული მფლობელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული „ენერჯი ინვესტმენტ ვენჩურ ჰოლდინგსი“.

23. აღებული სესხები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აღებული სესხები:

სესხები უზრუნველყოფით	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
პეტროკას ენერჯი ინთერნეშენალ ლიმიტედი	USD	5.75%	Feb-2025	21,755	23,997
თიბისი ბანკი-2135388- 10731339	USD	5%	Nov-2020	17,222	-
შპს ჩანელ ენერჯი (ფოთი)	USD	4.5%	Nov-2020	8,642	-
თიბისი ბანკი - 2135388- 9842150	USD	8.02%	May-2020	8,603	7,963
თიბისი ბანკი -135388 -10543787	USD	7.8%	June 2020	4,980	-
თიბისი ბანკი -2135388-10559756	USD	7.8%	July 2020	4,302	-
საქართველოს ბანკი - 1123288	USD	10.00%	Apr-2021	2,731	2,829
თიბისი ბანკი -2135388-8630397	USD	9.70%	Oct-2022	2,191	2,622
საქართველოს ბანკი - 5862064	USD	5.90%	Feb-2019	-	10,717
თიბისი ბანკი -2135388-10279484	GEL	11.75%	Mar-2019	-	5,209
საქართველოს ბანკი - 5327930	USD	8.50%	Mar-2019	-	3,001
სულ აღებული სესხები				**70,426**	**56,338**
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				50,280	31,350
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				20,146	24,988

აღებული სესხების დაფარვის ვადები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ერთ თვეში	271	95
ერთიდან სამ თვემდე	1,406	19,921
სამიდან თორმეტ თვემდე	48,603	11,334
სულ ერთ წელიწადში დასაფარი მიმდინარე ნაწილი	**50,280**	**31,350**
ერთიდან ხუთ წლამდე	18,168	19,450
ხუთი წლის შემდეგ	1,978	5,538
სულ აღებული სესხები	**70,426**	**56,338**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს დარღვეული ჰქონდა სს „თიბისი ბანკთან“ და სს „საქართველოს ბანკთან“ არსებული სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილი კაპიტალი/სესხის კოეფიციენტები. თუმცა, საანგარიშგებო დღემდე ჯგუფმა ორივე ბანკიდან მიიღო წერილობითი უარი ხელშეკრულების დარღვევისას ბანკების უფლებების ამოქმედებაზე და ბანკები დათანხმდნენ საშეღავათო პერიოდს, რომელიც დასრულდება საანგარიშგებო პერიოდიდან სულ მცირე 12 თვეში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ვალდებულებების ცვლილებები, რომლებიც წარმოშობილია ფინანსური საქმიანობიდან, მათ შორის ფულადი და არაფულადი ცვლილებები. ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებები არის ის ვალდებულებები, რომელთა ფულადი ნაკადები ჯგუფის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში კლასიფიცირებული იყო ან იქნება როგორც ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან.

	1 იანვარი 2019	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან (i)	პროცენტის ცვლილება (ii)	საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2019
აღებული სესხები	56,338	10,413	(38)	3,637	70,426

i) დაკავშირებული პირებიდან აღებული სესხებიდან მიღებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში მოცემული აღებული სესხებიდან მიღებული შემოსავლებისა და აღებული სესხების დაფარვის სხვაობას.

ii) პროცენტის ცვლილება მოიცავს დარიცხულ და გადახდილ პროცენტს.

აღებული სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (იხილეთ შენიშვნა #12) და ინვესტიციებით მეკავშირე საწარმოებში (შენიშვნა #16).

24. სავაჭრო და სხვა გადასახდელები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა გადასახდელები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო გადასახდელები საწვავზე	47,945	28,577
სავაჭრო გადასახდელები იჯარაზე	3,929	4,595
სავაჭრო გადასახდელები გაზზე	300	332
სხვა	3,595	2,540
	55,769	**36,044**

25. მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწვავზე მიღებული ავანსები	6,712	5,166
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	436	5,505
ხელფასის დარიცხვა	145	121
სხვა მიღებული ავანსები	32	56
სხვა ვალდებულებები	636	431
	7,961	**11,279**

საწვავის სანაცვლოდ გადახდილი ავანსები მოიცავს კლიენტებისგან მიღებულ ფულად ანაზღაურებას, რომელიც განხორციელდა გალფის ბარათებითა და კუპონებით, რომელთა სანაცვლოდ, ჯგუფს ნაკისრი აქვს მომავალში კლიენტისათვის საწვავის გადაცემა.

26. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გადაცემისას შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეთა შორის განხორციელებულ

ტრანზაქციაში. ჯგუფმა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისა და სამართლიანი ღირებულების დასადგენად გარკვეული განსჯაა საჭირო. საქართველო კვლავაც ამჟღავნებს განვითარებადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობები ფინანსური ბაზრების ბრუნვას გარკვეულწილად ზღუდავს. ზოგჯერ ბაზარზე კოტირებული ფასები მოძველებულია ან ასახავს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციების მონაცემებს და შესაბამისად, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების წარმოსადგენად არ გამოდგება. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად მის ხელთ არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მოსალოდნელ, სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობას, რომელიც დისკონტირდება ახალი, მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის მატარებელი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანობის გამო, სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებულ განაკვეთიანი, მითითებული ვადიანობის ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება გამოთვლილ იქნა მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი ვადიანობის ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათს სამართლიან ღირებულებებთანაა მიახლოებული.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა პირველი დონის მონაცემებით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ღირებულებისა - მესამე დონის მონაცემებით.

კაპიტალის რისკის მართვა - ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზირებით. ხელმძღვანელობა კაპიტალის სტრუქტურას რეგულარულად მიმოიხილავს. შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, ჯგუფი აბალანსებს კაპიტალის ზოგად სტრუქტურას დივიდენდების გადახდით, ახალი სესხების აღებით თუ ძველი სესხების დაბრუნებით.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს სესხებისა და კაპიტალის თანაფარდობა ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აღებული სესხები	70,426	56,338
ფული და ფულის ეკვივალენტები	(25,638)	(4,574)
წმინდა სესხები	44,788	51,764
კაპიტალი	76,282	65,299
წმინდა სესხების ფარდობა კაპიტალთან	58.7%	79%

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები - ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა გადასახდელებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება. ჯგუფს სხვადასხვა ფინანსური აქტივები გააჩნია, როგორებიცაა ფული და ფულის ეკვივალენტები, გაცემული სესხები და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნაკლებად მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,917	3,179
გაცემული სესხები	51,115	45,016
ფული და ფულის ეკვივალენტები	25,638	4,574
სულ ფინანსური აქტივები	**87,670**	**52,769**

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	55,769	36,044
აღებული სესხები	70,426	56,338
საიჯარო ვალდებულებები	20,557	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	389	407
სულ ფინანსური ვალდებულებები	**147,141**	**92,789**

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოქმედი ძირითადი რისკებია სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს იმ ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება, რომლითაც ჯგუფი სარგებლობს. ჯგუფის ზოგიერთი ტრანზაქცია უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული. უცხოური ვალუტის რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებული ინსტრუმენტები არ გამოიყენება.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	USD USD 1 = 2.8677 GEL	**EUR** EUR 1 = 3.2095 GEL	**USD** USD 1 = 2.6766 GEL	**EUR** EUR 1 = 3.0701 GEL
ფინანსური აქტივები				
გაცემული სესხები	51,116	-	44,984	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,183	-	11	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	19,790	33	825	17
სულ ფინანსური აქტივები	**76,089**	**33**	**45,820**	**17**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	48,276	145	28,668	129
აღებული სესხები	70,426	-	51,129	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	389	-	407
სულ ფინანსური ვალდებულებები	**118,702**	**534**	**79,797**	**536**
სულ წმინდა პოზიცია	**(42,613)**	**(501)**	**(33,977)**	**(519)**

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის კურსის 20%-იანი მერყეობის შემთხვევაში 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს საანგარიშგებო დღეს შესაბამის ვალუტაში დაფიქსირებულ ფულად კომპონენტებს:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL – 20%
(ზარალი)/მოგება გადასახადამდე	(8,523)	8,523	(100)	100

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL + 20%	USD/GEL – 20%	EUR/GEL + 20%	EUR/GEL – 20%
(ზარალი)/მოგება გადასახადამდე	(6,795)	6,795	(104)	104

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ არაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება უარყოფითად აისახება ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფზე შეზღუდული საპროცენტო განაკვეთის რისკი ვრცელდება, რადგან იგი სახსრებს სესხულობს მხოლოდ ფიქსირებული განაკვეთებით.

მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილები ასახავს ერთი, ძირითადი დაშვების ცვლილების ეფექტს, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. სინამდვილეში, აღნიშნულ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის რეალური კორელაცია არსებობს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მგრძნობიარობა არა წრფივია და შედეგებიდან უფრო დიდი ან მცირე ზეგავლენის ინტერპოლირება ან ექსტრაპოლირება არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. გარდა ამისა, ბაზრის რეალური მოძრაობის სხვადასხვა მომენტში ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ჯგუფის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევის ზემოქმედების მართვას. როდესაც საინვესტიციო ბაზარი სხვადასხვა მანიშნებელ დონეს ცილდება, ხელმძღვანელობას შეუძლია გაყიდოს ინვესტიციები, შეცვალოს საინვესტიციო პორტფელის გადანაწილება და გაატაროს სხვა სახის დამცავი ღონისძიებები. შედეგად, დაშვების ცვლილებას რეალურად შეიძლება ეფექტი არც ჰქონდეს ვალდებულებებზე, მაშინ, როდესაც აქტივები ბალანსზე საბაზრო ღირებულებითაა ასახული. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების გაზომვის სხვადასხვა მეთოდმა შეიძლება კაპიტალის რყევა გამოიწვიოს.

მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვებს შორისაა ბაზრის ჰიპოთეტური მოძრაობის გამოყენება იმ პოტენციური რისკის საჩვენებლად, რომელიც რეალურად მხოლოდ ჯგუფის თვალსაზრისს ასახავს უახლოეს მომავალში ბაზრის ცვლილების შესახებ. ამ უკანასკნელის პროგნოზირება კი რაიმე სანდოობით შეუძლებელია. ერთ-ერთი შეზღუდვა ისიცაა, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი იდენტური სახით იცვლება.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ის, რომ კლიენტი აღმოჩნდება გადახდისუუნარო მდგომარეობაში ან დროულად ვერ დაფარავს ჯგუფის მიმართ არსებულ დავალიანებას, რაც ჯგუფის ფინანსურ დანაკარგს გამოიწვევს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების ხარჯის გამოკლებით აღირიცხება, წარმოადგენს ჯგუფზე საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ზემოქმედებას. ყველა კლიენტი, ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, კლიენტის

მიღების პროცედურას გადის. შედეგად, ჯგუფი მხოლოდ სანდო საკრედიტო მდგომარეობის კლიენტებს არჩევს. კლიენტებს კრედიტის ლიმიტიც უწესდებათ.

საკრედიტო რისკის შეფასება

რისკის მართვის მიზნით საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია და მოდელების გამოყენებას მოითხოვს, რადგან გამოვლენა ბაზრის პირობების ცვლილებებთან, მოსალოდნელ ფულად ნაკადებთან და დროის სვლის პარალელურად მერყეობს. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება სხვა ვარაუდების გამოთქმასაც მოიცავს, მაგალითად, დეფოლტის დადგომის ალბათობაზე, შესაბამისი ზარალის კოეფიციენტებსა და კონტრაგენტებს შორის დეფოლტის კორელაციაზე. ჯგუფის საკრედიტო რისკს „დეფოლტის ალბათობით“ (PD), „დეფოლტის რისკის პოზიციით“ (EAD) და „დეფოლტით გამოწვეული დანაკარგით“ (LGD). ეს მიდგომა ფასს 9-ში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად გამოყენებული მიდგომის მსგავსია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება

<u>ზოგადი მიდგომა</u>

ფასს 9-ით გათვალისწინებული მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზოგადი მოდელის პრინციპია, რომ მოდელში უნდა აისახოს ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო ხარისხის გაუარესების სურათი მისი მიღების შემდეგ, რაც საშუალებას მისცემს პირს, დროულად მოახდინოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) აღიარება. აღიარებული მსდ-ის ოდენობა დამოკიდებულია საწყისი აღიარების შემდეგ კრედიტის გაუარესების მასშტაბზე. სტანდარტში გათვალისწინებულია მსდ-ის გაზომვის ორი ბაზისი (12 თვიანი და არსებობის მანძილზე მსდ) და საპროცენტო შემოსავლის აღიარების ორი მეთოდი. ეტაპები საბაზრო ტერმინია, რომელიც აღნიშნავს გაზომვის ბაზისისა და საპროცენტო შემოსავლის აღიარების მეთოდის არჩევის პროცესს კონკრეტული რისკგამოვლინებისა, თუ მათი ჯგუფის შემთხვევაში. სტანდარტით მოცემული პრინციპების მიხედვით, რისკგამოვლინებები კლასიფიცირდება სამიდან ერთ-ერთ ეტაპზე და შესაბამისად აისახება:

პირველი ეტაპი: ჯგუფი რისკგამოვლინებას პირველ ეტაპზე ათავსებს, თუ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება არ მომხდარა და ინსტრუმენტი საწყისი აღიარებისას კრედიტგაუარესებული არ იყო. 12 თვიანი მსდ და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე პირველი ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

მეორე ეტაპი: რისკგამოვლინება მეორე ეტაპზე თავსდება, თუ დადგინდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი კრედიტგაუარესებულად არ ითვლება. მსდ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი მთლიან საბალანსო ღირებულებაზე მეორე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

მესამე ეტაპი: მესამე ეტაპის ინსტრუმენტებში თავსდება ის რისკგამოვლინებები, რომელზეც შეიმჩნევა კრედიტგაუარესების ინდიკატორების არსებობა. მსდ არსებობის მანძილზე და საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებულ ღირებულებაზე მესამე ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ზოგადი მიდგომა გამოიყენება ჯგუფის მიერ ფლობილ შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- ნაღდი ფული ბანკებში
- გაცემული სესხები
- ამორტიზებული ღირებულებით ასახული სხვა სავალო ინსტრუმენტები

ჯგუფს სხვა სავალო ინსტრუმენტები არ გააჩნია. ამდენად, ეს დოკუმენტი მსდ-ის შეფასებაზე დამატებით ინფორმაციას არ იძლევა. ყველა შემთხვევაში, მომავალში, სხვა სავალო ინსტრუმენტებზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შეფასდება მიდგომით გაცემული სესხებისა და ბანკებში განთავსებული ნაღდი ფულის ოდენობების გამოყენებით.

<u>გამარტივებული მიდგომა</u>

სავაჭრო მოთხოვნებისა თუ საკონტრაქტო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს არ მოიცავს, ჯგუფი ვალდებულია, გამოიყენოს გამარტივებული მიდგომა. სავაჭრო

მოთხოვნებისა თუ საკონტრაქტო აქტივების შემთხვევაში, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს მოიცავს, ჯგუფს აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს გამარტივებულ და ზოგად მიდგომას შორის. გამოყენების შემთხვევაში (არჩევითი თუ სავალდებულო ვარიანტის დროს), მსდ არსებობის მანძილზე გამოითვლება მთელი პორტფელისთვის, იმის გამოთვლის გარეშე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ.

გამარტივებული მიდგომით, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ათავსებს ან მეორე ან მესამე ეტაპზე. ჯგუფი გამარტივებულ მიდგომას იყენებს შემდეგ ფინანსურ აქტივებზე:

- მოთხოვნები საწვავიდან
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები
- სხვა აქტივები (ფასს 15-ით - საკონტრაქტო აქტივები).

ფასს 9-ზე გადასვლის თარიღისათვის ჯგუფს სხვა ფინანსური აქტივები არ გააჩნია.

<u>დეფოლტის განსაზღვრება</u>

დეფოლტის განსაზღვრება ეფუძნება ორ ზოგად კრიტერიუმს, ანუ რისკგამოვლინება დეფოლტად ითვლება, ყოველთვის, როდესაც:

- რისკგამოვლინება 90 დღეზე მეტით არის ვადაგადაცილებული, ან
- სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.

ჯგუფში ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიზნებისათვის გამოყენებული დეფოლტის განსაზღვრება შეესაბამება შიდა მართვის მიზნებისათვის გამოყენებულს. დეფოლტირებულად ჩათვლილი რისკგამოვლინებები მესამე ეტაპზე თავსდება.

<u>ეტაპებზე განაწილების წესი</u>

ჯგუფი რისკგამოვლინებებს შესაბამის ეტაპებზე ანაწილებს თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებებზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი მოიცავს:

ფინანსური აქტივების კლასი	ეტაპი 3	ეტაპი 2	ეტაპი 1
სავაჭრო მოთხოვნები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
სხვა მოთხოვნები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე ეტაპის განსაზღვრებას, თავსდება მეორე ეტაპზე.	გამარტივებული მიდგომის გამოყენების გამო პირველი ეტაპი სავაჭრო მოთხოვნებზე არ ვრცელდება.
საბანკო დეპოზიტები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი	რისკგამოვლინებები, რომელთა ვადა გადაცილება 30-90 დღეს შორისაა, თავსდება მეორე ეტაპზე.	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს, თავსდება პირველ ეტაპზე.

	ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	კონტრაგენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუარესდა (2 პუნქტით)	
გაცემული სესხები	რისკგამოვლინებები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით თავსდება მესამე ეტაპზე. სხვა ხარისხობრივი ინფორმაცია მიუთითებს, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს დავალიანების დაფარვას სააღსრულებო ზომების გარეშე.	რისკგამოვლინებები, რომელთა ვადა გადაცილება 30-90 დღეს შორისაა, თავსდება მეორე ეტაპზე. კონტრაგენტის გარე რეიტინგი მნიშვნელოვნად გაუარესდა (2 პუნქტით)	რისკგამოვლინებები, რომლებიც არ აკმაყოფილებს მესამე და მეორე ეტაპის განსაზღვრებებს.

<u>რისკის პარამეტრების შეფასების მიდგომა</u>

მოსალოდნელი დანაკარგების შესაფასებლად ჯგუფი ფორმულაზე დაფუძნებულ მიდგომას იყენებს, რომელიც უშვებს, რომ კონკრეტული ფინანსური აქტივის დანაკარგების მოსალოდნელი ღირებულება ამავე აქტივთან დაკავშირებული დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული დანაკარგისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრების ნამრავლის ტოლია.

ჯგუფი რისკის პარამეტრებს აფასებს ა) ინდივიდუალურად, საბაზისო ნიშნულის მიდგომით, ან ბ) ჯგუფურად, ისტორიული გამოცდილებით.

დანაკარგების რეზერვის აღიარებისა და შეფასების მიზნით, ჯგუფი რისკგამოვლინებებს ინდივიდუალურად აფასებს მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ.

რისკგამოვლინება მნიშვნელოვნად ითვლება, თუ კონტრაგენტის მთლიანი რისკგამოვლინება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი რაოდენობის თვეების განმავლობაში 50,000 ლარს აღემატება. გარდა რაოდენობრივი ინდიკატორებისა, ჯგუფმა კონკრეტული რისკგამოვლინებები ინდივიდუალურად შეიძლება შეაფასოს საექსპერტო შეფასებით. ასეთი რისკგამოვლინებები მოიცავს გაცემულ სესხებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი დეფოლტის ალბათობის, დეფოლტით გამოწვეული დანაკარგისა და დეფოლტის რისკის პოზიციის რისკის პარამეტრები გამოითვლება საბაზისო ნიშნულის მიდგომით. თუ მისი გამოყენება შეუძლებელია, ჯგუფი მოსალოდნელ დანაკარგებს ანგარიშობს ჯგუფური შეფასების რისკის პარამეტრებით.

<u>საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება</u>

ჯგუფმა რისკგამოვლინებების ვადიანობის სტრუქტურა გააანალიზა და დაასკვნა, რომ ფინანსური აქტივების უმეტესობა მოკლევადიანია (12 თვეზე ნაკლები). გარდა ამისა, რისკის პარამეტრების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ბოლოდროინდელი დეფოლტის შემთხვევები და ამოღების ისტორია ჯგუფური შეფასებისათვის, ხოლო ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი რისკგამოვლინებების რეიტინგის დადგენისას მხედველობაში მიიღება ხარისხობრივი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ჯგუფმა გააანალიზა მაკროეკონომიკური პროგნოზები და ისინი შეუდარა 2019 წლის რეალურ მონაცემებს. ჯგუფმა დაასკვნა, რომ მოსალოდნელი მაკროეკონომიკური პარამეტრები რეალურისგან ძალიან არ განსხვავდება. შესაბამისად, მაკროეკონომიკური ინფორმაციის გამოყენება რისკის პარამეტრების გაანგარიშებაში მოსალოდნელ დანაკარგებზე დიდ ზეგავლენას არ იქონიებს.

ჯგუფის მიერ გაანალიზებული მაკროეკონომიკური პარამეტრებია:

	2019	2020	2021	2022	2023	2024
მშპ ზრდის განაკვეთი						
საბაზისო სცენარი	4.7%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%	5.00%
აღმავალი სცენარი	4.7%	6.50%	6.50%	6.50%	6.50%	6.50%

დაღმავალი სცენარი	4.7%	2.00%	2.00%	2.00%	2.00%	2.00%
GEL/USD გაცვლითი კურსი						
საბაზისო სცენარი	2.8677	0%	0%	0%	0%	0%
აღმავალი სცენარი	2.8677	3%	3%	3%	3%	3%
დაღმავალი სცენარი	2.8677	(-15)%	(-15)%	(-15)%	(-15)%	(-15)%
უძრავი ქონების ფასის ცვლილება (წლიდან წლამდე)						
საბაზისო სცენარი	100	2.90%	2.90%	2.90%	2.90%	2.90%
აღმავალი სცენარი	100	3.60%	3.60%	3.60%	3.60%	3.60%
დაღმავალი სცენარი	100	0.00%	0.00%	0.00%	0.00%	0.00%

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების მოსალოდნელ უმნიშვნელო ცვლილებებზე დაყრდნობით, ჯგუფმა გადაწყვიტა, არ გაითვალისწინოს მაკროეკონომიკური კორექტირება მიმდინარე რისკის პარამეტრის მოდელებში.

ჯგუფი მაკროეკონომიკურ კორექტირებას მომავალში გაითვალისწინებს, თუ მშპ-ის მოსალოდნელი ზრდის განაკვეთი 10%-ით მოიმატებს/დაიკლებს.

სესხის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2019 წლის 31 დეკემბრისათვის იყო:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**პირველი ეტაპი**	**მეორე ეტაპი**	**მესამე ეტაპი**	**სულ**
	12 თვიანი მსდ	**მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესების გარეშე**	**მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული**	
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები 2019 წლის 1 იანვარს	**-**	**1,867**	**3,206**	**5,073**
- გადატანა ეტაპი 1-დან ეტაპი 2-ზე	-	-	-	-
- გადატანა ეტაპი 2-დან ეტაპი 3-ზე	-	(1,885)	1,885	-
ახალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	237	52	289
სესხის დაფარვა	-	(135)	(112)	(247)
ჩამოწერა	-	-	-	-
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	-	-
ცვლილება რისკის პარამეტრებში	-	-	33	33
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**84**	**5,064**	**5,148**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შესაბამისი მოძრაობა 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში იყო:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**პირველი ეტაპი**	**მეორე ეტაპი**	**მესამე ეტაპი**	**სულ**
	12 თვიანი მსდ	**მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესების გარეშე**	**მსდ არსებობის მანძილზე - კრედიტგაუარესებული**	
საბალანსო ღირებულება სრულად 2019 წლის 1 იანვარს	**-**	**3,607**	**4,646**	**8,253**
- გადატანა ეტაპი 1-დან ეტაპი 2-ზე	-	-	-	-
- გადატანა ეტაპი 2-დან ეტაპი 3-ზე	-	(2,129)	2,129	-
ახალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	9,467	207	9,674
სესხის დაფარვა	-	(1,402)	(556)	(1,958)
ჩამოწერა	-	-	-	-
ჩამოწერილი თანხების აღდგენა	-	-	-	-
ცვლილება რისკის პარამეტრებში	-	-	96	96
საბალანსო ღირებულები სრულად 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**9,543**	**6,522**	**16,065**

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფარვის ვადის დადგომისას ყველა ვალდებულების გადახდას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია ჯგუფის არა წარმოებული ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი საკონტრაქტო დაფარვის ვადები, დაფარვის შეთანხმებულ პერიოდებთან ერთად, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების გათვალისწინებით, იმ უახლოესი ვადის შესაბამისად, როდესაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს დაფარვა. ცხრილში მოცემულია როგორც საპროცენტო ფულადი ნაკადების, აგრეთვე ძირითადი თანხების ფულადი ნაკადების მოძრაობა. სახელშეკრულებო ვადა წარმოდგენილია იმ უახლოესი ვადის შესაბამისად, როდესაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს დაფარვა.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვე - 1 წელი	1-5 წელი	5+ წელი	სულ
31 დეკემბერი 2019						
უპროცენტო	35,085	15,802	4,890	-	-	55,777
პროცენტიანი	967	3,220	54,411	39,177	16,417	114,191
	36,052	**19,022**	**59,301**	**39,177**	**16,417**	**169,968**
31 დეკემბერი 2018						
უპროცენტო	20,296	10,974	4,774	-	-	36,044
პროცენტიანი	322	20,572	12,728	23,036	5,816	62,474
	20,618	**31,546**	**17,502**	**23,036**	**5,816**	**98,518**

27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, ჯგუფის ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ ერთეულებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არა დაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

	31 დეკემბერი 2019			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის ერთობლივ კონტროლქვეშ არსებული პირები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	342		342
გაცემული სესხები	15	50,563	538	51,116
სარგებლობის უფლების აქტივები	4,541	127	-	4,668
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	1,731	51,362	-	53,093
აღებული სესხები	-	30,397	-	30,397
შემოსავალი	-	666	-	666
საპროცენტო შემოსავალი	7	5,516	-	5,523
საპროცენტო ხარჯი	412	1,629	-	2,041
შესყიდვები	-	327,415	-	327,415
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	960	503	-	1,463
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	23	1,699	1,722

	31 დეკემბერი 2018			
	მეკავშირე საწარმოები	ჯგუფის ერთობლივ კონტროლქვეშ არსებული პირები	უმაღლესი ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	2	-	2
გაცემული სესხები	53	44,445	481	44,979
სავაჭრო და სხვა გადასახდელები	1,338	31,497	-	32,835
აღებული სესხები	-	23,997	-	23,997
შემოსავალი	-	590	-	590
საპროცენტო შემოსავალი	5	2,602	-	2,607
საპროცენტო ხარჯი	-	1,125	-	1,125
შესყიდვები	-	270,826	-	270,826
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	422	435	-	857
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	-	22	-	22

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, რაც თანამშრომელთა მოკლევადიანი ბენეფიტებითაა წარმოდგენილი, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში შეადგინა 1,699 ათასი და 1,261 ათასი ლარი, შესაბამისად.

28. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

გარანტიები - 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს არ გააჩნია შესასრულებელი მატერიალური გარანტიები.

სამართლებრივი დავები - 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ დავაში

გადასახადები - საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციებითა და შესწორებებით ხასიათდება. ამასთან, ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაციები შეიძლება საგადასახადო ორგანოებისას არ დაემთხვეს და ამის გამო ამ უკანასკნელებმა ტრანზაქციები ეჭვქვეშ დააყენონ. შედეგად, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვი არ შექმნილა. 2019 წელი საგადასახადო შემოწმებისათვის ღიაა.

2014 წლის 1 იანვრიდან სატრანსფერო ფასების შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შემოღებულ იქნა დამატებითი დოკუმენტაციისა და ანგარიშგების ვალდებულება. ახალი კანონმდებლობა საგადასახადო უწყებებს აძლევს საშუალებას დააწესონ დამატებით საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვრული გარიგებების შემთხვევაში, მათ შორისა და არა მხოლოდ, გარიგებებისა დაკავშირებულ პირებთან, თუ ჩაითვლება, რომ გარიგება დადებულია არასამართლიანი პირობებით. ჯგუფმა მოიწვიაო დამოუკიდებელი საგადასახადო კონსულტანტი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მოახდენდა გავლენას ჯგუფზე სატრანსფერო ფასების ახალი რეგულაცია 2019 წ. საანგარიშო წელს. საბოლოო დასკვნა ჯერ არაა ხელმისაწვდომი. 2019 წ. საანგარიშო პერიოდისათვის შეუძლებელია დანამდვილებით შეფასდეს ჯგუფის მდგომარეობა სატრანსფერო ფასების კუთხით.

მსგავსმა გაურკვევლობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე, გაუფასურების ხარჯების შეფასებასა და საბაზრო ფასებით დადებულ გარიგებებზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მას შესრულებული აქვს ყველა საგადასახადო ვალდებულება და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი რეზერვი არ შექმნილა.

საოპერაციო გარემო – საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე

საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს და ხდება სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციების საგანი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რაც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან იყო დაკავშირებული. 2018 და 2019 წლების განმავლობაში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებები მხოლოდ დასაწყისია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების მისწრაფებებით გამოწვეულ სამომავლო ცვლილებებში.

ამასთან, 2020 წლის დასაწყისიდან გავრცელდა ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19), რომელიც სწრაფად მოედო მთელს მსოფლიოს და შედეგად, 2020 წლის მარტში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოცხადდა ეპიდემიური მდგომარეობა. COVID-19 ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად მსოფლიოს ქვეყნებმა მიიღეს შემაკავებელი ზომები, რამაც ბევრი კომპანიის საქმიანობის შეწყვეტა გამოიწვია და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. მდგომარეობა სწრაფად მძიმდება და მოსალოდნელია მნიშვნელოვანი გავლენა არაერთი დარგის კომპანიებზე, მათ შორის და არა მხოლოდ, საქმიანობისა შეწყვეტა, რაც გამოწვეული იქნება წარმოების შეწყვეტით ან საწარმოო ქარხნების დაკეტვით, მიწოდების შეწყვეტით, თანამშრომლების კარანტინით, შემცირებული მოთხოვნითა და ფინანსების მოზიდვის გართულებით. ამასთან ერთად, COVID-19 -სა და მსოფლიო ეკონომიკაზე მისი უარყოფითი გავლენის შედეგად კომპანია შესაძლოა უფრო ფართო და მზარდი ზიანის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. კომპანიის სამეწარმეო საქმიანობაზე COVID-19-ს უარყოფით ზეგავლენას განაპირობებს ეპიდემიის ხანგრძლივობა და ის, თუ როგორ გავლენას მოახდენს ის მსოფლიო და საქართველოს ეკონომიკაზე.

29. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

ეპიდემიის გავრცელების მოლოდინისა და საქართველოს ეკონომიკაზე მისი უარყოფით გავლენის მოლოდინის მიერ გამოწვეულმა ეკონომიკურმა შედეგებმა უცხოური ვალუტის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობა გამოიწვია უკანასკნელ დღეებში.

მიუხედავად არსებული ბევრი გაურკვევლობისა, საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავაც აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს მოქალაქეებისა და კომპანიებისათვის მიყენებული უარყოფითი შედეგები.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების დღისათვის გაცვლითი კურსი შეადგენდა 3.0633.

COVID-19-ს მზარდი გავრცელების გამო საქართველოში საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა. თავდაპირველად საგანგებო მდგომარეობა 2020 წლის 21 აპრილამდე უნდა გაგრძელებულიყო, თუმცა შემდეგ მოხდა ვადის გაგრძელება 2020 წლის 21 მაისამდე. შეჩერდა ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტი (როგორც შიდა, ისე მუნიციპალიტეტებს შორისი). მთავრობამ კერძო ტრანსპორტის გამოყენებაზეც დააწესა შეზღუდვები 2020 წლის 17 აპრილიდან 26 აპრილამდე პერიოდში, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ჯგუფის გაყიდვები, თუმცა, ჯგუფს გააჩნია საკმარისი რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. ყველა სახის ტრანსპორტი 2020 წლის 29 მაისს აღდგა.

საანგარიშგებო პერიოდში დადგინდა ჯგუფის მიერ სს საქართველოს ბანკისა და სს თიბისი ბანკის სასესხო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების - ლიკვიდურობისა და ლევერეჯის დადგენილი კოეფიციენტის დარღვევა. თუმცაღა, შემდგომ პერიოდში ჯგუფმა მოიპოვა ბანკების დასტური იმის შესახებ, რომ ისინი უარს იტყოდნენ თავიანთ უფლებაზე და არ მოითხოვენ სესხის დაფარვას მისი ვადის ამოწურვამდე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არ განვითარდა რაიმე სხვა გარემოება, რაც საჭიროებს აღნიშვნას წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

30. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა გამოსაშვებად 2020 წლის 15 ივლისს.

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიში

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (შემდგომში „ჯგუფი“) თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რეგისტრირებული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N34, სართ. N6, რეგისტრაციის თარიღი: 2010 წლის 26 ნოემბერი.

სან პეტროლიუმ ჯორჯიას საწესდებო კაპიტალი შეადგენს 49,385 ათას ლარს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს წილებს შემდეგ შვილობილ კომპანიებში (შემდგომში “ჯგუფი“):

- შპს ჯორჯიან პეტროლიუმ ექვითისი - 100%, მენეჯმენტ კომპანია;
- შპს სან სთორზ - 100%, საცალო სასურსათო მაღაზიები;
- შპს დიდუბოილ- 100%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს ჩაქვის ავტოგასამართი სადგური- 100%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს SPG თრეიდინგი - 100%,საბითუმო საწვავის ყიდვა-გაყიდვა;
- შპს ფიქრის გორა - 75%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს ფონიჭალა 2009-100%, უმოქმედო;
- შპს ქოლო- 67%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს ოპტიმა+ -50%, ავტო-გასამართი სადგური;
- შპს გორი ოილ -50%,უმოქმედო;
- შპს ახალციხე ოილ კომპანი- 50%, უმოქმედო.

ჯგუფის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:

- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და რეალიზაცია;
- სატრანსპორტო საშუალებებისა და ავტომობილების სერვისული მომსახურება;
- გაზის საცალო რეალიზაცია;
- ყოველდღიური მოხმარების სხვადასხვა საგნების საცალო რეალიზაცია ავტოგასამართ სადგურებთან არსებული მაღაზიებიდან.

2019 წლის ბოლოსათვის ჯგუფი ახდენდა სამანქანო ბენზინისა და თხევადი გაზის რეალიზაციას 149 ერთეული ავტო-გასამართი სადგურიდან, მათ შორისაა გალფის ბრენდის ქვეშ - 108 სადგური, ხოლო G-Economy ბრენდით - 41 სადგური, 5 გაზგასამართი (გგს) სადგური. ამ სადგურებიდან, ნაწილი არის ჯგუფის მფლობელობაში, ხოლო ნაწილი კი იჯარითაა აღებული.

2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის 2019 წლის წმინდა მოგებამ მიმდინარე ოპერაციებიდან შეადგინა 15, 482 ათასი ლარი, მაშინ როცა 2018 წლის მონაცემი იყო 8,751 ათასი ლარი. თუმცაღა, ჯგუფის მთლიანი მოგება 2018 წლის 55,422 ათასი ლარიდან 2019 წელს გაიზარდა 66, 999 ათას ლარამდე.

მომგებიანობის გაუმჯობესების მიზნით, ჯგუფმა ძირითადი აქცენტი გააკეთა გაყიდვების ზრდასა და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. საწვავის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 21%_ით, ხოლო არა საწვავი პროდუქტებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 20%_ით.

3. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფი სისტემატიურად მუშაობს პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც შედეგად იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას. დამოუკიდებელი კომპანია ACT ყოველწლიურად ატარებს ბაზრის კვლევას, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია ჯგუფის ბაზარზე პოზიციონირების შესაფასებლად. ამასთან, კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიიღოს

მომხმარებლის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჯგუფის წევრების მიერ გაწეული მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე, რეგულარულად მოწმდება საწვავის ხარისხიანობა, რაც დასტურდება ჯგუფის მიერ მიღებული არაერთი დამადასტურებელი სერთიფიკატით. კომპანია მუდმივად ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მომხმარებელთან სიახლოვე პრიორიტეტულია, ამიტომ ის მუდმივად იკვლევს მათ ინტერესს და ზრუნავს კმაყოფილების ზრდაზე.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფი არ ფლობს ფილიალებს.

5. ჯგუფის საკრედიტო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდობის მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ ანგარიშებს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება. ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება ჯგუფის მენეჯმენტის დონეზე ყოველთვიურად. ჯგუფის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

6. საბაზრო რისკი

ჯგუფის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი არის საერთაშორისო საწვავის ფასის ზრდა. შესასყიდი ნავთობის საერთაშორისო ფასი ყოველდღიურად განიცდის ცვლილებას და დგინდება ყოველდღიური პლაცის (Platts, European MarketScan, by S&P Global) მეშვეობით. პლაცის დადგენა ხდება ყოველდღიურად გარდა შაბათ-კვირისა და საბანკო დასვენების დღეებისა და იგი მოიცავს ერთი მეტრული ტონა მზა პროდუქტის (მაგ. ბენზინი Prem Unl 10ppm და დიზელი 10ppm ULSD) ფასს. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბოლოო პროდუქციის საცალო ქსელში და კორპორატიული რეალიზაცია ხდება მხოლოდ ლარში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ფასში, შესასყიდი ფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადანაწილებით, თუმცა ეს პროცედურა ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას. გარდა აღნიშნულისა, სარეალიზაციო საფასო პოლიტიკა აუცილებლად და ბუნებრივად მოიცავს თავის თავში შესასყიდი ფასების და ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის კომპონენტებს.

ამასთან უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. საწვავის საცალო და კორპორატიული ბაზარი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული ავტოგასამართი და გაზგასამართი სადგურები.

კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში ბრენდულ სადგურებთან მიმართებაში, ხოლო საფასო და მომსახურების ხარისხის (სადგურის გარეგნული იერი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, სატალონო და საბარათო სისტემის არარსებობა) სეგმენტში არაბრენდულ სადგურებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანიაში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, გაყიდვების, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება არაფორმალურად და განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, კორპორატიული რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული

მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლისთვის მისაღები და სასურველი იყოს ჯგუფის პროდუქტების შეძენა.

გარდა ზემოხსენებულისა საქართველოში მკვეთრად იმატა ჰიბრიდული და ელექტრო მანქანების იმპორტმა, რომლებიც ბევრად ნაკლებ საწვავს მოიხმარენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2018 წელს 2,647 ჰიბრიდი და 599 ელექტრო მანქანის იმპორტი მოხდა, ხოლო 2019 წელს - 21,535 ჰიბრიდი და 783 ელექტრო მანქანის იმპორტი მოხდა.

7. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით ჯგუფში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს ჯგუფის ბაზებში, ბენზინგასამართ და გაზგასამართ სადგურებზე საწვავის ნაშთების, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

საწვავის გაფრქვევის მონიტორინგის და საკანონმდებლო ნორმების, სახელმწიფო სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვის მიზნით სადგურებზე წელიწადში ერთხელ, ისევე როგორც ბაზებზე ყოველ წელიწადში ერთხელ ხდება ფაქტიური გაფრქვევების მონიტორინგი. შესაბამისი დოკუმენტი იგზავნება გარემოს დაცვის სააგენტოში ელექტრონული ფორმით. გაფრქვევის მინიმიზაციის მიზნით, სადგურებზე და ბაზებში კომპანიას დამონტაჟებული აქვს თანამედროვე ტიპის სარქველები და ხდება მათი გამართულად მუშაობის მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში.

საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით ავტოგასამართ სადგურის მენეჯერი ან უფლებამოსილი პირი აკეთებს საწვავის აზომვას, ხოლო დამოუკიდებელი სამსახური თვეში ერთხელ აკეთებს საწვავის აზომვას.

დამატებით, ავტოგასამართ სადგურებზე ფუნქციონირებს ავტომატიზაციის სისტემა, რომელიც აღჭურვილია რეზერვუარში საწვავის რაოდენობის ელექტრონული მზომით. ავზის დაზიანების და საწვავის დაღვრის შემთხვევაში სადგურის მენეჯერს ან სხვა უფლებამოსილ პირს აქვს საშუალება გამოავლინოს მსგავსი დაზიანება და მოახდინოს მასზე რეაგირება.

კომპანიას დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

8. განვითარების გეგმები

ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია: უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე, ახალი სერვისების დანერგვაზე, მაღაზიების სერვისის განვითარებაზე ასევე გეგმავს მომხმარებლისთვის თვითმომსახურების სადგურების შეთავაზებას. გარდა ამისა, ლოიალობის პროგრამა, საოპერაციო სისტემის განვითარება ისევე როგორც ეფექტიანობის ზრდა კვლავ რჩება ჯგუფის პრიორიტეტად.

ჯგუფი გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია როგორც უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე ისე ახალი სერვისების დანერგვაზე. მომავალში იგეგმება არა საწვავი პროდუქტების წილის ზრდა საერთო შემოსავლებში. წლიდან წლამდე იზრდება ელექტრო მანქანების რაოდენობა, შესაბამისად იგეგმება სწრაფი დამუხტვის პუნქტების გახსნა. გარდა ზემოდ ხსენებულისა უკვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს თვითმომსახურების ავტოგასამართი სადგურების გახსნასთან დაკავშირებით.

ჯგუფი მუდმივად ანვითარებს ლოიალობის სისტემას, მაგალითად 2018 წლიდან თითოეულ მომხმარებელს შეუძლია უკუკავშირის მოწერა მომსახურებასთან დაკავშირებით.

9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანებსა და გარემოზე ზრუნვაა. ჯგუფის სოციალური აქტივობები მოიცავს საქველმოქმედო, ინფრასტრუქტურულ, სპორტულ, ტურისტულ და კულტურულ პროექტებს.

გარემოზე ზრუნვას ჯგუფის სტრატეგიული განვითარების გეგმაში პრიორიტეტული ადგილი უჭირავს. ჯგუფი აქტიურად უჭერს მხარს ელექტრო და ჰიბრიდულ ავტომობილების პარკის გაზრდას. გარემოზე ზრუნვის ფარგლებში ჯგუფმა მოახდინა საწვავის ფორმულის გაუმჯობესება, 2019 წლის მაისიდან საწვავს

დაუმატებს ახალ დანამატს რომელიც უზრუნველყოფს მანქანის ძრავის უკეთ მუშაობას, იცავს ავტომობილის ნაწილებს ცვეთისგან, საწვავის მოხმარებას ამცირებს და რაც მთავარია ამცირებს მავნე აირების დაგროვების დონეს.

ამასთან, მომხმარებელთა ინფორმირების მიზნით ჯგუფი წელიწადში ორჯერ აქვეყნებს საწვავის ლაბორატორიულ ანალიზს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ცხოველების დაცვა და მათზე ზრუნვა. ამ ეტაპზე ჯგუფს აქვს 25 სახლი მიუსაფარი ძაღლებისთვის და ზრუნავს 40 ძაღლზე.

რაც შეეხება საქველმოქმედო პროექტებს, აღსანიშნავია სოლიდარობის ფონდთან თანამშრომლობა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ყოველი გაყიდული ლიტრიდან მიღებული შემოსავლის 0.03 ლარი ერიცხება სოლიდარობის ფონდს. ამავე პროექტის ფარგლებში ჯგუფი აქტიურადაა ჩართული ხანდაზმულების მხარდაჭერის პროგრამებში, გამოყოფილია სპეციალური საპენსიო ფონდი იმ ხანდაზმულებისათვის, რომლებმაც თავი მიუძღვნეს საზოგადოებრივ მოღვაწეობას და განსაკუთრებული როლი ითამაშეს სხვა ადამიანების ცხოვრებაში. ორგანიზაციის ერთ-ერთი პროექტი ახალგაზრდა თაობის დაცვას და მათზე ზრუნვას მიეძღვნა. სოციალური პასუხიმგებლობის მაღალი შეგნების გამოვლინებაა სხვადასხვა დაავადების მქონე ფინანსური და სხვა საჭიროებების მქონე ბავშვების დახმარება.

რაც შეეხება განათლების სფეროს, 2019 წლის მანძილზე დაფინანსდა 25-მდე სტუდენტი, ხოლო ბოლო 3-4 წლის მანძილზე 150 სტუდენტზე მეტი.

გარდა ამისა, ჯგუფი ამარაგებს რეგიონების ბიბლიოთეკებს წიგნებით. ერთ-ერთი უკანასკნელი პროექტის ფარგლებში ბრიტანეთის საელჩოს დახმარებით ახალციხის რაიონულ ბიბლიოთეკას გადაეცა 150 ახლადგამოცემული წიგნი. ამასთან, გაფორმდა მემორანდუმი GIPA-სა და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ახალციხის რაიონში განათლების დონის ამაღლების მიზნით, იმისთვის რომ ეთნიკურ უმცირესობებს მიეცეთ ახალი საკვირაო გაკვეთილებზე დასწრების საშუალება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჯგუფი მხარს უჭერს ცხოვრების ჯანსაღ წესს და ამის ფარგლებში თბილისსა და გორში გახსნა ორი საკალათბურთო მოედანი, ორივე მოედანი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს. ჯგუფი არის საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების სპონსორი და საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ გენერალური სპონსორი.

კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაციისთვის კომპანიამ წამოიწყო პროექტი მოიარე.ჯი. გალფი სოციალური მედიის საშუალებით პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ხელს უწყობს ცნობადობის ამაღლებას საქართველოს საოცარი სილამაზისა და საინტერესო ბუნების შესახებ, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში მეტი ტურისტის მოზიდვას.